

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
პრ. ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ე. ბაბუნაშვილი, თ. უთურაიკე

ანტონ პიკუდის „ქაითუდი ღრამგატიკა“
და მისი ეპოვნულ-ისტორიული
მნიშვნელობა



თბილისი
„მეცნიერება“

1991

წიგნი წარმოადგენს მონოგრაფიულ ნაშრომს XVIII საუკუნის გამოჩენილი მეცნიერის, საზოგადო, პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწის, საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსის, ანტონ პირველის (ბაგრატიონის) „ქართული ღრამმატიკის“ შესახებ.

ნაშრომში განხილულია ანტონ პირველის ენათმეცნიერული კონცეფცია და ის როლი, რომელიც ითამაშეს ამ კონცეფციის ჩამოყალიბებაში ქართულმა ენათმეცნიერულმა ტრადიციამ, იტალიელ მისიონერთა გრამატიკულმა ნაშრომებმა, მხითარ სებასტაციის სომხურმა გრამატიკამ და თვითონ ანტონის ექვსწლიანმა მეცნიერულმა მოღვაწეობამ რუსეთში. ამასთან, ხაზგასმულია ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკის“ მნიშვნელობა ქართული ენის კვლევის მეცნიერული სიღრმისა და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკული და ორთოგრაფიული ნორმების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

წიგნი ქვეყნდება ანტონ პირველის გარდაცვალებიდან ორას წლისთავთან დაკავშირებით და განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე მკითხველთა ფართო წრისთვის.

რედაქტორი ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი კ. დ ა ნ ე ლ ი ა.

რეცენზენტები ფილოლ. მეცნიერებათა დოქტორები:

ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე

ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე

წიგნის ტექნიკა

ერთ-ერთ საახალწლო მიმართვაში (1897 წლის 31 დეკემბერს) ილია ჭავჭავაძე ქართველებს ახსენებდა ძველ დროს, როცა ერი ფიზიკური გადარჩენისათვის იბრძოდა: „რა არ გადაგვხდია თავს, რა მტრები არ მოგვსევია, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრქენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით... ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა...“ და იქვე აფრთხილებდა ყველას: დღეს ხმალი აღარ გამოდგება, სისხლის ღვრის დრო წავიდა, ახლა სწავლა-განათლებისთვის ოფლის ღვრის დროაო — „ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა, შრომით და გარჯით, ცოდნითა და ხერხით მოსეული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვა-ცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დაეუყენეთ“ („რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“)¹.

ეს აზრი ტრადიციული იყო განათლებულ ქართველ მამულიშვილთათვის. ამ ფიქრით შეუდგებოდნენ ხოლმე საერო მძიმე აღმართს ქართველთა სწავლულები: ეფთვიმე ათონელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, საბა, ანტონ პირველი — კათალიკოსი საქართველოსი... აქ მხოლოდ ჩვენს თემასთან დაკავშირებულ სახელებს ვახსენებთ გამოჩენილთ; სხვა ასპექტით, ჩვენდა საბედნიეროდ, კიდევ მრავალი სახელის ხსენება შეგვიძლია.

ჩვენი ერის კულტურის ისტორიაში არის პერიოდები, რომელთაც გამოკვეთილად შეიძლება ერთი პიროვნების სახელი ეწოდოს. XVIII ს-ის II ნახევრიდან ანტონ პირველის ხანა იწ-

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 1955, 83. 13.

ყება საქართველოში: XVIII ს-ის II ნახევრის მეცნიერული, საგანმანათლებლო და კულტურული ცხოვრება საქართველოში მთლიანად ანტონ პირველის (ბაგრატიონი), საქართველოს კათალიკოსის, სახელთან არის დაკავშირებული.

ეს დებულება სადავოდ არავის გაუხდია. დავას იწვევდა მისი მოღვაწეობის შეფასება ეროვნულ-საზოგადოებრივი და მეცნიერული პროგრესის თვალსაზრისით: ერთნი ანტონის საქმიანობას დადებითად თვლიან, სხვთა აზრით კი ეროვნული საქმისათვის მისი თავდადებული ბრძოლა მეცნიერულად ვერ არის ყოველთვის პროგრესული, შესაბამისად ამისა, „რეაქციონერი“ და „შემაფერხებელიც“ ახლავს მისი მოღვაწეობის ზოგ შეფასებას.

როგორც პატრიოტსა და დიდ შემოქმედს, რომელიც ბევრად უსწრებდა თანამედროვეთ მეცნიერული ცოდნითა და საზოგადოებრივი თვალთახედვით, ანტონს არ აკლდა მხარდამჭერი, მაგრამ ბევრი ჰყავდა შეუირიგებელი მტერიც. ორივე მხარის ეჭო დღემდე აღწევს...

ანტონის სახელს ხშირად შევხვდებით განსხვავებული და ერთიმეორისაგან დიდად დაშორებული დარგის სპეციალისტთა ნაშრომებში, როდესაც ისინი მოგვითხრობენ საქართველოში თავისი სპეციალობის განვითარებაზე, ესენი არიან: თეოლოგები, ლიტერატორები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, გრამატიკოსები, ფიზიკოსები. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აქ ჩამოთვლილი თითოეული დარგი მოიცავს მრავალ განშტოებას ცალკეული მეცნიერების ფარგლებში, ჩვენ წინაშე წარმოდგება პიროვნება, რომელიც ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის პერიოდში თვით ქმნის და თავადვე წარმართავს ქართულ მეცნიერულ აზრს; ამის გვერდით ანტონი ეწევა დიდ საგანმანათლებლო-კულტურულ მუშაობასაც: ერეკლე მეორის მხარდაჭერით საქართველოში აარსებს სასულიერო სემინარიებს, ქმნის მათთვის პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, თბილისის სემინარიაში თვითონვე ასწავლის რიგ საგნებს; ანტონის მცდელობითა და უშუალო მონაწილეობით აღდგა ვახტანგ მეექვსისეული სტამბა და განახლდა წიგნების ბეჭდვა; დაიწყო ზრუნვა წიგნთსაცავების შექმნისათვის მონასტრებსა და სასწავლებელში.

ყოველივე ზემოთ თქმული დეტალურად არის აღწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში², ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ ზოგადი თვალსაზრისით.

² ა. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბ., 1950; მისივე, ანტონ პირველის დამოკიდებულება საერო

ჩვენი მიზანია ვილაპარაკოთ ანტონ პირველზე, როგორც გრამატოკოსზე. ამ მხრივაც ანტონის შეფასება არ არის ერთგვარი ქართულ საშემეცნიერო ლიტერატურაში. ბუნებრივია, წინამდებარე ნაშრომში ვუჩვენოთ ეს დაპირისპირებული და მათი საფუძვლები.

ჩვენს ვარაუდს კი წინასწარ ასე ჩამოვყალიბებთ: ანტონი თავისი შეხედულებებით სალიტერატურო ენაში ატარებს იმ ძირითად ხაზს, რომელიც ჩვენში გამოკვეთილად გამოჩნდა X საუკუნეში და რომელმაც სრული განხორციელება პოვა ილია ჭავჭავაძისა და მისი დროის სხვა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებაში. ეს გენერალური ხაზი შენარჩუნებულია დღემდე.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გრძელ გზაზე სამი დიდი სახელია აღმართული: იოანე პეტრიწი, ანტონ კათალიკოსი და ილია ჭავჭავაძე. თითოეული მათგანი წარმოადგენს დაგვირგვინებას განსაზღვრული დროის თაობათა თავდადებული მოღვაწეობისა ქართული სალიტერატურო ენის შექმნისათვის ბრძოლაში.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკა“ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ორი თვალსაზრისით: 1) ენის კვლევის მეცნიერული სიღრმითა და 2) სალიტერატურო ენის გრამატიკული და ორთოგრაფიული ნორმების ჩამოყალიბებით. იგი ამ მხრივ წარმოადგენს ქართველთა სახელმწიფოებრივი და ეროვნული ერთიანობის ერთ-ერთ დუღაბს XVIII ს-ის II ნახევარსა და XIX ს-ის I ნახევარში — მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში.

XIII—XVI საუკუნეებში ერის მეცნიერული და მხატვრული შემოქმედებითი პოტენციალი შეგუბებულია თავს დატეხილ უბედურებათა გამო. აღორძინების პერიოდში სამწერლობო ენას აღარა აქვს ის რეალური და პერსპექტიული სიმწყობრე და მონოლითურობა, რაც გამოარჩევდა X—XII საუკუნეების მეცნიერთა და მხატვრული სიტყვის ოსტატთა ნაწარმოებების ენას (ეფთვიმე ათონელის, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის... ნაშრომები; „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“...). ეს შედეგები შეიქმნა მონღოლ-თურქთა და სპარსთა გამანადგურებელი ომებისა და ბატონობის დრომდე (ივარაუდება დავით აღმაშენებლის შემდგომი პერიოდი), ამიტომ, როგორც აკად. კ. კეკელიძე წერს, შემთხვევითი არ არის, რომ აღორძინების პერიოდის გამოჩენილი მოღვაწენი იწყებენ „კლასიკური ლიტერატურის მითვლემილ ნაკვერცხალთა აღაპლაპებას“¹. ეს იყო ცდა განვითარების გაწყვეტილი ხაზის აღდგენისა. ცდა, უპირველეს ყოვლისა, სალიტერატურო ენას ეხება, რადგან მეცნიერებასა და ხელოვნებაში მემკვიდრეობითი ხაზის აღდგენა ხდება წინა პერიოდის თხზულებათა შესწავლით².

ანტონს ნორმირებული სალიტერატურო ენის შექმნის დასაწყისი პერიოდში მხედველობაში ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერული

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., ტ. I, 1980, გვ. 70.

² იქვე.

ენა, რომელზედაც უნდა დაწერილიყო თეოლოგიურ-ფილოსოფიური და სხვა დარგის მეცნიერული გამოკვლევები (თარგმნილი თუ ორიგინალური) და მათზე დამყარებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ენა, რომელსაც „მხოლოდ მეცნთა შორის აქუს ნაყოფი თვისი“³.

„ქართული ღრამმატიკის“ II რედაქციაში ანტონი საერთოდ აღარ მსჯელობს სტილთა შესახებ მწერლობაში. მან უკვე იცის, რომ სამწერლობო ენა ერთია⁴. ანტონი აყალიბებს ნორმირებულ სალიტერატურო ენას მკაცრად განსაზღვრული გრამატიკული და ორთოგრაფიული წესებით, რომელთა დაცვა აუცილებელი იყო ქართულად წერის დროს. ამიტომაც არის, რომ ანტონის გავლენა საყოველთაოა — ნაწარმოების ქანრს მნიშვნელობა აღარა აქვს: სალიტერატურო ენა ერთია და მისი ნორმების დაცვა სავალდებულოა ყველასთვის.

სამწერლობო ენის ყველასთვის სავალდებულო ნორმებში მოქცევა უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი მოვლენა იყო თემურაზ მეორისა და ერეკლე მეორის მოძლიერებულ საქართველოში; ეს მოვლენა კარგა ხანს შემდგომაც, რუსეთის ბატონობის დასაწყისში, ქართველთა კულტურული ერთიანობის თავისებურ გამოვლენას წარმოადგენდა. ამ ფაქტზე საგანგებოდ მიუთითა აკად. ს. ჯანაშიამ: „...როგორც ცდა ანარქიის მოსასპობად სალიტერატურო ენასა და დამწერლობაში და მათი სტიქიური განვითარების სავალდებულო ნორმათა კალაპოტში მოსაქცევად, — ამ ნორმებისთვის სახელმწიფოებრივი დასტურის ძიებასთან ერთად (ანტონი სამეფო სასჯელს უქადის მისი ზოგიერთი ორთოგრაფიული წესის დამრღვეველთ), — ეს მტკიცედ ჩამოყალიბებულ სისტემაზე დამყარებული რეფორმა მაჩვენებელი იყო ქართული საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვანი დაწინაურებისა. სამწერლო ენის საყოველთაოდ სავალდებულო ნორმების საჭიროების შეგნება არ შემოიფარგლებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებით... მთელი ქართველობა საერთო სულიერ ცხოვრებაშია შებმული და სათანადო ევოლუციის ტემპიც თითქმის თანაბარია საქართველოს ყველა რაიონში. აღიარებს რა ცენტრის კულტურულ ჰეგემონიას,

³ „ქართული ღრამმატიკა“, 1754, A 531 (დატულია საქართველოს მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში), გვ. 183v.

⁴ თუ რამ განაპირობა სამ სტილზე მსჯელობა „ქართული ღრამმატიკის“ I რედაქციაში, ხოლო შემდეგ სრული უგულებელყოფა II რედაქციაში და ანტონის თავდადებული ბრძოლა იმისთვის, რომ მის მიერ შემუშავებული წესები საყოველთაო გამოხდარიყო, ამის შესახებ დაწერილებით სპეციალურ პარაგრაფში ვიმსჯელებთ ქვემოთ.

პერიფერია (განაპირა კუთხეები) მხარდამხარ მიჰყვება მის მოძრაობას: თბილისში 1800 წ. დაბეჭდილი თხზულება მოკლე ხანში სახელმძღვანელო ხდება სამეგრელოშიაც, როგორც დავრწმუნდით, ეს ნაკადი სწვდება აფხაზეთსაც: სამთავროს კანცელარიის ქართული საბუთების ზემოთ აღნიშნული სტილი და მართლწერა ანტონისეულია...“⁵.

ეს ვრცელი ამონაწერი ცნობილი ისტორიკოსის ნაშრომიდან კომენტარს არ საჭიროებს. იგი ნათლად წარმოგვიჩენს ანტონის გრამატიკული მოღვაწეობის უდიდეს მნიშვნელობას ქართული სახელმწიფოებრივი ერთიანობის თვალსაზრისით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ანტონის მიერ ნახმარ გრამატიკულ ტერმინთა ტრადიციულობა. ისინი მოდიან X—XII საუკუნეთა სიღრმიდან. იმავე საუკუნეებში შეიქმნა ძირითად ტერმინთა საწარმოებელი მოდელიც. ამით ანტონმა ექვსი საუკუნით გაწყვეტილი მეცნიერული ხაზი ბუნებრივი მთლიანობით აღადგინა, რის უდავო დადასტურებას წარმოადგენს მათი აქტიური ხმარება დღესაც. თვით ანტონმაც ბევრი ახალი ტერმინი შექმნა და ამ ყალიბით იქმნება ისინი დღესაც საჭიროების შემთხვევაში. ანტონის დამსახურება ამ მხრივ კარგად გამოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ რომ სულხან-საბა ორბელიანი XVIII საუკუნის დასაწყისში, ანტონამდე, ვერ ახერხებს იტალიური ტერმინებისათვის თავის არიდებას: ნო მ ი ნ ა ტ ი ო, ჯ ე ნ ე ტ ი ო, ვ უ ტ უ რ ო (Futuro), პ რ ე ს ე ნ ტ ე, ს ი ნ გ უ ლ ა რ ე და სხვ. ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ა მ ი ს თ ვ ი ს ქ ა რ თ უ ლ სა ხ ე ლ თ ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს და ზ მ ნ ა თ ა უ ლ ლ ე ბ ი ს დ რ ო ს; ზ. შ ა ნ შ ო ვ ა ნ ი, არაორგანულად დაკავშირებული ისტორიულ ქართულ სამყაროსთან, სომხური ენის მიხედვით აკეთებს კალკებს ქართული მეცნიერული ენისთვის, ასე, მაგალითად, — *ასკან* სუფიქსით დაბოლოებულ ფორმებს ქართულში სა-ო კონფიქსით უქმნის შესატყვისს (*ასკასკან* — სანათესაო...). ამ ტერმინებს ქვემოთ სპეციალურად შევხებით, ახლა კი ვიტყვით, რომ მათზე მსჯელობა მოიცავს დიდ მონაკვეთს ქართულ ენათმეცნიერულ აზროვნებაში — პერიოდს ეფთვიმე ათონელიდან საბა ორბელიანამდე (X—XVIII სს.), როდესაც ხდება ჩვენი სამწერლობო ენის ჩამოყალიბება ქართულ ბუნებრივ საფუძველზე. ანტონის თავდადებულ ცდას შეენარჩუნებინა საუკუნეობით შემუშავებული ტერმინოლოგია, რომელსაც ქმნიდნენ თავისი დროისთვის ბიზანტიის მოწინავე მეცნიერებასა

⁵ ს. ჯანაშია, გიორგი შერვაშიძე, იხ.: გიორგი შერვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, სოხუმი, 1946, გვ. 41.

და კულტურას ნაზიარები, ქართული სალიტერატურო ენის აღმორ-
ძინებელი უდიდესი მოაზროვნეები, უაღრესად დიდი მნიშვნელობა
ჰქონდა გაწყვეტილი ქართული მეცნიერული ხაზის აღდგენისათვის და
საბოლოოდ მეცნიერული აზრის აღორძინებისათვის. აქ უთუოდ უნდა
აღინიშნოს ისიც, რომ უფრო ადრე ამ გზას ირჩევს საბა ორბელიანი,
რაც, ჩანს, კარგად იყო ცნობილი ანტონისთვის, რომელიც ფილოსო-
ფიური თუ გრამატიკული საკითხების გარჩევისას საკმაოდ ხშირად
მიმართავს მის ცნობილ „ქართულ ლექსიკონს“.

XVII ს-ის ოციან წლებში საქართველოში გამოჩნდნენ იტალიე-
ლი კათოლიკე მისიონერები⁶. ანტონის მეცნიერულ ასპარეზზე გამო-
სვლამდე მისიონერთა რამდენიმე ნაჟამსა საუკუნეზე მეტი იღვაწა.
ქართველთა კათოლიკურ რწმენაზე მოსაქცევად (არც თუ წარუმატე-
ბლად). XVIII ს-ის ორმოციანი წლებისთვის მათ უკვე შედგენილი
აქვთ ქართული ენის რამდენიმე გრამატიკა, იტალიურ-ქართული და
ქართულ-იტალიური ლექსიკონები, რომლებიც ცნობილი იყო რო-
გორც იტალიელთათვის (ყოველი ახლად ჩამოსული ამ ნაშრომებით
იწყებდა ქართული ენის შესწავლას), ისე ქართველებისთვისაც, რად-
გან მისიონერთა მიერ გახსნილ სკოლებში ბერძნულისა და ლათინუ-
რის გვერდით მშობლიური ენის გრამატიკასაც ასწავლიდნენ ქართველ
მოწაფეებს⁷. ანტონმა მათთან მჭიდრო მეცნიერული კავშირი დაამყა-
რა. ამ კონტაქტის შედეგები ენათმეცნიერული ხაზით სერიოზულია.
თეიმურაზ მეორემ ანტონი სწორედ კათოლიკე მისიონერებთან კავ-
შირისათვის (ყოველ შემთხვევაში მიზეზად ეს იქნა დასახელებული)
გააძევა სამშობლოდან რუსეთში. საჭიროა დადგენა იმისა, რა დამო-
კიდებულება ჰქონდა ანტონს მისიონერებთან „ქართული ღრამმატი-
კის“ ზოგადი დებულებებისა და კონკრეტული პარადიგმების ჩამოყა-
ლიბების თვალსაზრისით. ამის გვერდით დგება საკითხი მხითარ სებას-
ტაციის გრამატიკის გავლენისა ანტონის ნაშრომზე. მხითარის სომხუ-
რი ენის გრამატიკას ის ამუშავებდა ფილიპე ყაითმაზაშვილთან ერთად,
რასაც მრავალგზის თვითონვე აღნიშნავს.

„ქართული ღრამმატიკის“ განხილვამ იტალიელ მისიონერთა და
მხითარის ნაშრომთა გავლენისწინებით უნდა გამოავლინოს კონკრეტუ-

6 ჩვენ არ ვეხებით მისიონერთა უფრო ძველი პერიოდის ურთიერთობებს სა-
ქართველოსთან, რადგან ანტონის გრამატიკულ მოღვაწეობასთან მათ კავშირი არ
ჰქონიათ.

7 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ.,
1902, გვ. 156.

ლი შედეგები ამ ურთიერთობისა და თვით ანტონის ორიგინალური შემოქმედება.

1757 წ. დასაწყისიდან ანტონი რუსეთშია. მის იქ დამკვიდრება-მდე ქართველთა რამდენიმე თაობა მოსკოვის სამეფო კარზე ემიგრაციის დროს უკვე ნაზიარები იყო რუსულ კულტურასა და მეცნიერებას. ესენი იყვნენ, უმთავრესად, ერეკლე პირველის, არჩილ მეორისა და ვახტანგ მეექვსის ამალის წევრები. თითოეულ ამალაში ასობით ქართველი შედიოდა⁸. მათ სხვა მეცნიერებებთან ერთად გრამატიკის ზოგადი წესებისა და გრამატიკული ანალიზის მეთოდების შესწავლაც დაუწყიათ. ქართული ენის გრამატიკის შედგენის ცდის შესახებაც არსებობს ცნობები რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ანტონ პირველმა რუსეთში ჩრული ექვსი წელი დაყო (1757 წლის იანვრიდან 1763 წლის დასაწყისამდე). სწორედ ამ პერიოდში ეწევა ის ინტენსიურ მეცნიერულ მოღვაწეობას. იგი დაინტერესებულია რუსეთის საზოგადოებრივი და კულტურულ-მეცნიერული ცხოვრებით, თვალყურს ადევნებს „სანგთ-პეტერბუხის აკადემიის“ საქმიანობას⁹.

ანტონი, რა თქმა უნდა, კარგად იცნობდა XVIII ს-ის ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების პოლემიკას რუსული სალიტერატურო ენის საკითხებზე: ამ დროს ის დაინტერესებულია ბერძნულ-ლათინურის, რუსულისა და სხვა ევროპულ ენათა გრამატიკებით, ცხოველი ურთიერთობა აქვს სხვადასხვა ენების სპეციალისტებთან, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს „ქართული ლრამატიკის“ II რედაქციის წინასიტყვაობაში: „... როსსიასა შინა ყოფასა ჩემსა ვიკითხუდი ელინური-სა, და ლათინურისა, და ჭრანციულისა, და იტალიანურისა, და გერმანიულისა, და რუსულისა ენათა მეცნიერთად. ვითარმედ ვითარიმე იყო გუარი კმარებად ნაწილთა სიტყუსათა და სახელთა მათთა ენათა მათ შორის თქმულთა, და მომიგებდიან და საცნაურ ჩემდა ჰყვან, და ესრეთ დაველოვნებულ იქმნა უმეტეს გონება ველოვნებისა ამისა მიმართ“¹⁰. აქ ანტონი გვამცნობს თავის განსწავლაზე გრამატიკაში ცნობილი და კარგად შესწავლილი ენების სპეციალისტთა შემწეობით; მას აინტერესებდა მეტყველების აწილთა ზოგადი (ენათათვის საერთო — გუარი) და კერ-

⁸ Вл. Татишвили, Грузины в Москве, Тб., 1950.

⁹ ს. ავალიანი, ანტონ პირველი, თბ., 1987, გვ. 59.

¹⁰ ანტონ კათალიკოსი, ქართული ლრამატიკა, HI 2256 (დატულია სო-ქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში), გვ. 1v.

ძო (ცალკეული ენის ფარგლებში — სახე) გამოვლინების სა-
კითხები.

XI საუკუნიდან ძველ რუსეთში გაბატონებული იყო საეკლესიო
სლავური (სს) ენა, რომლის თანდათანობით რუსიფიკაციის საფუ-
ძველზე ყალიბდება სს-ის რუსული სახეობა. ამ ენას მისი მოღვაწეო-
ბის ბოლო პერიოდში ვ. ტრედიაკოვსკიმ უწოდა სლავურრუ-
სული (Словенорусский).

სს-ის საგრძნობი რღვევა იწყება პეტრე დიდის მოღვაწეობის პე-
რიოდში. იმპერატორის პირადი მითითებით სახელმძღვანელოებისა და
მეცნიერული წიგნების გამოცემა დაიწყო რუსულ ენაზე. რუსულთან
პრინციპული დაპირისპირების საფუძველზე საეკლესიო სლავურის
არის ყოველმხრივი შევიწროება მიმდინარეობს XVIII ს-ის II ნახე-
ვარში ვ. ტრედიაკოვსკის, მ. ლომონოსოვის, ა. ბარ-
სოვის (ნ. კარამზინის მასწავლებლის) და სხვათა რეფორმე-
ბის მეოხებით. მათ დასახეს სალიტერატურო რუსული ენის ჩამოყა-
ლიბების გზები და თვითონვე იბრძოდნენ საკუთარ თვალსაზრისთა
რეალიზაციისათვის მწერლობაში. ანტონის რუსეთში ყოფნა ემთხვევა
სალიტერატურო რუსული ენისთვის გამართულ ამ დიდ ბრძოლებს.

ანტონ პირველის ენათმეცნიერული თვალსა-
ზრისის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამა-
შეს ქართულმა ეროვნულმა ლინგვისტიკამ
ტრადიციამ, პირადმა ურთიერთობამ იტალიელ
მისიონერებთან და მათი ნაშრომების გაცნო-
ბამ; მხითარ სებასტაციის სომხური ენის გრა-
მატიკის შტუდირებამ ფილიპე ყაითმაზაშვილ-
თან ერთად. და ექვსწლიანმა მეცნიერულმა მო-
ღვაწეობამ რუსეთში, სადაც გრამატიკის საკი-
თხების შესწავლას ის დიდ დროს უთმობდა.

„ქართული ღრამმატიკის“ I რედაქცია (1753) საშუალებას იძლევა
ვიკვლიოთ ავტორის მემკვიდრეობითი მიმართება ქართული გრამატი-
კული აზროვნების ტრადიციასთან, იტალიელ მისიონერთა ქართულ
გრამატიკულ და ლექსიკოგრაფიულ ნაღვაწთან და სომხური ენის გრა-
მატიკასთან; II რედაქცია (1767) კი ხელშესახებს ხდის იმ ცვლილე-
ბებს, რაც განიცადა ანტონის გრამატიკულმა თვალსაზრისმა რუსეთში
მოღვაწეობის პერიოდში.

1. რა დახვდა ანტონს საერთოდ ენათმეცნიერული აზრის, კერძოდ კი ქართული ენის შესწავლისა და სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების ძველი თუ ანტონის დროს მოქმედი პრინციპების თვალსაზრისით: ა) საკუთრივ ქართული მეცნიერული მემკვიდრეობა და ანტონის დამოკიდებულება მასთან; ბ) იტალიელ მისიონერთა ცდები ქართული ენის შესწავლისა (ქართული ენის გრამატიკებისა და ლექსიკონების შექმნა) და ანტონის დამოკიდებულება მასთან; გ) მხითარ სებასტაქის გრამატიკა და ანტონის დამოკიდებულება მასთან; დ) ანტონის მიერ რუსული ენათმეცნიერული აზრის გაცნობა „ქართული ღრამმატიკის“ II რედაქციის შექმნამდე; ე) „ქართული ღრამმატიკის“ I და II რედაქციის მიმართება.

1.0. გრამატიკის ორივე რედაქციას ახლავს წინასიტყვაობები, სადაც ანტონი ლაპარაკობს მიზეზებზე, რომელთაც იგი აიძულებს დაეწერა გრამატიკის ჯერ I და შემდეგ II რედაქცია. I რედაქციის ერთ-ერთ თავს ასეც ეწოდება: „მიზეზი კელყოფისა ამის წიგნისა“ (I,3r). ანტონს, როგორც ჩანს აწუხებდა, რომ ძველი ქართველი ავტორების ჩვენამდე მოღწეულ ნაწარმოებებში გრამატიკული ხასიათის არც ერთი წიგნი არ ჩანდა. ამას გარდა, გრამატიკის პოვნა სხვა ქართველ მოღვაწეებსაც ძალიან სურდათ, მაგრამ ვინაიდან ვერც ერთმა ვერ შეძლო ამ საქმის განხორციელება, თვითონ აუღია თავის თავზე გრამატიკის დაწერა. ამ საქმეში მას ეხმარებოდა „მღდელი ვინმე ნათესავით ერმანიანი... სახელით ფილიპპე ყაითმაზასშვილი“ (I,5r), რომელსაც ანტონი ძალიან დაუმეგობრდა და მისი დახმარებით სხვა წიგნებთან ერთად გადაწყვიტა გრამატიკაც დაეწერა.

საინტერესოა, რომ, ანტონის ცნობით, გრამატიკული საკითხების გაცნობა უკვე I რედაქციის წერისასაც ხდებოდა არა მარტო სომხური გრამატიკის საშუალებით: „გარნა მეცა და იგი ფილიპპე არა სომეხთა სა მარტო ეიკმარებდით ღრამმატიკოსობასა, არამედ ლათინთა ღრამმატიკოსთაცა ვკითხევდით... და მათ მიერ თქმულსაცა თან დავსდებდით

სომხურსა თანა და ესრეთ გარდამოვიღებდით“
(ხაზი ჩვენია. ე. ბ., თ. უ.) (I, 5r).

II რედაქციის წინასიტყვაობაში ანტონი საკიროდ თვლის შეახსენოს მკითხველს, რომ გრამატიკა სიბრძნის კარია და ამის გამო ის არ მოერიდა ორჯერ შრომას გრამატიკის შექმნისათვის. ამას გარდა, ანტონს მეორედ იმიტომ გადაუწყვეტია გრამატიკის დაწერა, რომ I რედაქციაში ბევრი რამ ყოფილა ქართული ენისათვის შეუსაბამო და გამოტოვებულიც. მიზეზი გასაგებია: ანტონისთვის ეს იყო გრამატიკის დაწერის პირველი ცდა და, ცხადია, ის შეცდომებისგან ვერ იქნებოდა დაზღვეული.

რუსეთში ყოფნისას ანტონს ქართულად ბევრი წიგნი გადმოუღია. ამას გარდა, როგორც აღვნიშნეთ, ის სხვა ენათა გრამატიკებსაც ეცნობა. ანტონის თქმით, გრამატიკის ამ ახალ, II, რედაქციაში განსაზღვრებებიც ახალია და სინტაქსიც გაადვილებულია ბევრი მაგალითის დამოწმებით.

II რედაქციის სამივე ნაწილი თუმცა „ახლისა ცნობისაებრ“ (I, 1 v) იქნა პარაგრაფებად დალაგებული, მაგრამ ამ გრამატიკის აღნაგობა ძირითადად ისევ ტრადიციულია, რომელსაც მიჰყვებოდნენ საშუალო საუკუნეების გრამატიკები და მათ შორის მხითარ სებასტაციან გრამატიკაც, რომელსაც ხშირად მიმართავდა ანტონი.

ანტონის გრამატიკის I რედაქცია შედგება წინასიტყვაობისა და სამი ძირითადი ნაწილისაგან (პირველ ორ ნაწილში მორფოლოგიური საკითხებია განხილული, მესამეში — სინტაქსური. მეორე ნაწილის დასაწყისში საუბარია გრამატიკის რაობისა და შესასწავლი ობიექტების, აგრეთვე ბგერების, შარცვლის, მეტყველების ნაწილებისა და წინადადების შესახებ). პირველსა და მესამე ნაწილებს დართული აქვს თავთავისი დამატებებიც (პირველი ნაწილის დამატება, ე. წ. „სიმეტნე“, გრამატიკის მოკლე კურსს წარმოადგენს, რომელიც განკუთვნილი იყო, როგორც ჩანს, სკოლებში გამოსაყენებლად და კითხვა-პასუხების სახით არცაა გაწყობილი, მესამე ნაწილის დამატება კი ეძღვნება ფონეტიკისა და ორთოგრაფიის საკითხებს).

II რედაქცია, თავის მხრივ, საკითხების განლაგებითაც და მსჯელობითაც პირველს იმეორებს, იმ განსხვავებით, რომ ამ რედაქციაში ანტონს აღარ შეუტანია „სიმეტნე“ და მსჯელობა სამი სტილის თეორიაზე. დებულებებიც აქ გაცილებით უფრო დახვეწილი, დამაჯერებელი და კატეგორიულია, ნაკლებია სიჭრელე ორთოგრაფიული თვალ-

საზრისით და სახელთა და ზმნათა პარადიგმებში აღარ დასტურდება ერთი და იმავე ფუნქციური ოდენობების ნაირნაირი ფორმები.

1.1. აქ უნდა შევეხოთ ერთ „უცნაურობას“, რაზეც ჯერ კიდევ ალ. ცაგარელმა მიუთითა ზურაბ შანშოვანის გრამატიკის წინასიტყვაობაში: მიუხედავად იმისა, რომ ანტონი არ იცნობდა ზურაბ შანშოვანის გრამატიკას, მათ ბევრი საერთო ლინგვისტური ტერმინი აღმოაჩინდათ (ზურაბ შანშოვანის გრამატიკა დაიწერა მოსკოვში 1737 წ., ხოლო ანტონისა — თბილისში 1753 წ.). ქართულ ენაზე დაწერილი სხვა გრამატიკა ორივესთვის უცნობი იყო, საკმაო რაოდენობის საერთო ტერმინები კი შეუძლებელია შემთხვევითობად მივიჩნიოთ.

ამ უცნაურობის გასაღები ერთია — ზურაბ შანშოვანისა და ანტონ პირველის ეპოქამდე ქართულად უკვე არსებობდა საგრამატიკო მეცნიერული ტერმინოლოგია, რომელსაც კარგად იცნობდნენ XVII—XVIII საუკუნეების ქართველი სწავლულნი. ეს ტერმინოლოგია მიმოქცევაშიც ყოფილა*.

გარკვეული ენათმეცნიერული დებულებები და ფართო მასშტაბის ლინგვისტური ტერმინოლოგია საქართველოში დასტურდება XI—XII საუკუნეების ძეგლებში. ვიდრე მათ განვიხილავდეთ საგრამატიკო ტერმინების თვალსაზრისით, მოვიყვანოთ ზოგ საზიარო ტერმინს ზურაბ შანშოვანისა და ანტონ პირველის ნაშრომთა მიხედვით:

ზურაბ შანშოვანი
წიგნი, ასო
მარცვალი
ლექსი
სიტყვა

ანტონ პირველი
წიგნი
მარცვალი
ლექსი
სიტყუა

* ამ კონტექსტში უთუოდ საუბრისას ჩანს ის ფაქტი, რომ „ქართული ღრამატიკის“ I რედაქციაში ანტონი ვითარებითში დასმული საწყისის („უჩინოს“) გვარზე საუბრისას საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ჩვენი მთარგმნელებიდან არავინ, „არცა თვით საკვრელმან მან იოანემან სამლოდ ჭილოსოქოსმან და ვრცელ ღრამატიკოსმან“ (I, 137r) არ მიაქცია ყურადღება „უჩინოში“ მოქმედებითი და ვნებითი გვარი ფორმების ერთმანეთისაგან გარჩევის საჭიროებას. II რედაქციაში გამეორებულია დებულება, რომლის მიხედვითაც „უჩინო“ გვარებს არ განარჩევს, ოღონდ ერთი შენიშვნით: თუ „უჩინოს“ წინადადების გარეშე გამოვიყენებთ, ვნებითის ნიშნად ვ უნდა ჩაერთოს (ჰაჰვად, წერვად...). ეს უკანასკნელი წესი იოანე ფილოსოფოსმა დაადგინაო, წერს ანტონი (II, 90r).

ნათესავი
ნაკუჭთი
სახე
რიცხვი¹

ნათესავი
ნაკუჭთი
სახე
რიცხვ

და სხვ.

1.2. ახლა განვიხილავთ იმ ლინგვისტურ ტერმინოლოგიას, რომელიც უკვე გამოვლენილია სპეციალისტთა მიერ XI—XII საუკუნეების ქართულ მწერლობაში და რომელსაც ეხმაურება XVIII ს-ის ნაშრომები. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა XI ს-ის II ნახევრის გრამატიკული ტრაქტატი, რომელიც მიეწერება ეფრემ მცირის სკოლის რომელიმე თეოლოგს — თვით ეფრემ მცირეს ან არსენ იყალთოელს. ეს არის „სიტყუაჲ ართრონთათჳს“. აღნიშნული ტრაქტატი სათანადო კომენტარებით გამოსცა მ. შანიძემ. მისი აზრით, ტრაქტატის ავტორად სტილისა და ზოგიერთი სხვა ნიშნის მიხედვით უფრო არსენ იყალთოელი უნდა ვივარაუდოთ. ქვემოთ ჩვენ ამ ვარაუდს დავემყარებთ.

არსენ იყალთოელი აღნიშნულ ტრაქტატში ბერძნული ართრონების ფუნქციის და ბრუნების მიხედვით ფორმაცვალების გვერდით განიხილავს მათ მიმართებას სათანადო ქართულ ფორმებთან. ამ მსჯელობაში ჩვენთვის ფრიად საინტერესოა გრამატიკული ტერმინები და მათი წარმოების წესი. ტრაქტატში გამოყენებულ ტერმინთაგან ბევრი დღემდე შემოგვრჩა. ბუნებრივია, მათ ვხვდებით XVIII ს-ის გრამატიკებში, ასეთებია: სახელი, ნათესავი „სქესი“; მიცემითი, წოდებითი (ბრუნვათა სახელებია). ბრუნვათა სახელების წარმოება ხდება საწყისთა ფორმებიდან მოქმედებითის -ით სუფიქსით (მიცემა — მიცემითი, წოდება — წოდებითი) ან სახელთა განყენებული ფორმებიდან იმავე -ით სუფიქსით: ადვილი — ადვილობა — ადვილობითი „წრფელობითი“ (ზღრ. ბერძნ. εὐμετρία „სწორი“, ძვ. ქართ. „წრფელი“), შობილი — შობილობა — შობილობითი „ნათესაობითი“, მიზეზი — მიზეზობა — მიზეზობითი „ბრალდებითი“. წარმოების აღნიშნული პრინციპი გამოყენებულია რიცხვის კატეგორიის ტერმინებშიც: ერთობითი, ორობითი, გამრავლებითი „მრავლობითი“.

¹ ზ. შანშოვანი, მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა, სანკტ-პეტერბურლი, 1881, იხ. ალ. ცაგარლის წინასიტყვაობა, გვ. XVI.

1.3. აღნიშნული ტერმინები და სხვაც ჩვეულებრივია ამ დროის თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ლიტერატურაში და გარკვეული ტრადიციის გამოხატულებას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს XII ს-ის თარგმანები ამონიოს ერმისის თხზულებებისა², რომლებშიც ლაპარაკია გრამატიკის დანიშნულების, ენობრივი მოკლენებისა და ენის ელემენტების შესახებ, როგორიც არის: ს ა ხ ე ლ - თ ა და ზ მ ნ ა თ ა ც ვ ლ ი ლ ე ბ ა, ს ი ტ ყ ვ ა თ ა წ ა რ მ - ე ბ ა და წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა; ბ გ ე რ ა, ტ ო ნ ი, ს ი ტ ყ ვ ა ლ ა ს ხ ე.

ბერძნული ტერმინები ზოგჯერ პირდაპირ გადმოდის, მაგრამ ხშირად მათ აქვთ ქართული შესატყვისები, რომლებიც ეხმიანება აზრონთა შესახებ დაწერილი ტრაქტატის ქართულ ტერმინოლოგია³, ესენია ბრუნვათა სახელები: ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი, მ ი ც ე მ ი თ ი, მ ა - ზ ე ზ ო ბ ი თ ი (პარალელურად გ ე ნ ი კ ი, დ ო ტ ი კ ი, ა ი - ტ ი ა ტ ი კ ე); აქვე ვხვდებით ამ ტერმინებს: ა ს ო, „ბგერა“, მ ა რ - ც უ ა ლ ი (დღევანდელი მნიშვნელობით), თ ქ უ მ ა ო რ ი მ ა (ბერძნ. ῥήμα) „ზმნა“, ს ი ტ ყ უ ა „წინადადება“, ნ ა წ ი ლ ი „მეტყველების ნაწილი“, დ ა კ უ ე თ ა „ფლექსია“; გარჩეულია პირდაპირი ბრუნვა — მ ა რ თ ლ ი ს ე ბ რ პ ტ ო ს ი და ირიბი ბრუნვა — ი გ უ რ დ ი ო - ბ ი ს ა პ ტ ო ს ი, ლ ე ქ ს ი „სიტყვა“ (ზდრ. ბერძნ. λῆξις), რომელიც XX ს-მდე შემოინახა ქართულმა სამეცნიერო ტერმინოლოგიამ. აქვეა ქართულში ტრადიციულად ქცეული მახვილთა სახეობებია ბერძნული ტერმინები: ოქსვნომენი, დასვნომენი, ფსილომენი.

მაია რაფავა თავის გამოკვლევაში, რომელიც ეხება ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართულ თარგმანებს, სპეციალურად განიხილავს ზოგიერთ ლინგვისტურ ტერმინს ამ თარგმანთა წინა და მომდევნო პერიოდების ძეგლებში, კერძოდ, იოანე პეტრიწის „ბოლოსიტყუათა“³ და საბა ორბელიანისა და ანტონ პირველის ნაშრომებში დადასტურებულ შესაბამის ტერმინებთან მიმართებით.

2 ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნათელა კეჭალმაძემ და მაია რაფავამ, გამოკვლევა, ლექსიკონი, სამიებლები დაურთო მაია რაფავამ, თბ., „მეცნიერება“, 1983.

3 ერთვას იოანე პეტრიწის თარგმანს — „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიალოგოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს“. იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, თბ., 1937, გვ. 221.

აქ მსჯელობა ეხება მახვილისა და შემართვის სახეობათა ფო-
ნოლოგიურ მიმართებებს (სიტყვები განსხვავდებიან მახვილის ა-ე-
გილისა და შემართვის სხვადასხვა სახეობათა მიხედვით). ამჟამად
ჩვენთვის არსებითია ის, რომ ამონიოსის თხზულებათა თარგმანებში
(გვ. 109—110) ბერძნული ტერმინები პირდაპირ არის გადმოღებული:
ტ ო ხ ო ჯ, ო ქ ს ჯ ნ ო მ ე ნ ი, პ ა რ ო ქ ს ჯ ნ ო მ ე ნ ი, დ ა ს ჯ ნ ო-
მ ე ნ ი, ფ ს ი ლ ო მ ე ნ ი, ხოლო უფრო ადრეულ ნაშრომში — იოა-
ნე პეტრიწის ზემოთ აღნიშნულ ორიგინალურ ბოლოსიტყვაობაში ამ
ტერმინებს ახლავს ქართული კორელატები და სათანადო განმარტე-
ბანი: ოქსია — მ ა ხ ჯ ლ ი, ფსილი — წ ი ლ ი, დასია — წ ყ ნ ა რ ა ჯ
წ ა რ ს ა ვ ლ ე ლ ი ს ი ტ ყ კ ს ა ჯ (იხ. გვ. 221). ამათ გვერდით იოა-
ნე სხვა ფონეტიკურ და პუნქტუაციურ (რაც აგრეთვე ტონს უკავ-
შირდება) ტერმინებსაც განმარტავს, როგორიცაა: პ ე რ ი ს პ ო მ ე ნ ა
„გარემორთხმული“, ტ რ ო ფ ო ს „უკუთქცეველი“, ვ ა რ ი ა „მძიმე“,
ვ პ ო დ ი ა ს ტ ო ლ ი „წერტილი“, უ ფ ე ნ „შემკრველი“.

მაია რათავა შენიშნავს: „პეტრიწისეული განმარტება გამოყენე-
ბული აქვს სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში. მხოლოდ
სულხან-საბას ფსილის განმარტება არაზუსტად მოუცია...“⁴. აქვე და-
ძენს, რომ ფსილის პეტრიწისეულ გაგებას „მხარს უჭერს ანტონისეუ-
ლი განმარტებაც“⁵.

ცნობილია, რომ ანტონის „ქართულ ღრამმატიკაში“ აქ აღნიშნულ
სხვა ტერმინებსაც ვხვდებით ქართული თარგმანით: ოქსია — მახვლა,
იპოდოსტოლი — გარემორთხმული, ვარია — მძიმე, სტილმა — წერ-
ტილი და სხვ. (იხ. II, 156v, 157r—§§ 48, 49, 50).

ანტონი ჩამოთვლის სასვენი ნიშნების შემდეგ სახეებს: 1. ქუშ-
დაზიდული || მძიმე || ვარია || ქუშწერტილი; 2. შუა წერტილი || წე-
ო-ტილი || ერთი წერტილი||სტილმა; 3. დასასრულ წერტილი || ორწერტი-
ლი || აღსასრულ წერტილი; 4. ფრჩხილი; 5. გარემომრთხმელი || (ვ)
იპოდოსტოლი; 6. ნელიადი; 7. ქუშნაშთი; 8. ოქსია || მახვლი (I, 197
2v; II, 156v—157r).

ანტონის პუნქტუაციური ტერმინები ზოგი სომხურის კალკია
(ქუშდაზიდული, ქუშწერტილი, შუა წერტილი, დასასრულ წერტილი,
აღსასრულ წერტილი, ფრჩხილი, ნელიადი, ქუშნაშთი), ზოგი ბერძნუ-
ლის (ვარია, სტილმა, ვიპოდოსტოლი, ოქსია), ზოგი კი ძველი ქარ-

⁴ ამონიოს ერპისის თხზულებანი ქართულ მწერლობაში, გვ. 0109.

⁵ იქვე.

თული დამწერლობიდან არის აღებული (მძიმე, წერტილი, ერთი წერტილი, ორწერტილი, გარემომრთხმელი).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ ბერძნული ტერმინის თარგმანი მოცემულია მხითარ სებასტაციის გრამატიკაშიც⁶, ასე რომ ანტონი ამ შემთხვევაში ანგარიშს უწევს, ერთი მხრით, შვიდსაუკუნოვან ქართულ მეცნიერულ ტრადიციას, მეორე მხრით, უნდა ვივარაუდოთ, მხითარის გრამატიკასაც, როგორც ერთგვარ დადასტურებას.

როგორც ვხედავთ, ბერძნული ტერმინების ქართული კორელატივი ერთი და იგივეა, საერთოა მათი გაგებაც, როგორც ტერმინებისა. ეჭვს გარეშეა, რომ აქ საქმე გვაქვს შვიდსაუკუნოვან მეცნიერულ ტრადიციასთან, რომელიც ამოსავეალში ქართულ ენათმეცნიერულ აზრს უკავშირებს ბერძნულ სამყაროს.

ამას გარდა: მიუხედავად იმისა, რომ ანტონის მიერ ნახმარი ზოგი ტერმინი მოყვანილობა-გამოსახულების მიხედვით ასოთა ნიშნების სახელწოდებების ჩამოთვლისასაც [მთავარი დადებითა ანუ კანონთა საზენაო, ასომთავრული, მკრგლოვანი, ნოტრი, ყოვლიადი||საზოგადო, ყუავისფრჩხილოუანი, ასომთავრული თხზული (I,191r-v; II,152r-v)] თანხვედრა მხითარისას, ის მაინც აქაც გარკვევით ძველი ქართული დამწერლობის სახეების აღმნიშვნელ ტრადიციულ ტერმინებს ხმარობა: ამაზე დამატებით მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ანტონი აქ არაერთგზის განაზღვრს, რომ ესა თუ ის დამწერლობა „ქართულშლთა ენისანი“-ა და „ჩუშნ, ქართულშლთა მიერ“ არის ნახმარიო.

1.4. არსენი იყალთოელის გრამატიკული ტრაქტატი „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ კარგად ყოფილა ცნობილი XVII და XVIII ს-ის მწიგნობართათვის. მ. შანიძის მტკიცებით, მას იცნობდა სულხან-საბა ორბელიანი: ართრონის საბასეულ განმარტებაში, წერს იგი, „... გარკვევით მოისმის გაჰოძახილი ტრაქტატის მასალისა“⁷.

გრამატიკული აზროვნების ჩამოყალიბებისა და სათანადო ლიტერატურის შექმნის თვალსაზრისით საყურადღებოა მ. შანიძის შემდეგი განცხადება: „...სიტყუაჲ ართრონთათჳს“ არის უტყუარი საბუთი იმისა, რომ ქართველებს XI—XII საუკუნეებში მართლაც ჰქონიათ გრამატიკული ლიტერატურა. ეს იმასაც მოწმობს, რომ მოგვიანო ეპო-

⁶ *Մխիթար Սեպուհյանցի. Գրադարանային դրամատիկ լեզուի հայկադան ևսով. Ի Վենետիկ, 1730-*

⁷ მ. შანიძე. „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ — ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990, გვ. 76.

ქაში XVI—XVII საუკუნეების მწიგნობართ წინ დაუხედათ ენათმეცნიერული კვლევის ხანგრძლივი ტრადიციები. როგორც ირკვევა, ამ ტრადიციათა ჩამოყალიბებას ხელს უწყობს არა სომხური, არამედ ბერძნული კულტურის გარემო⁸.

1.5. მ. შანიძის ეს ვარაუდი შეიძლება განვამტყიცოთ ზოგიერთი სხვა რიგის ფაქტებითაც.

იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანის აშიაზე ეფრემ მცირეს ასეთი კომენტარი დაურთავს: „ღრამმა „წერილად“ გამოითარგმანების, ხოლო ღრამმატიკოსი — „დამადნობლად“, რაჟთა რაჟამს სთქუა: „ღრამმატიკოსი“, უწყოდე, ვითარმედ დამადნობელსა იტყუ წერილთასა, ესე იგი არს, რომელი დაჰქსნის სიმყვრტესა სიტ[ყუათასა], სიღრმით შეყინებულთასა“⁹.

ეფრემის კომენტართან დაკავშირებით ზ. სარჯველაძე შენიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული სიტყვის ეფრემისეული ახსნა არაა სწორი, იგი სწორად განმარტავს გრამატიკოსის, მწიგნობრის მნიშვნელობას. გრამატიკოსი იყო პირი, რომელსაც შეეძლო აეხსნა წერილის, წიგნის (სალიტერატურო ენის) ძნელად გასაგები ადგილები“¹⁰.

საქმე ის არის, რომ გრამატიკოს სიტყვის ეტიმოლოგიას თვით ეფრემი კი არ იძლევა, არამედ იმეორებს IX ს-ის ბიზანტიელი კომენტატორის ვარაუდს¹¹, რომელიც ემყარება ᾱραματικῆς ფორმის თავისებურ გაგებას, კერძოდ: მას გამოუყვია ᾱηζη-ის „გაღლობა“ მნიშვნელობა ᾱραμα-ს გვერდით სიტყვა ᾱραμαδικῆ-ს არა-სწორი დაშლის საფუძველზე და იძლევა ასეთ განმარტებას: „გრამატიკას უწოდებენ მას ასოთა გამოწრთობისა (გამოდნობისა) და განწმედის გამო: მსგავსად იმისა, როგორც ცეცხლში გამოდნობილი ოქრო, ანუ ჩამოსხმული, უფრო განწმედილია, ასევე ასონი დაშლილნი

8 მ. შანიძე, „სიტყუაი ართრონათჳს“, გვ. 74—75.

9 იოანე დამასკელი, დიალექტიკა, გამოსცა მ. რაფაევამ, თბ., 1976, გვ. III, კა. I.

10 ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 218.

11 ამ ადგილზე მიგვიითთა ნ. მახარაძემ.

(„დანაწევრებულნი“) და განწმედლინი და გამობრწყინებული გრამატიკის ცოდნით უფრო ნათელი და კაშკაშა ჩანან“¹².

უდავოა, რომ ციტირებული პასაჟები ერთი აზრისა და ერთი სტილისაა — ეფრემი იმეორებს დიონისე თრაკიელის IX ს-ის ბიზანტიული განმმარტებლის აზრს, რაც ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს „ბერძნული კულტურის გარემოსთან სიახლოვეს“, რომელზეც მ. შანიძე მიუთითებს არსენი იყალთოელის გრამატიკული ტრაქტატის განხილვის დროს. აქ ლაპარაკია გრამატიკის მნიშვნელობის დიონისე თრაკიელითა და მისი განმმარტებლებისეულ გაგებაზე. იგი ცხადდება ლოგიკურ ხელოვნებად, რომელსაც, კითხვა-პროსოდის ცოდნის მიწოდების გარდა, ევალება ტროპების ახსნა, ძნელ სიტყვათა განმარტება, ანალოგიის გამოჩენა და სხვ.; ზღრ. ეფრემ მცირის „რომელი დაჰყვანის სიმყვრტესა სიტყუათასა...“, ე. ი. ძნელად გასაგებ სიტყვას გასაგებად წარმოადგენს... ამავ დროს, როცა ბიზანტიელი განმმარტებელი ლაპარაკობს ასოთა განწმედასა და გამობრწყინებაზე გრამატიკოსის ხელში, საქმე გვაქვს მეტაფორულ მსჯელობასთან: აქ ლაპარაკია გრამატიკოსის მიერ სამწერლო ენის განწმედაზე მდაბიური და უხეში მინარევებისაგან. ეს უთუოდ კარგად ესმოდა ეფრემსაც, შემდგენელს მეტაფორული ხასიათის ლექსიკონისა ფსალმუნთა თარგმანების შესავალში (იხ. მ. შანიძის „შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა“, საიუბილეო, თბ., 1968).

კარგად არის ცნობილი, რომ XI—XII საუკუნეების ქართველთეოლოგები (ეფრემი, არსენი, იოანე პეტრიწი და სხვ.) ორიგინალში ეცნობოდნენ ანტიკური ფილოსოფიის მოძღვრებებს. ვფიქრობთ, ზემოთ განხილული ფაქტი იძლევა იმ ვარაუდის საშუალებასაც, რომ ისინი გრამატიკული საკითხების შესწავლის დროსაც მიმართავდნენ წინა პერიოდის ელინურ-ბიზანტიურ გრამატიკულ ტრაქტატებს.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მეორე ფაქტიც, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი თავის განმარტებებთა ამყარებენ დიონისე თრაკიელის IX—X საუკუნეების განმმარტებელთა დებულებებს, კერძოდ: ბერძნულ *ἐπιστολική*-ს ქართულ ძველ მწეოლობაში აქვს ორი შესატყვისი მზაპასუხოება (ეფრემ მცირე) და მზამეტყუზლება (იოანე პეტრიწი). ქართული კორელატები ლა-

¹² Scholia in Dionysii Thracis artem grammaticam. Recensuit at apparatus criticum indicit Alfreds Hilgard, MCML, გვ. 565 (თარგმანი ნ. მახარაძისა).

ტერატურაში ითვლებოდა მცდარ ლექსიკურ კალკებად. შეცდომის სა-
თავედ ს. ყაუხჩიშვილი იოანე პეტრიწის შრომებისთვის წამძღვარე-
ბულ შესავალში მიიჩნევდა ჰεσμοῦ „ნამდვილი“, „ჰეშმარიტი“ და
ἑσμοῦ „მზა“ სიტყვების აღრევას იმ მიზეზით, რომ საშუალო ბერძ-
ნულში οι კომპლექსი იკითხება როგორც ხ ამ პოზიციაში¹³. აღმო-
ჩნდა, რომ ანონიმი განმმარტებელი დიონისეს გრამატიკისა ეტიმოლო-
გიას მიიჩნევს სწორედ „მზა განმარტებად სიტყვისა“ (ვე-
ნეციის წმ. მარკოზის ბიბლიოთეკა, 310)¹⁴.

უკანასკნელ შევეხებით ერთ ბერძნულ ტერმინს, რომელსაც ზურაბ
შანშოვანი და ანტონ კათალიკოსი ერთი მნიშვნელობით ხმარობენ. ეს
არის ტერმინი სქესი. მას ზურაბ შანშოვანი ხმარობს დღევანდელი
ტიპის მნიშვნელობით: „პირველისა სქესისათვის, რომლისა საწრფე-
ლოსა დასასრული არს ი...“¹⁵. ლაპარაკია ბრუნების პირველ ტიპზე,
რომელშიც ზურაბ შანშოვანმა გააერთიანა სახელობითი ი ხმოვანზე
დაბოლოებული სახელები; აქვეა ქვეთავი — „მეორე სქესისათვის“,
რომელიც გულისხმობს ბრუნების მეორე ტიპს¹⁶. ანტონის გრამატიკის
I რედაქციაში „ბრუნების სქესი“ ავრეთვე ბრუნების ტიპს ნიშნავს:
„და არცალა იცის ჩუშულებამან ქართულთა ენისამან, რაფთა სხუა-
ნიმცა იქონონ თითოთა ბრუნებისა სქესთა საკუთრად და იგი სხუასა
ბრუნებასა არლარა ეგმაროსცა“¹⁷. ლაპარაკია იმაზე, რომ ქართულში
ცალკეულ სახელებს არა აქვთ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი
ბრუნება, ე. ი. არსებობს ბრუნების ერთი საერთო ტიპი.

სქესი (ბერძნ. σχῆμα, საერთო სახის (ტიპის) გაგებით ნახმარი აქვს
იოანე პეტრიწს პროკლეს „კავშირის“ თარგმანში¹⁸. ამ ტერმინს ტი-
პის (resp. სახის) მნიშვნელობით ვხვდებით ამონიოს ერმისის თხზუ-
ლებათა XII ს-ის ქართულ თარგმანშიც. სწორედ ამ თარგმანის მი-

¹³ იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. I, თბ., 1940, გვ. XIII.

¹⁴ Scolia in Dionisii Thracis..., გვ. 568; Н. А. Махарадзе, Термин
ἑσμολογία (этимология) и его древнегрузинские эквиваленты, Научн. конф,
«Проблемы классической филологии». Тб., 18—21. XI.1986.

¹⁵ ზ. შანშოვანი, მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, გვ. 14.

¹⁶ იქვე, გვ. 16.

¹⁷ ანტონ კათალიკოსი, ქართული ღრამმატიკა, A 531, 7r—7v.

¹⁸ იოანე პეტრიწი, შრომები, I, გვ. 75, 78.

ხედვით განმარტავს საბა სქესის თავის ლექსიკონში¹⁹, რომელსაც კარგად იცნობდნენ ზურაბ შანშოვანიცა და ანტონ პირველიც. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვახტანგ მეექვსის კარის მწიგნობართა მსჯელობაში სქესი „ტიპის“, „სახის“ გაგებით ჩვეულებრივად იხმარებოდა. ისინი კარგად იცნობდნენ XI—XII საუკუნეების ფილოსოფიურ ნაშრომებს. ამ გზით იგი ცნობილი გახდებოდა ზურაბ შანშოვანისთვისაც²⁰. რაც შეეხება ანტონს, მსგავსად საბა ორბელიანისა, იგი თვითონ სწავლობდა აღნიშნულ ფილოსოფიურ ლიტერატურას²¹. აქვე შევნიშნავთ, რომ ანტონის გრამატიკის II რედაქციაში ბ რ უ ნ ვ ე ბ ი ს ს ქ ე ს ი უკვე აღარ გვხვდება. აქ ანტონს შემოაქვს ახალი ტერმინი — კ ა ნ კ ლ ე დ ო - ბ ა, ხოლო ს ქ ე ს ს, როგორც ტერმინს, უკვე სხვა მნიშვნელობა ეძლევა²².

1.6. კარგად ჩანს, რომ ძველ მწერლობაში არსებული ქართული ლინგვისტური ტერმინებით შეიძლებოდა მსჯელობა გრამატიკის თითქმის ყველა დარგზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თვით გრამატიკული მეცნიერებაც სათანადო სიმაღლეზე უნდა ყოფილიყო. ამისი უშუალო დადასტურებაა ორიგინალური ქართული გრამატიკული ტრაქტატი „სიტყუაჲ ართრონათჳს“.

XIII—XVI საუკუნეთა ძნელბედობამ ბევრი რამ წარიტაცა, მაგრამ ძლიერმა ტრადიციამ შემოინახა ტერმინები, რომელთა მნიშვნელობა ენათმეცნიერულ გარკვეულ ცოდნასაც ვარაუდობს (ტერმინები ხომ ცოდნის — გარკვეული მსჯელობის გადმოსაცემად არის საჭირო). ამის გვერდით უთუოდ მნიშვნელოვანია ორთოგრაფიული მემკვიდრეობაც: ზურაბ შანშოვანიცა და ანტონიც. უ მ კ ო მ პ ლ ე ქ ს ი მ წესით ხმარობენ, რომელიც XI საუკუნიდან დამკვიდრდა. ამით კიდევ ერთხელ ესმება ხაზი XVII—XVIII საუკუნეების მოღვაწეთა კავშირს XI—XII საუკუნეების მეცნიერულ მემკვიდრეობასთან, რაც, უპირველეს ყოვლისა,

¹⁹ ამონიოს ერმისი, დასახ. ნაშრ., გვ. 55 და საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, თბ., 1949 (სქესი).

²⁰ ცნობილია, რომ ზ. შანშოვანის მიერ არისტოტელეს ნაშრომთა სომხურიდან ქართულად თარგმნის დროს ტექსტს ვახუშტი მართავდა ქართულად (იხ. ზ. შანშოვანი, მოკლე ლამამატიკა, გვ. IX).

²¹ კერძოდ, ანტონს ამონიოსის თხზულებიდან აუღია ფილოსოფიის განსაზღვრება. იხ. ს. ავალიანი, ანტონ პირველი, გვ. 104.

²² უნდა აღინიშნოს, რომ იმავე I რედაქციაში ტერმინი „სქესი“ „ტიპის“ მნიშვნელობით მხოლოდ ამ ერთ შემთხვევაშია გამოყენებული, შემდეგ მას სხვა მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, სქესი ან სახელია ერთ-ერთი კატეგორიაა დღევანდელი მნიშვნელობით, ან ზნის ერთ-ერთი კატეგორიაა „კილოს“ მნიშვნელობით.

გამოიხატებოდა ამ მემკვიდრეობის პატივისცემით მიღებასა და შემ.-
ქმედებითად ათვისებაში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა კიდევ **ფ**
ასოს შეტანა ქართულ ლექსიკონებსა და გრამატიკებში (საბას ლექსი-
კონში, ზურაბ შანშოვანისა და ანტონ კათალიკოსის გრამატიკებში),
მაშინ, როცა არც ერთ იტალიელ მისიონერს მათთვის მშობლიური ენის
მიხედვით ბუნებრივი ბგერის ეს ნიშანი არ შეუტანია ქართული ენის
გრამატიკასა თუ ლექსიკონში, თუმცა ძველ ქართულ ძეგლებს, ჩანს,
იტალიელებიც კარგად იცნობდნენ, მაგალითად, ცნობილია, რომ ბერ-
ნარდო ნეაპოლელი XVII საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაახლო-
ებული იყო ვახტანგ მეხუთის (შაჰნავაზის) სამეფო კართან და სარგებ-
ლობდა უფლისწულის გიორგი მეთერთმეტის ბიბლიოთეკით²³. ქარ-
თველებს კი იმის გამო, რომ „ესე ჭა ძველს წიგნებში ჯდა“²⁴, ანბან-
ში შეაქვეთ. საბას მიერ მითითებული „ძველი წიგნები“ სწორედ XI—
XII საუკუნეებში ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი წიგნებია,
რომლებშიც ბერძნული ფ-ს ხმარება ჩვეულებრივია ისეთ სიტყვებში,
სადაც მას ბერძნული ენა ხმარობდა (ფილოსოფოსი, ეპიქანია...) ²⁵.

შეიძლება დავასკვნათ, რომ XI—XII საუკუნეების მეცნიერული
ტერმინოლოგიისა და ორთოგრაფიული წესების ფუნქციონირება
XVII—XVIII საუკუნეებში უდავოდ მიგვიტოვებს შეწყვეტილი ქარ-
თული მეცნიერული ხაზის აღდგენაზე.

2. მეორე არსებითი ხელშემწყობი ვითარება, რამაც შეაძირობა ან-
ტონ პირველის გრამატიკული მოღვაწეობის ფრიად მაღალი ხარისხი,
არის იტალიელი მისიონერების მიერ შექმნილი
ქართული ენის შესწავლის ასწლიანი ტრადი-
ცია.

2.1. როგორც ცნობილია, 1628 წლიდან საქართველოში მოღვაწეო-
ბას იწყებენ კათოლიკე მისიონერები. ისინი განაწილდნენ საქართვე-
ლოში და დიდი მონდომებით შეუდგნენ ქართულის შესწავლას ი
კუთხეებში, სადაც უნდა ექადაგათ. მათი გრამატიკები და ლექსიკონ-
ები ემყარება არა სამწერლო ქართულს, არამედ XVII ს-ის სამეტყვე-
ლო ქართულს. მათ დააარსეს სკოლები, სადაც ლათინურისა და იტა-
ლიურის გვერდით ქართულ ენასაც ასწავლიდნენ საკუთარი გრამატი-

23 2. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ.
462—3.

24 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, იხ. **ძ**.

25 იხ., მაგალითად, იოანე დამასკელი, დიალექტიკა, გვ. 51.

კებისა და ლექსიკონების მიხედვით²⁶. ისიც ცნობილია, რომ პირველ ხანებში მათ დიდი გავლენა ჰქონდათ როგორც სამეფო კარზე, ისე მოსახლეობაზე²⁷.

მისიონერთა მოღვაწეობა ქართული ენის შესწავლისა და სათანადო სახელმძღვანელოების შექმნის მიხედვით შეიძლება ორ პერიოდად დავყოთ: ანტონ პირველამდე და ანტონის მოღვაწეობის დროიდან ბოლომდე, ვიდრე საქართველოში იყვნენ. პირველ პერიოდში მისიონერები თვითონ ქმნიან დამოუკიდებლად ამ სახელმძღვანელოებსა და ორენოვან ლექსიკონებს (ქართულ-იტალიურსა და იტალიურ-ქართულს). სახელმძღვანელოების ხარისხი თანდათან უმჯობესდებოდა ქართული ენის უკეთ დაუფლების კვალობაზე. შესაძლებლობა გვაქვს ამ მხრივ შევადაროთ ფრანჩესკო-მარია მაჯოს 1643 წ. გრამატიკა უცნობი მისიონერების მიერ 1724 წ., როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, გორში დაწერილ გრამატიკას²⁸, მას ქვემოთ მოვიხსენიებთ „გორული გრამატიკის“ სახელით. ამ ორ გრამატიკას რვა ათეული წელი უზის შუაზე. „გორულ გრამატიკაში“ საილუსტრაციო მასალა თითქმის უშეცდომოდ არის მოყვანილი, მაჯოს გრამატიკაში კი ქართული ფორმები ძალიან ხშირად არის დამახინჯებული.

მეორე პერიოდში სახელმძღვანელოები იქმნება ანტონის გრამატიკის გათვალისწინებით.

პირველი პერიოდიდან ჩვენი მიზნებისთვის აღსანიშნავი არიან შემდეგი პირნი: ანტონიო ჯარდინა, ფრანჩესკო-მარია მაჯო, მარია-ბერნარდო ნეპოლელი.

ანტონიო ჯარდინას შესახებ ვიცით, რომ ის კარგად ფლობდა ქართულს. ჯერ გორში უმოღვაწია, შემდეგ, XVII ს-ის ოცდაათიან წლებში, გადასულა გურიაში, იქ გაუხსნია სკოლა და შეუქმნია ქართული ენის სახელმძღვანელო, რომლითაც ასწავლიდა თავის სკოლაში²⁹. 1643 წ. რომში დაიბეჭდა ფრანჩესკო-მარია მაჯოს ქართული ენის გრამატიკა (მეორედ გამოსცეს რომში 1670 წ.). ფ. მაჯოც გურიაში მოღვაწეობდა. ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ ის იცნობდა ანტონიო ჯარდინას სახელმძღვანელოს. ამავე პერიოდში, XVII ს-ის სამოცდა-

²⁶ მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

²⁷ იქვე, გვ. 263.

²⁸ Q 500 — კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი; იხ. Н. К. Орловская, Анонимная грузинская грамматика XVIII в. на итальянском языке; თსუ. შრომები, ტ. 75, 1959, გვ. 142.

²⁹ მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

ათიან წლებში, მარია-ბერნარდო ნეაპოლელი ადგენს ქართულ-იტალიურ და იტალიურ-ქართულ ლექსიკონებს³⁰, რომლებშიც ზმნათა უღლების ფორმებიც არის წარმოდგენილი, თანაც ისეთ დონეზე, რომ პ. შუხარდტი ბ. ნეაპოლელს ფ. მაჯოზე მალა აყენებს³¹.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენები ანონიმი კათოლიკე მისიონერის იტალიურად დაწერილ ქართული ენის გრამატიკასა და ლექსიკონს, საილუსტრაციო მასალა ამ გრამატიკაში და თან დართულ ლექსიკონში (276 გვერდიდან გრამატიკას უკავია 33), როგორც ვთქვით, არსებითად სწორად და საქმის ცოდნით არის წარმოდგენილი: გარჩეულია ზმნათა სუბიექტური და ობიექტური პირები, მწკრივთა ფორმები, -ა ვ და -ა მ თემისნიშნაან ზმნათა უწყვეტლის ფორმები, სააქეთო ორიენტაციის ზმნისწინში ხმოვნის მორფონოლოგიური მონაცვლეობა (მო~მა-), რომელიც გავრცელებული ყოფილა იმდროინდელი ქართლურის ობიექტური წყობის ზმნათა ფორმებში და სხვ.

როდესაც საქართველოში მისიონის ახალი წევრები გამოჩნდებოდნენ, სწორედ ამ ტიპის სახელმძღვანელოებით შეუდგებოდნენ ხოლქე ქართული ენის შესაწვლას. ქართველ ბავშვებსაც ამავე სახელმძღვანელოებით ასწავლიდნენ.

2.2. გიორგი მეთერთმეტის სამეფო კარი ძალიან ახლოს იყო იტალიელ მისიონერებთან. კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადავიდნენ მეფე, ეპისკოპოსი და სხვა დიდგვაროვანნი, მათ შორის საბა ორბელიანიც³². უფრო ადრე პატრებს დიდი პატივისცემით ეპყრობოდა გიორგის მამა ვახტანგ მეხუთე (შაჰნავაზი), რომელმაც არაერთხელ იხსნა ისინი ქართველ მართლმადიდებელთა და სომეს გრიგორიანელთა რისხვისაგან. გიორგი მეთერთმეტე და ახალგაზრდა სულხან-საბაძე პატრების, კერძოდ, ბერნარდო ნეაპოლელის ფილოლოგიური საქმიანობის უშუალო მოწმენი იყვნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ გიორგი მეთერთმეტეს, რომელიც ახლო ურთიერთობაში იყო ბერნარდო ნეაპოლელთან, სალექსიკონო მუშაობა სულხან ორბელიანს სწორედ ამ მისიონერის წაბაძვით დააწყებინა. ბერნარდო ნეაპოლელს ქართული კარგად სცოდნია, რაც ქართულად დაწერილი მისი წერილებიდანაც ჩანს. ის თარგმნიდა როგორც ქართულიდან იტალიურად, ისე იტალიურიდან ქართულად.

30 Н. К. Орловская, Грузия в литературах Западной Европы XVII—XVIII веков, Тб., 1966, с. 198.

31 პ. შუხარდტი, წერილი რედაქციის მიმართ, „ივერია“, № 90, 1896.

32 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 262, 313 და შემდეგ.

1687 წ. 15 აგვისტოს სულხან-საბა ორბელიანმა თავადაც მიიღო კათოლიკური სარწმუნოება. მან აღწარმოა მომავალი მეფე ვახტანგ მეექვსე, რომელიც აგრეთვე ფარულად მოიქცა კათოლიკურ რჯულზე და საიდუმლო მიწერა-მოწერა ჰქონდა კათოლიკურ სამყაროსთან³³. აქ ჩამოთვლილ პირთაგან თითოეული დიდად იყო დაინტერესებული ფილოლოგიური საქმიანობით და, ბუნებრივია, მისიონერთა საეკლესიო, სასკოლო და ფილოლოგიურ მოღვაწეობას გულდასმით ადევნებდა თვალყურს. ზურაბ შანშოვანი, ავტორი 1737 წ. დაწერილი მოკლე ქართული გრამატიკისა, ვახტანგ მეექვსის სამეფო კარის მსახური იყო; ანტონ კათალიკოსი ქართული ენის გრამატიკის შემქმნელმა, გორის მისიონის წარმომადგენელმა ჭიროლიმომ და ნორჩიამ (იგივე იერონიმე ნორჩელი³⁴) მოაქცია კათოლიკურ რწმენაზე³⁵, რაც ოფიციალურად ეცნობა კიდევ რომს. ასეთ ვითარებაში გაუმართლებელი იქნება იმის ვარაუდი, რომ ზურაბ შანშოვანმა და ანტონ კათალიკოსმა იტალიელთა საგრამატიკო მოღვაწეობის შესახებ არაფერი იცოდნენ და მხოლოდ სომხური გრამატიკები ჰქონდათ სახელმძღვანელოდ, მხოლოდ მის მიხედვით ქმნიდნენ თარგმანის ტიპის ნაშრომებს ქართული ენის შესახებ.

2.8. ანტონი გვაუწყებს, რომ „სპეკალის“ წერა დაიწყო გორში 1752 წ. 1 ივლისს (დაამთავრა იმავე წლის ოქტომბერში თბილისში)³⁶. 1753 წ. ამთავრებს ქართული ენის გრამატიკის 1 რედაქციას. „სპეკალზე“ მუშაობის დროს მას, რა თქმა უნდა, სჭირდებოდა ლათინურის მცოდნე პირი, ასეთი იყო კათოლიკურ რწმენაზე მისი მომქცევი ჭიროლიმომ და ნორჩია, რომელიც იმ დროს გორში ცხოვრობდა. უდავოა, მათ მეცნიერული ურთიერთობა გრამატიკის ხაზითაც ექნებოდათ ამ დროს. ამავე ხანებში ანტონს გვერდით უდგას ფილიპე ყაითმაზაშვილი, რომელიც მას დეტალურად აცნობს მხითარ სებასტაქის სომხური ენის გრამატიკას. ანტონი თვითონ გვამცნობს, რომ, ფილიპეს და მე თუ გვიჭირდა გრამატიკის რომელიმე საკითხის გაგება, პატრებს მივ-

33 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 340.

34 ჭიროლიმომ ამ სახელის იტალიური ფორმა, Q 500-ს, „გორულ გრამატიკას“ კი ზემოდან აწერია ნუსხური ასოებით: „უფალო წარუშართე ჭიროლიმოს“. როგორც ჩანს, ქართველები ასე უწოდებენ მას. ჭიროლიმომ წარმოშობით უმბრიის ოლქის პერუჯის პროვინციის კ. ნორჩიადან იყო.

35 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 373.

36 ს. ავალიანი, ანტონ პირველი, გვ. 23.

მართავდით და ისინი გვიხსნიდნენ ზოლმე; მიუხედავად ქართულის აუსტი ცოდნისა, მაინც კარგად გვაგებინებდნენ³⁷.

2.4. მხითარ სებასტაციის გრამატიკის გავლენა განსაკუთრებით იგრძნობა ანტონის გრამატიკის 1 რედაქციაში ზოგადი დებულებებისა და ზოგჯერ გრამატიკული ტერმინოლოგიის ხაზით, ასე, მაგალითად, მხითარის გრამატიკიდან აუღია ანტონს გრამატიკის რაობის, მისი შესასწავლი ობიექტების განსაზღვრა, ნაწილობრივ ფონეტიკური და ორთოგრაფიული ტერმინოლოგია; მხითარის მიხედვით არის დაყოფილი ანტონთან წინადადებები კილოს მიხედვით, მოცემულია სიტყვის, მეტყველების ნაწილთა, ბრუნებისა და ბრუნვის განსაზღვრა, ზოგი ბრუნვის სახელწოდება. მხითარის მსჯელობას მისდევს ანტონი არსებითი სახელის სქესის გამოყოფისას, ზმნის განსაზღვრისას. მხითარისეულია ანტონთან ზმნების დაყოფა „არსებით“ (დამხმარე), „საქმონ“ ან „საქმით“, „კანუნიან“, „უკანონო“, „კლებით“ და „პირნაკლ“, მოქმედებით, ვნებით, საშუალ და საზოგადო ზმნებად; მხითარს მისდევს ანტონი ზმნის კილოს განსაზღვრისას და კილოს მიხედვით ზმნების დაყოფისას და ა. შ. შედარებით ნაკლებია მხითარის გავლენა ანტონზე სინტაქსური საკითხების განხილვისას, განსაკუთრებით II რედაქციაში, სადაც ის ბაუმეისტერის ლოგიკას ემყარება.

რადგანაც უდავოა, რომ მხითარის გრამატიკა ბერძნულ-ლათინური ფილოლოგიური გრამატიკის მიხედვით არის გაწყობილი, შეიძლება იმის დაშვებაც, რომ ანტონს ეს საკითხები ლათინური გრამატიკიდან აქვს აღებული და მხითარი აქ არაფერ შუაშია, მაგრამ ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ანტონს (ან ალბათ უფრო ფილიპეს) მხითარის ზოგი ტერმინი სიტყვა-სიტყვითა აქვს ნათარგმნი, ზოგი კი (განსაკუთრებით ეს ეხება კომპოზიტებს) არასწორად გაუგია და გადმოუთარგმნია. ასეთი ტერმინები და სიტყვებია: მომრგულალებითი (მახელი), დაადგილდგრომება (ცნობა, შეცნობა, ცოდნა), შესატყვსწერა (მართლწერა), აღმოცნობა (კითხვა, წაკითხვა), შინაგანსჯა (ფიქრი, ვარაუდი, ანალიზი), ქვენაშთი (გადატანის ნიშანი), განუკვეთელი ან განუჭრელი (სუბიექტური, ინდივიდუალური), გარემოლება (ბრუნება), სხმითგარდასლუთი (ნაწარმოები), აღმატებითი (განყენებული), კულამოლებითი (მიმართებითი), გარესლვად (უსწორო, თავისებური, დეფექტური), გაგონება (ცნება, შინაარსი, მნიშვნელობა, გონება, ჭკუა, აზრი), ზედმოლება (მიმართება), ნაკლზმნა (სახელზმნა), უჩინო (სა-

³⁷ ანტონ პირველი, ქართული ლრამატიკა, I, 5r, 11, 1v.

წყისი ვითარებით ბრუნვაში), მიმღებელობა || შემწყნარებელობა || მიმ-
თუალუცელობა (მიმღებობა), განკადებულებითი (მაცალკევებელი), ნა-
კლსახელი (ნაცვალსახელი)...

იმ გარემოებამ, რომ ანტონი „ქართული ღრამმატიკის“ არა ერთ
ადგილზე უთითებს მხითარ სებასტაციის სომხურ გრამატიკაზე, ზოგან
პირდაპირ წერს, ეს აზრი მხითარს ეკუთვნის, ეს კი სომეხთა, რომელ-
ნიც შემეწოდნენ გრამატიკის წერის დროს, გავლენითა და მოთხოვ-
ნით დაწერეს და სხვ. და სხვ., გარკვეულად განაპირობა ის, რომ ან-
ტონის გრამატიკა ისტორიკოსთა მიერ უდარდებოდა მხოლოდ მხი-
თარ სებასტაციის გრამატიკას. მეორე მხარე — კათოლიკე მისიონერ-
თა გრამატიკებისა და ლექსიკონთა გავლენა ანტონის გრამატიკაზე
საერთოდ გამოუკვლეველი დარჩა...

2.5. აქ უთუოდ უნდა აღვნიშნოთ ხაზგასმით ერთი ვითარება: სა-
შუალო საუკუნეების გრამატიკები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმა-
ნეთს, მიუხედავად იმისა, მათი შემდგენლები იცნობდნენ ერთიმეორის
ნაშრომს თუ არა, რადგან ამოსავალი ყველასთვის ბერძნულ-ლათი-
ნური გრამატიკებია.

დასავლეთ ევროპასა და რუსეთში ცალკეული ენებისთვის გრამა-
ტიკების შექმნა ინტენსიურად დაიწყო XIV—XV საუკუნეებში. პირ-
ველი ცდები სრულიად მოკლებულია ორიგინალობას. მეტყველების
ნაწილებთან დაკავშირებული დებულებები გრამატიკიდან გრამატი-
კაში გადადის, იცვლება მხოლოდ საილუსტრაციო მასალა (ისიც არა
ყოველთვის!)³⁸.

უნდა ვიფიქროთ, რომ გამონაკლისს ამ მხრივ არ წარმოადგენდა
არც მხითარი, რომელიც ვენეციაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და
არ შეიძლებოდა ასცდენოდა ბერძნულ-ლათინური ფილოლოგიური
გრამატიკის გავლენას. ჰროფ. ი. აბულაძის აზრით, ის ფაქტი, რომ
ქართველებმა სომხურ წყაროებს მიმართეს XVII—XVIII საუკუნეებ-
ში, იმით აიხსნება, რომ სომხებს ამ პერიოდში უფრო მჭიდრო ურთი-
ერთობა ჰქონდათ ევროპასთან. ეს ურთიერთობა „უმთავრესად ორ
პუნქტში დამყარდა. ერთს... ისპაჰანის ჯულა... წარმოადგენდა, ხოლო
მეორეს — ვენეტიკი იტალიაში...

³⁸ История лингвистических учений, Средневековая Европа, 1985.
მელეტი სმოტრიცკის სლავური ენის გრამატიკა, რომელიც დაიწერა
1619 წ. და გამოცა რამდენჯერმე, გრამატიკული განსაზღვრებებისა და ორთოგრა-
ფიის მიხედვით ღიდად არ არის დაცემული ბერძნული ენის გრამატიკებს — იხ.
Мелетий Смотрицкий, Грамматика словенска прѣвильные синтагма...

დასავლეთთან ახლობელი ურთიერთობის გამო ახლო საუკუნეების მანძილზე სომხური სალიტერატურო წრეები ეცნობიან დასავლეთის გრამატიკულ მწერლობას, რამაც შესამჩნევად დალი დაატყო სომხურ გრამატიკას. სახე ეცვალა „ძველი გრამატიკის“ (ე. ი. დიონისეს შრომის ან მათი კომენტარების მიხედვით გაწყობილთა) ყალიბზე ასხმულ შრომებს. მხითარ სებასტიელის... გრამატიკა... არის ამ მხრივ პირველი ყველაზე სრული ნიმუში ახალი ტიპის გრამატიკისა“³⁹.

2.6. ზემოთ წარმოდგენილ სიტუაციაში კონკრეტული გავლენის გამოსავლინებლად საჭიროა შედარება არა ზოგადი დებულებებისა და ცალკეული ტერმინების მიხედვით (მათ შესახებ ინფორმაციის მიღება ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე გზით), არამედ სახელთა და ზმნათა კონკრეტული პარადიგმების, ტერმინთა წარმოებისა და გამოყენების სისტემათა მიხედვით. ასეთი მიდგომა ანტონის გრამატიკაში ნათლად ელინდება იტალიელ მისიონერთა გრამატიკული ნაღვაწის კვალი, რომლის გამოცხადება საჭიროდ, როგორც ამას ის სომხური ენის გრამატიკიდან აღებული დებულებების მიმართ აკეთებდა, არ შეეძლო იმ დროის საქართველოში კათოლიკე მისიონერებთან ურთიერთობის მკაცრად შეზღუდვის გამო, საერთოდ, და განსაკუთრებით, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლს. ამ შეზღუდვისა და დევნის შესახებ ქვემოთ ვიმსჯელებთ, ახლა კი წარმოვადგენთ იტალიელთა დვაწლს ქართული ენის შესწავლის საქმეში და ანტონის გრამატიკის მიმართებას მასთან. რა თქმა უნდა, ევხებით იტალიელთა იმ ნაშრომებს, რომლებიც წინ უსწრებდნენ ანტონის მოღვაწეობას გრამატიკაში.

2.6.1. დავიწყებთ ბერნარდო-მარია ნეპოლელის ლექსიკონებით, რომლებიც შედგენილია XVII ს-ის სამოცდაათიან წლებში⁴⁰. ბერნარდო ნეპოლელი თავის ნაშრომებს მხოლოდ მასალად მიიჩნევდა მომავალი ლექსიკონისთვის, ამიტომაც უწოდებს მათ მონახაზს.

როგორც ქართულ-იტალიურ, ისე იტალიურ-ქართულ ლექსიკონში ბერნარდო ნეპოლელი არ კმაყოფილდება ზმნის აღმნიშვნელი

³⁹ ილ. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები, I. ზურაბ შანშოვანი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X—B, 1940. გვ. 142.

⁴⁰ Н. К. Орловская, Грузинские словари Бернардо Неаполитанского; литературული ურთიერთობანი, III, თბ., 1972.

სიტყვის მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობის გადმოცემით. ძალიან ხშირად სალექსიკონო სტატიის შიგნით მოცემულია ზმნის საუღლე-ბელი ფორმებიც. სალექსიკონო ერთეულად გამოტანილია აწმყოს. ფორმა, მას მოსდევს ნამყო უსრული (აღნიშნულია შემოკლებით „impf.“ ან „ipf.“—ლათ. imperfectum), ნამყო სრული (შემოკლებით „perf.“ ან „pf.“—ლათ. perfectum): შესაძლოა ზმნა წარმოადგენილი იყოს სამსავე პირში და მხოლოდით (აღნიშნულია „sg.“—ლათ. singularis) და მრავლობით (აღნიშნულია „pl.“—ლათ. pluralis) რიცხვებში, ამათ ხშირად ახლავს ბრძანებითისა (შემოკლებით „imp.“—ლათ. imperativus) და ნატვრითის (შემოკლებით „opt.“—ლათ. optativus) ფორმებიც. ქართულ-იტალიური ლექსიკონიდან სანიმუშოდ მოვიყვანთ დავჯდები ზმნას: „დაჯდები, perf. დავჯდექ (ასეა ე. ბ. თ. უ.), დაჯე დაჯდა; plur. დავჯექით, დაჯექით, დაჯდენ; imp. sg. დაჯე, plur. დაჯექით; opt. დავჯდე, დაჯდე, დაჯდეს“⁴¹. უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია ზმნათა აწმყოს, ნამყო უსრულისა და ნამყო სრულის ფორმები, ვთქვათ, ასე: „დუღს, ipf. დუღდა, perf. მოდუღდა“ ან აწმყოსა და მხოლოდ ნამყო სრულის ფორმები, მაგ.: „დავხევე, perf. დავხიე“; „მდის, pr. მედინა: ოფლი მდის“ და სხვ. ანალოგიური ვითარებაა იტალიურ-ქართულ ლექსიკონშიც⁴². ქართულ-იტალიური ლექსიკონიდან შევეხებით კიდევ გვანება ზმნის ფორმებს: ეს ზმნა ობიექტური წყობით სამ ადგილზეა შეტანილი: გასოზე (მეორე პირის ფორმის დასაწყისი), ჰ-ზე (მესამე პირის ფორმის დასაწყისი) და მ-ზე (პირველი პირის ფორმის დასაწყისი). ჰ-ზე დაწყებული ფორმები მოთავსებულია მ-ის რიგში (სწორედ ამიტომ ლექსიკონში ჰ-ზე დაწყებული მესამე პირის ფორმა უფრო წინ არის შეტანილი, ვიდრე მ-ზე დაწყებული პირველი პირის ფორმა), ე. ი. ბერნარდო ნეაპოლელი მერვე ე-ს (მ-ს) კითხულობდა [ჰ] ბგერად და ანბანშიც მასო შეუცვლია მასოთი, ოღონდ რიგში მე-მ ადგილზე დაუტოვებია. ვნახოთ სტატიები :„გგავს, მგავს, გგავს ეგავს (ბ. ნეაპოლელი აქ გ(ჰ)-ს იღებს ხუცური ანბანიდან, რომელიც კარგად

⁴¹ Sbozzo di Dittionario Georgiano—Italiano dell' Bernardo da Napoli... მიკროფლმი ინახება საქ. მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (წარმოდგენილ მაგალრთებში სტატების შიგნით პუნქტუაცია ჩვენია—ე. ბ., თ. უ.).

⁴² Sbozzo Dittionario dell' Idioma Georgiano dell' Bernardo da Napoli... მიკროფლმი ინახება საქ. მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში..

სკოდნია⁴³); „გ გ უ ა ნ ა ნ, plur. გიგუანან, imperf. გიგუანდა, perf. გიგუანდენ, optat. გგუანდეს“; „ჰგუანან, imperf. ჰგუანდა, perf. გუანდენ, opt. გუანდეს“; „მგუანან, imp. მგუანდა, pf. მგუანდენ, opt. მგუანდეს, გგუა“. აქ მოყვანილი ფორმები, გარდა პირთა გამოხატვისა, საყურადღებოა სხვა მხრივაც: ა) გამოყენებულია უმარცვლო უ ([ჟ]), რაც სვამს საკითხს — ბ. ნეაპოლელი ამ ბგერას საკუთარი სმენით არჩევდა ქართველთა მეტყველებაში კბილბაგისმიეროდ [ვ]-სგან, თუ შწიგნობრულ ტრადიციას მიჰყვება. საჭიროა ლექსიკონთა შესწავლა ამ მხრივ; ბ) გ გ უ ა (=გგუანდეს) ფორმასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. ნეაპოლელი ხშირად მიმართავს უღლების ფორმათა ტექნიკურ შემოკლებას ისე, რომ გამოტანილი ფორმის (სტატიის დასაწყისი) შემდეგ აღნიშნავს მხოლოდ ზმნისწინს (თუ იგი აქვს სტატიაში წინ გამოტანილ ფორმას), პირის ნიშანს და გვარის ან ქცევის ნიშანს; თვით ზმნის ძირი აღარ მეორდება, ასე, მაგალითად, „მეუბნების, გე, ე“. ეს ასე უნდა წავიკითხოთ: მეუბნების, გეუბნების, ეუბნების. ასევე: „მეფერება, გე, ე“; „მიმაქვს, მიგა, მია“, ე. ი. მიმაქვს, მიგაქვს, მიაქვს. ზოგჯერ ზმნის ძირის დასაწყისი თანხმოვანიც მეორდება: „მიგმობ, გიგ, უგ; pf. მიგმე... მიგმო“, „მეზმორება, გეზ, ეზ“ და სხვ. ეს შემოკლებები საყურადღებოა ჩვენთვის, რადგან, როგორც დავინახავთ ქვემოთ, ამას იყენებს 1724 წ. ქართული გრამატიკისა და იტალიურ-ქართული ლექსიკონის ანონიმი იტალიელი ავტორი, შემდეგ ანტონიო მიმართავს მას როგორც I, ისე II რედაქციაში თავისი გრამატიკისა. მხითარ სებასტაქის გრამატიკაში კი ასეთი ტექნიკური შემოკლებები არ არის გამოყენებული.

ბ. ნეაპოლელი ზოგჯერ მრავალპირიანი ქართული ზმნის პირთა მიმართებების ჩვენებასაც ცდილობს: „dar parola დაპირდები, a me დამპირდები, a te დაგპირდები, a quell დავპირდები“⁴⁴. ეს ცდა მეორდება 1724 წ. იტალიურ-ქართულ ლექსიკონშიც: „მე შენ დაგიძახებ, მე იმას დაუძახებ, შენ იმათ დაუძახებ...“ (გვ. 16—17).

რაც შეეხება სახელებს, მათი გრამატიკული ფორმაწარმოება იშვიათად არის ასახული ლექსიკონში, ისიც მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა: „Sasso ქუა“, „di Sasso ქუცა“; „Seta აბრეშუთი“, „di Seta აბრეშულისა“⁴⁵. ბ. ნეაპოლელი ძირითადად უთითებს წარმოქმ-

⁴³ Н. К. Орловская, Грузинские словари..., с. 31₂₂.

⁴⁴ Н. К. Орловская, Грузинские словари..., с. 37.

⁴⁵ იხ. იტალიურ-ქართული ლექსიკონი.

ნის ფორმებზე, მაგ.: „მადლი, მადლიანი, მადლეული, მადრიელი, მად-
რეულობა“⁴⁶ და სხვ.

2.6.2. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1724 წ. (როცა ან-
ტონი მხოლოდ 4 წლისა იყო), გორში შეუდგენიათ იტალიურ-ქარ-
თული ლექსიკონი ჩვენთვის უკვე ცნობილი ბერნარდო ნეაპოლელი-
სეული პრინციპებით⁴⁷. ოღონდ ზმნათა გრამატიკული დახასიათება აქ
უფრო სრულია და წინ ქართული ენის გრამატიკული დახასიათებაც
წაუმძღვარებიათ. ამ მშვენიერი ნაშრომის ავტორი, სამწუხაროდ, უც-
ნობია⁴⁸.

იტალიურად დაწერილი ქართული ენის გრამატიკა (მორფოლოგია,
სინტაქსი) და იტალიურ-ქართული ლექსიკონი აღწერა აკად. ელ. მე-
ტრეველმა⁴⁹; ხელნაწერი მეცნიერულად შეისწავლა პროფ. ნ. ორლოვ-
სკაიამ⁵⁰.

გრამატიკულ ნაწილში ქართული სახელი წარმოდგენილია 6 ბრუნ-
ვაში:

Nom. მამა	მამები
Gen. მამის ან მამისა	მამების
Dat. მამასა	მამებსა
Acc. მამა	მამები
Voc. მამო	მამებო
Abl. მამისაგან	მამებისაგან (გვ. 1).

თანხმოვანფუძიანთაგან ნაბრუნებია პ უ რ ი, ხმოვანფუძიან კვე-
ცად სახელთაგან — მ ა მ ა, მ ზ ე, ხოლო უკვეცელთაგან — კ ო მ-
ბ ო ს ტ ო და ძ უ ძ უ. ბრუნვათა ფორმები რამდენიმე თვალსაზრისით
იქცევს ყურადღებას: 1) ნათესაობით ბრუნვაში ყველა სახელთან ნა-
ჩვენებია როგორც გაუვრცობელი, ისე გავრცობილი ფორმა: მამის/
მამისა, კომბოსტოს/კომბოსტოსა და ა. შ. 2) უკვეცელი სახელები
ნათ. ბრუნვაში მხოლოდ ა-თი განივრცობა, არ გვხვდება -ი ხმოვნით
გავრცობილი, ე. ი. გვაქვს კ ო მ ბ ო ს ტ ო ს ა, ძ უ ძ უ ს ა, არა გვაქვს
კ ო მ ბ ო ს ტ ო ს ი, ძ უ ძ უ ს ი. როგორც ჩანს, -ი-თი დაბოლოებუ-

⁴⁶ იხ. ქართულ-იტალიური ლექსიკონი.

⁴⁷ Н. К. Орловская, Грузинские словари..., с. 38.

⁴⁸ Н. К. Орловская, Анонимная грузинская грамматика XVIII в.
на итальянском языке.

⁴⁹ ხელნაწერთა აღწერილობა, I, 1957, გვ. 459.

⁵⁰ Н. К. Орловская, Анонимная грузинская грамматика XVIII в.
на итальянском языке.

ლი ფორმები უფრო სამწერლო ენისა იყო; 3) წოდებით ბრუნვაში -ო-ს გვერდით -ვ ვარიანტიც გვხვდება (მზე-ვ), რაც ძველმა სამწერლობო ენამ არ იცოდა. როგორც ჩანს, ქართულში ამნაირი წარმოება ჩვეულებრივი იყო, რომ გრამატიკაში მოხვდა მზე ვ ტიპის ფორმა; 4) ხალხური მეტყველების თვალსაზრისით საყურადღებოა ისიც, რომ სახელები არსებითად -ე ბ სუფიქსით არიან წარმოდგენილი მრავლობით რიცხვში; მრავლობითის -ნ სუფიქსი სახ. და წოდ. ბრუნვებში მხოლოდ ძუ ძუ სახელთან არის გამოყენებული (ძუძუნი, ძუძუნი); თანაირი მრავლობითი მხოლოდ ნაცვალსახელებს აქვთ (იმათის, იმათსა, იმათგან, იმათისაგან). არსებით, ზედსართავ და რიცხვით სახელებს თანაირ მრავლობითში ვერ შეხვდებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ვითარება არ არის შემთხვევითი, იგი ცენტრალური ქართლის, კერძოდ, გორის იმდროინდელ მეტყველებას გვიხასიათებს. ამ მხრივ სიმპტომატურია მო- ზმნისწინის /მო-/-/მა-/ ვარიანტთა კანონზომიერი მონაცვლეობა ზმნებში: მა მ ი ტ ა ნ ა, მაგრამ მო გ ი ტ ა ნ ა, მა მ-ც ე მ ე ნ, მაგრამ მო გ ც ე მ ე ნ და სხვ.

პროფ. ნ. ორლოვსკაიამ აღნიშნა, რომ „გორული გრამატიკის“ პარადიგმები კარგად ყოფილა ცნობილი ქართველთათვის და მას კიდევ იყენებდნენ: „საინტერესოა, რომ ექვსი ძირითადი ბრუნვა, რომლებიც ნასესხებია ევროპული გრამატიკიდან, გვხვდება იმ დროის ქართველი ავტორების ნაშრომებშიც. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ზოგიერთ ნუსხაში (მითითებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის A 1113 ხელნაწერი — ე. ბ., თ. უ.), წარმოდგენილია მცირე გრამატიკული მონახაზები, მათ შორის არსებით სახელთა ბრუნვაც. აქ წარმოდგენილია ექვსივე ბრუნვა იტალიური სახელდებით: ნომენატიო — მამა, ჯენეტიო — მამის, დატიო — მამასა, აკუსატიო — მამა, ვოკატიო — მამო, აბლატიო — მამისაგან.

მაგრამ ამათ გვერდით წარმოდგენილია კიდევ ოთხი ბრუნვის ფორმა ბრუნვათა დაუსახელებლად: მამად, მამიდამ, მამით, მამამან. ე. ი., განსხვავებით უცხოურ წყაროთაგან, ქართული წყაროები, თუმცა იყენებენ ლიტერატურაში ცნობილ ბრუნვათა რიგს, თვითონ ავსებენ მასსხვა ქართული ფორმებით, რომლებიც ვერ ჩაეტია არსებულ სტანდარტებში⁵¹. ეს ფრიად საყურადღებოა ჩვენთვის, რადგან A 1113 ხელნაწერი — საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის ნუსხა — თვით საბას ნარედაქციალია, ე. ი. გადაწერილია 1725 წლამდე, ვიდ-

⁵¹ Н. К. Орловская, Анонимная грамматика XVIII в., с. 150.

რე საბა გარდაიცვლებოდა. ამ ლექსიკონში საბას ხელით გაკეთებული ხუთი მინაწერია (72v, 97v, 117r, 156v, 329v გვერდებზე). თვით ლექსიკონი შედგება 341 ფურცლისგან⁵². რადგან მინაწერები გვაქვს 72-დან დაწყებული 329-ე გვერდამდე, ცხადია, საბას ეს ნუსხა ბოლომდე ჩაუკითხავს. ამდენად ამ ხელნაწერში წარმოდგენილი სახელთა და ზმნათა პარადიგმები ზურაბ შანშოვანის „მოკლე ღრმამატიკას ქართულისა ენისა“, რომელიც 1737 წ. დაიწერა, წინ უსწრებს სულ ცოტა 12 წლით.

პროფ. ნ. ორლოვსკაიას ვარაუდი სწორია. ეს პარადიგმები შედგენილია „გორული გრამატიკის“ მიხედვით: ბრუნვათა სახელები იტალიურია, იგივე სახელია ნაბრუნები. ეს უდავოა. პროფ. ნ. ორლოვსკაიამ მიუთითა იმ ახალ ფორმებზეც, რომლებიც ქართველ „ანონიმს“ დაუმატებია იტალიელი გრამატიკოსის ბრუნების პარადიგმაზე. აქვე გვინდა დავსძინოთ, რომ ეს პარადიგმები სასწავლო დანიშნულებისა ჩანს საბას ლექსიკონის ნუსხაში, ამიტომ მის შემდგენელს საბრუნებელი სახელის წინ ჩაუსვამს კითხვითი ნაცვალსახელი რ ო მ ე ლ ი. იმასაც დავსძენთ, რომ გარკვეული ცვლილებები შეუტანია ქართველ გრამატიკოსს მრავლობითის ფორმებშიც. პარადიგმა მოგვყავს სრულად;

„სინგულარე პლურალე

ნომინატიო	რომელ	ა	ზმა	მამა	მამანი
ჯენეტიო	რომლისა	ა	ზმა	მამის	მამათანი
დატიო	რომელსა	ა	ზმა	მამასა	მამათა
აკუსატიო	რომელს	ა	ზმა	მამა	მამანი
ვოკატიო	რომელ	ა	ზმა	მამაო	მამანო
აბლატიო	რომლისაგან	ა	ზმა	მამისაგან	მამათაგან
	რომლად			მამად	მამებად
	რომელიდამ			მამიიდან	მამებიდან
	რომელით			მამით	მამებით
	რომელმან			მამამან	მამებმან“.

იტალიელი გრამატიკოსისათვის მოთხრობითის ფორმა ცნობილი იყო, მაგრამ მას უწოდებდა „შეცვლილ სახელობითს“ და ბრუნების პარადიგმაში არ შეჰქონდა.

⁵² საქართველოს სახელმწიფო. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, IV, 1954, შეადგინა ქ რ ი ს ტ ი ნ ე შ ა რ ა შ ი ძ ე მ, გვ. 113.

ქართველი ანონიმის პარადიგმაში სახ., ნათ., მიც., წოდ. და გამო-
სვლით ბრუნვებში ნ/თ- ანიათი ფორმებია ნაცვლად „გორული გრამა-
ტიკის“ ე ბ-იანი ფორმებისა; ამათ გვერდით საყურადღებოა ე ბ-იანი
ფორმები დამატებულ ვ ი თ ა რ ე ბ ი თ და მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ბრუნ-
ვებშიც. ცნობილია, რომ თანიათი ფორმები ამ ორ ბრუნვას ძველი
ქართულიდანვე უჭირს. საყურადღებოა ისიც, რომ „აკუსატიოს“ უზის
კითხვა „რომელს“ (და არა „რომელ“ ან „რომელი“). ჩანს, სახელო-
ბითისაგან ბრალდებითი („აკუსატიო“) კითხვით უნდა გარჩეულიყო.
ქართულში ეს დიდი სიძნელეების წინაშე დააყენებდა პარადიგმის
შემდგენელს, რადგან პარადიგმაში სახელობითისა და ბრალდებითის
ფორმა საზიაროა. სამწუხაროდ, აქ მხოლოდ ამ წინააღმდეგობის და-
ძლევის ცდაა კითხვის საშუალებით, მაგრამ როგორ მოხდებოდა თვით
ფორმათა გარჩევა, ნაჩვენები არ არის.

როგორც ვხედავთ, ქართული ენის სახელთა ბრუნების სრული
პარადიგმები 1725 წლამდევეა ჩამოყალიბებული თვით ქართველების
მიერ.

2.6.3. დგება კითხვა: იცნობდა ამ პარადიგმებს ანტონ პირველი
თუ არა? პასუხი ერთია: უ თ უ ო დ ი ც ნ ო ბ დ ა. სრული პარადი-
გმები საბაჟ ლექსიკონის რამდენიმე ნუსხაშია. ერთ-ერთი მათგანი —
„მაკრინესეული“ ეკუთვნის ანტონის დეიდას — მაკრინეს, რომელიც
„1743—1744 წლებში ჯერ კიდევ ცოცხალია, უნდა გარდაცვლილიყო
არა უადრეს მეთვრამეტე საუკუნის ნახევრისა“⁵³. დისწულსა და დე-
იდას ლიტერატურული ურთიერთობაც ჰქონიათ: „მარტირიკის წიგნის“
პირველ სიტყვაში, რომელიც ქეთევან დედოფლის წამებას ეძღვნება,
ანტონი წერს: „მრავალგზის ვედრებით მაწუა მე ქმნად ისტორიაჲ ყო-
ვლად დიდებულთა ღუაწლთა წმიდისა დედოფლისა ქეთევანისთა დე-
დისდამან ჩემმან, მეფისა ირაკლი პირუელისა ასულმან, ღირსმან ენ-
კრატისმან მაკრინა...“⁵⁴.

ექვსე გარეშეა, რომ ანტონი დეიდიდისეულ ნუსხას იცნობდა. ანტო-
ნისთვის რომ საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი სხვა მხრივაც
არის ცნობილი, ამისთვის მივუთითებთ ს. ავალიანის ახლახან გამო-
სვლულ მონოგრაფიაზე ანტონ პირველის შესახებ⁵⁵. აქ ხშირად შევხვდე-
ბით ასეთ ცნობებს: „მყოფის“, „არსის“ და „არსების“ ცნებები ან-

53 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 343.

54 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი VI, თბ.,
1960, გვ. 34.

55 ს. ა ვ ა ლ ი ა ნ ი, ანტონ პირველი, 1987.

ტონს განმარტებული აქვს სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ („სიტყვის კონა“) მიხედვით, საიდანაც ზოგჯერ პირდაპირ ციტირებას ახდენს“ (გვ. 116); „ეს განსაზღვრებანი არისტოტელედან მოდის, მაგრამ აქ იგი აღებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან...“ (გვ. 117); აქვეა მსჯელობა ერთი სქემის შესახებ, რომელიც ანტონს საბასგან აუღია — „თვითონ ეს უკანასკნელი (საბა — ე. ბ., თ. უ.) სხვა წყაროებიდან სარგებლობდა, მაგრამ ანტონის უშუალო წყაროს ამ შემთხვევაში სულხან-საბა ორბელიანი წარმოადგენს“ (გვ. 117). წარმოდგენილი ცნობები „სპეკალის“ ტერმინებს ეხება. ეს ნაშრომი კი 1752 წ. დაიწერა. მის დასაწერად მზადების პერიოდს უნდა მივიჩნიოთ ოცდაათიან-ორმოციანი წლები, რომლებიც წინ უძღვის „ქართული ღრამმატიკის“ I რედაქციის შექმნას (1753).

ახლა კონკრეტულად ლინგვისტური მასალის შესახებ: ანტონმა, გარდა იმისა, რომ ბრუნვათა რიგში წარმოადგინა მოქმედებითი და მოთხრობითი, რომელთა ფორმები პირველად ქართველი „ანონიმის“ პარადიგმაში გამოჩნდა, სპეციალური პარაგრაფი უძღვნა „საკითხავი სახელების“ ბრუნებას (§ 15). აქედან ჩვენ გვინტერესებს რომელი ი. ანტონი ამ ნაცვალსახელს ორჯერ აბრუნებს, პირველად როგორც „საკითხავ სახელს“ (§ 15), მეორედ — როგორც ნაცვალსახელს (§ 21), რაც სპეციალისტთა გაკვირვებას იწვევს (მათ სულ სამი გვერდი აშორებს)⁵⁶; ორსავე პარაგრაფში პარადიგმები აბსოლუტურად ემთხვევა ერთიმეორეს. ამას ჰქონდა თავისი მიზეზი — რომელი პირველად ნაბრუნებია სახელთა ბრუნების შემდეგ როგორც მეთოდური საშუალება (ანტონის ტერმინოლოგიით — „მქერდველობითი კელოვნება“) სახელის ბრუნვათა ფორმების სწორად დასადგენად, მეორედ რომელი ნაბრუნებია როგორც ნაცვალსახელი მეტყველების ამ ნაწილის ბრუნებისადმი მიძღვნილ ქვეთავში (II, 12v), სწორედ ამიტომ ჰქვია მას პირველ შემთხვევაში „საკითხავი სახელი“ ვინ-თან ერთად, ხოლო მეორე შემთხვევაში — „კულამოდებითი ნაცვალსახელი“.

ანტონის აზრით, რომელი (resp. ვინ) უნდა შევეწყოთ პირიან ფორმას (ე. ი. ზმნას), რათა საკითხავი სახელი სწორად წარმოდგეს ბრუნვაში, ხოლო შემდეგ საკითხავი სახელის ბრუნვის ფორმის მიხედვით განისაზღვრება საბრუნებელი სახელის ფორმაც. მსგავსი რამ მხითარ სებასტაციის გრამატიკაში არ გვხვდება, მაგრამ აქ უთუოდ

⁵⁶ ალ. ფოცხიშვილი. ქართული გრამატიკული აზრის ისტორია, თბ., 1979, გვ. 93.

უნდა გავიხსენოთ საბას ლექსიკონის მაკრინესეული ნუსხის სახელის ბრუნების პარადიგმა, რომელშიც ბრუნვათა სახელებს (ნომინატიო, ჯენეტიო...) ჯერ რომელ ნაცვალსახელის სათანადოდ ნაბრუნები ფორმა მოსდევს და შემდეგ ამავე ფორმით სახელია წარმოდგენილი („...ჯენეტიო რომლისაა ზმა მამის; დატიო რომელსაა ზმა მამას...“⁵⁷. ამრიგად, ცალკეულ ბრუნვებში კითხვითი ნაცვალსახელის ფორმა განსაზღვრავს საბრუნებელი არსებითი სახელის ფორმას. ანტონმა ეს მეთოდური წესი გადმოიღო საბასეულ ნუსხაში ჩართული პარადიგმიდან და თავისი მხრით სრულქმნა ახალი დებულების დამატებით: თვით კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნება პირიანი ფორმით (ე. ი. ზმნით) უნდა დადგინდესო. აქვე სრულად მოვიყვანთ ანტონის მეთოდურ მითითებას გრამატიკის პირველი ვარიანტის მიხედვით: „ამის უკუშ საკითხავისათჳს სახელისა ცნობაჲ ღირს მქერდველობითისა კელოვნებისა მესწავლეთაგან, რამეთუ ვირე არ პირდებულ იქმნეს საკითხავი ესე სახელი, არ წესიერად იყოს საკითხავი ესე, ვითარ: ვინ არს? ვისი არს? ვინ არიან? ვისნი არიან? რომელი არს? რომლისა არს? რომელნი არიან? რომელთანი არიან?“⁵⁸.

მართლაც: რომელი არს? — კაცი; რომლისა არს? — კაცისა; რომელნი არიან? — კაცნი... პასუხი ყოველთვის იმეორებს საკითხავი სიტყვის ფორმას.

გადავდივართ ზმნათა პარადიგმების განხილვაზე. აქ ჩვენთვის საინტერესოა: 1) რა აიღო „ანონიმმა“ ქართველმა გრამატიკოსმა (საბას ლექსიკონის ნუსხაში ჩართული პარადიგმების ავტორმა, ხელნაწერი A 1113) ანონიმი იტალიელი გრამატიკოსისაგან (1724 წლის „გორული გრამატიკა“, ხელნაწერი Q 500) და როგორ ეხმიანება მათ ანტონის „ქართული ღრამატიკის“ I რედაქცია.

წარმოვადგენთ მიყვარს ზმნის პარადიგმებს იტალიელი ანონიმის ქართული გრამატიკიდან და ლექსიკონიდან:

(I) Presente „აწმყო“

მე მიყვარს: შენ გიყვარს: იმას უყვარს

ჩვენ გვიყვარს: თქვენ გიყვარსთ: უყვარსთ

⁵⁷ იხ. ზემოთ, გვ. 34.

⁵⁸ A 531, 15 r; H 2256, 9, = 10 r (§ 15).

(II) Imperfetto „ნამყო უსრული“

მე მიყვარდა: გი: უ: P. გვიყვარდა: თ: თ

(III) Perfetto „ნამყო სრული“

მე შევიყვარე: შეი: შეიყვარა: P. თ: თ: შეიყვარეს

(IV) 2 di Perfetto „მეორე ნამყო სრული“

მე შემეყვარებია: შეგი: შეუ: P. შეგვიყვარებია: თ: თ

(V) Più che Perfetto „უფრო ნამყო სრული“

ან „ნამყო უსრულისი“

მე შემეყვარა: შეგი: შეე: P. შეგვეყვარა: თ: თ

(VI) Futuro

მე შევიყვარებ: შეი: შეიყვარებს: P. თ: თ: შეიყვარებენ

(VII) Imperativo „ბრძანებითი“

შენ შეიყვარე, იმან შეიყვაროს, ჩვენ შევიყვაროთ

თქვენ შეიყვარეთ, იმათ შეიყვარონ

შემდეგ მოდის ნატერითის (ottativo) ფორმები დროებზე მითითებით:

(VIII) Presente de Impf. dell ott(ativo)

„აწმყოსა და ნამყო უსრულის ნატერითი“

ნეტამც მე მიყვარდეს: გი: უ: P. გვი: გი: უყვარდესთ

(IX). Perf. (ივარაუდება ნამყო სრულის ნატერითი)

ნეტამც მე შემეყვაროს: შეგი: შეე: P. შეგვეყვარო: თ: თ

(X) Più che Perf. (ივარაუდება ნამყო უსრულისის ნატერითი)

ნეტამც მე შემეყვარა

(XI) Futuro (ივარაუდება მყოფადის ნატერითი)

რომ მე შევიყვარო: შეი: შეიყვაროს: P. თ: თ: შეიყვარონ

დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, თერთმეტი მწკრივია წარმოდგენილი მიყვარს ზმნის უღლებაში. აქვე ნათლელია მიყოლე-
ბით ვასწავლი, ვკითხულობ, მესმის, ვიქმ, ვძრავ-
ხავ... ზმნები. ლექსიკონში ზმნების ძირითადად 5 ფორმაა წარმო-
დგენილი: აწმყო, ნამყო უსრული, ნამყო სრული,
თუ რამეობითი პირველი და თუ რამეობითი მეორე.
ახლა წარმოვადგენთ ამავე მიყვარს ზმნის სულხან-საბა ორ-
ბელიანის „სიტყვის კონის“ საბას მიერვე ნარედაქციალ ნუსხაში ჩარ-

თულ პარადიგმებს (ფრჩხილებში მივუთითებთ იტალიურ შესატყვის ტერმინზე).

პრეზენტე ქმნა (Presente)

მიყუარს: გიყუარს: უყუარს: გვყუარს: გიყუარსთ: უყუარსთ

იმპერეტო ნაქმარი (Imperfetto)

მიყუარდა. გიყუარდა. უყუარდა, გვყუარდათ. გიყუარდათ. უყუარდათ

პერფეტო ქმნილი (Perfetto)

შემიყუარდა. შეგიყუარდა. შეუყუარდა. შეგვყუარდა. შეგიყუარდათ. შეუყუარდათ.

პრუსკვა მპრუოტო (Più che Perfetto)

შემიყუარებოდა. შეგიყუარებოდა. შეუყუარებოდა. შეგვყუარებოდათ. შეგიყუარებოდათ. შეუყუარებოდათ.

ფუტურო საქნელი (Futuro)

შევიყვარებ. შეიყუარებ. შეიყუარებს. შევიყვარებთ. შეიყუარებთ. შეიყუარებენ.

იმპერატიო ქმენ (Imperativo)

შეიყუარე. შეგიყუაროს. შეიყუარეთ. შეიყუარონ.

A 1113 ნუსხისეული უღლების პარადიგმა რომ იტალიურად დაწერილი ქართული გრამატიკის („გორული გრამატიკა“ — Q 500) მიხედვითაა შედგენილი, გარდა მწკრივთა იტალიური სახელებისა, ჩანს ერთი გაუგებრობის მიხედვითაც: „გორულ გრამატიკაში“ უწყვეტლისა (Imperfetto) და პირველი თურმეობითის (2^o Perfetto) მეორე და მესამე პირთა ფორმები შემოკლებით არის წარმოდგენილი ორსავე რიცხვში:

მე მიყვარდა: გი: უ: P. გვიყვარდა: თ: თ: მეორე პირია „გი“ „გიყვარდა“, მესამე პირია „უ“ „უყვარდა“; პირველი თ უნდა დაერთოს მხოლოდობითის მეორე პირს (პირველი პირი ხომ ცალკეა წარმოდგენილი) მივიღებთ გი ყ ვ ა რ დ ა თ ფორმას, მეორე თ კი — მესამე პირს; მივიღებთ უ ყ ვ ა რ დ ა თ ფორმას).

ამ შემოკლებათა გამო პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებს უშუალოდ მოჰყვა ორი წერტილით გამოყოფილი სიმრავლის -თ სუფიქსი, რომელიც მეორე პირს ეკუთვნოდა, A 1113 ნუსხაში ჩართული პარადიგმის შემდგენელმა კი ორი წერტილით გამოყოფას ყურადღება არ მიაქცია და -თ სუფიქსი მეორე პირისა პირდაპირ მიუერთა პირველი პირის მრავლობითის ფორმას და მიიღო ქართული

ენისთვის შეუფერებელი ფორმა — გუყუარდათ. იგივე დაემართა ნამყო სრულსა (პერვეტო-ქმნილი) და თურმეობითში (პრუსკვა მპრვოტო) და მიიღო არაბუნებრივი ფორმები: შე გ ვ ყ ვ ა რ დ ა თ და შე გ ვ ყ ვ ა რ ე ბ ი ათ. თუმცა, შესაძლოა, მათი სახით საქმე გვექონდეს იშვიათ ფორმებთან, რომელთაც სპორადულად ვხვდებით ამ პერიოდში.

ქართულმა ავტორმა ზოგი რამ მაინც შეცვალა გადმოღების დროს: ზოგი ორთოგრაფიულად, ზოგიც გრამატიკულად, კერძოდ: ა) ყ ვ ა რ ძირი წარმოადგინა მწიგნობრული ორთოგრაფიით — ყ უ ა რ სახით; ბ) გ უ ი კომპლექსი წარმოადგინა ასევე მწიგნობრობაში გავრცელებული გ ვ სახით (თუმცა ძველს მწერლობაში გ უ ი-ც გვხვდება); გ) მი ყ ვ ა რ ს ნამყო სრულში განაგრძო დონიანი ვნებითის ფორმით — შე მ ი ყ უ ა რ დ ა, შე გ ი ყ უ ა რ დ ა... ნაცვლად „გორული გრამატიკის“ აქტივის ფორმებისა (შევიყვარე შეიყვარე...) და ამით მი ყ ვ ა რ ს ზმნის უღლების პარადიგმა გამართა⁵⁹, თუმცა შემდეგ ისევ იტალიელის პარადიგმას მიჰყვა. როგორც ვხედავთ, ერთი გულდასაწყვეტი მექანიკური შეცდომის გარდა, ცვლილებები პარადიგმაში გამართლებულია ქართული მწიგნობრული ტრადიციით.

იტალიელ ანონიმს მი ყ ვ ა რ ს ზმნა პირველ უღლებაში შეაქვს (იხ. Q 500, გვ. 9). როგორც იტალიელი, ისე ქართველი გრამატიკოსის პარადიგმაში არსებითი შეცდომაა სხვადასხვა გვარის ზმნათა ფორმების შერევა.

ანტონს „ქართული ღრამმატიკის“ I რედაქციაში პირველი უღლების მაგალითად შე ვ ი ყ ვ ა რ ე ბ ზმნა აქვს დასახელებული⁶⁰ (II რედაქციაში შეცვლილია შე ვ ჰ კ რ ა ვ ზმნით⁶¹). მან აღარ დაუშვა ანონიმთა ძველი შეცდომა და უღლება მხოლოდ მოქმედებითი გვარის ფორმებით წარმოადგინა შემდეგი მწკრივების მიხედვით: აწმყო, ნამყოჲ უსრული, ნამყოჲ სრული, ნამყოჲ უსრულესი, ნამყოჲ უუსრულესი, მოოზადი, ბრძანებითის აწმყო, ბრძანებითის მყოზადი, საწადისის აწმყო და მყოზადი, საწადისის ნამყო უსრული, საწადისის ნამყო სრული და უსრულესი, საწადისის ნამყოჲ უუსრულესი. საწადისის ფორმებს იმეორებს კავშირებითში (ქუშწყობილებითი სქესი). მწკრივები არსებითად იგივეა და ყ ვ ა რ ე ბ ა ზმნის მოქმედებითი გვარის უღლების ფორმებიც არსებითად ემთხვევა, ოღონდ ანტონმა შეცვალა მყოფადის

⁵⁹ ამ საშუალო გვარის ზმნის პარადიგმაში ფორმათა ასეთ მიმართებას დღესაც ჰყავს მომხრეები.

⁶⁰ A 531, 21 v.

⁶¹ H 2256, 14 v.

ფორმები ძველი ქართულის მიხედვით: მან თავისი დროის სამეტყველო ფორმებს (შევიყვარებ... შეიყვარებს) ძველი მწიგნობრული ფორმები (შევიყუარო... შეიყუაროს) ამჯობინა. ამის გამო დაკარგა შეიყვაროს ფორმა II კავშირებითში და აწმყოც ზმნისწინიანი გამოუვიდა, როგორც ძველ ქართულში. ეს იყო შეგნებული ჩარევა: ანტონი ცდილობდა, რომ არ ასცდენოდა ქართულ მწიგნობრულ ტრადიციას (ის ამ ხანებში ბევრს მუშაობდა XI—XII საუკუნეთა ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ძეგლებზე).

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მწკრივთა (დრო-კილოთა ნაკვთების) თანამიმდევრობა მხითარ სებასტაციის გრამატიკაში ასეთივეა. ეს ევროპული გრამატიკების ყალიბია და ლათინური გრამატიკები მას მიჰყვებიან საერთოდ, ბუნებრივია, მხითარიც⁶², როგორც ჩვენი ანონიმი გრამატიკოსები. აქ სანიმუშოდ შეიძლება მივუთითოთ დონატუსის ლათინური ენის გრამატიკაზე (V საუკუნე), რომლითაც ევროპა სარგებლობდა თითქმის XVIII საუკუნემდე. ამ გრამატიკაში უკვე ჩამოყალიბებულია ზემოთ ჩამოთვლილი ნაკვთები სწორედ იმავე თანამიმდევრობით, როგორიც ანონიმ გრამატიკოსებსა და შემდეგ ანტონს ჰქონდათ: *praesens, in imperfecto, perfecto, plusquamperfecto, futuro, imperativo, copulativo, coniunctivo*. სხვათა შორის, უღლების პირველ ტაში—აქტივში სწორედ ყვარება (*amo*) ზმნა არის ნაუღლები⁶³.

ანტონის კავშირი წინაპარ ანონიმ გრამატიკოსებთან ჩანს საუღლებელი ზმნით, რომლის დასაწყისი ფორმები იტალიელი ანონიმის ორთოგრაფიით არის წარმოდგენილი, შემდეგ კი უფრო დიდი ნაწილი — ქართველი ანონიმის მართლწერით. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ზმნათა უღლების ფორმებს ანტონი ამოკლებს იტალიელი ანონიმის ყალიბზე. ეს შემოკლებები ანტონს გამოუყენებია როგორც I⁶⁴, ისე II რედაქციაში, საიდანაც მოვიყვანთ მაგალითებს:

შევიყუარებდი, დი, დის, დით, დით, დიან (H 2256, 95v).

შევიყუარე, ე, ა, ეთ, ეთ, ეს (H 2256, 102r).

შე-მი-გი-უ-ყუარებდეს (H 2256, 104v) და სხვ.

⁶² Г. Б. Джаукян, Языкознание в Армении в V—XVIII вв. კრებული. История лингвистических учений. Средневековый восток, Л., 1981, с. 42.

⁶³ Methodus Grammatices Donati ab Henrico Glareno poeta lavurcrato recognita, Lipsiae, MDLXV, об. თავი Coniugationes Verborum Actiuum.

⁶⁴ об. А 531 ნუსხა, გვ. 133r და შემდეგ.

აქვე დავსძენთ, რომ 1724 წლის იტალიურ-ქართულ ლექსიკონში შემოკლების დროს სხვადასხვა ვარიანტებს ხვდებით: შესაძლოა შემოკლება როგორც დასაწყისის, ისე დაბოლოების. ვერ გამოვრიცხავთ ანტონის უშუალო ნაცნობობას „გორულ გრამატიკასთან“ იმ მიზეზით, რომ ეს გრამატიკა ქუთაისელი პატრების ნაქონი ყოფილა. ანტონი ქუთაისში იყო ხუთ წელს (1739—1743). 1739 წ. გელათში აღიკვეცა ბერად და შემდეგ ქუთაისის მიტროპოლიტი გახდა (1740 წ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტონი „სპეკალისა“ და „ქართული ღრამმატიკის“ დაწერის წინ გორში ხვდება ჯიროლიმომ და ნორჩიას. ჯიროლიმომ თავადაც გრამატიკოსია⁶⁵ და, სპეციალისტთა ვარაუდით, არ არის გამორიცხული, რომ კლაპროთ-ბროსეს გრამატიკას — „*Elements de la Langue Géorgienne*“ საფუძვლად დაედო მის მიერ შედგენილი ქართული ენის გრამატიკა⁶⁶. ამრიგად, ჯიროლიმომ და ნორჩია ნახსენებია მადლობის გრძნობით „გორული გრამატიკის“ თავფურცელზე. ეს გრამატიკა ქუთაისელ პატრებსაც ჰქონიათ; ჯიროლიმომ თავად გრამატიკოსია, ორმოციანი წლების მიწურულსა და ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ხვდება ანტონს, მანვე მოაქცია ანტონი კათოლიკურ რჯულზე (იხ. ზემოთ)... ასეთ ვითარებაში რომ გამოვრიცხოთ იტალიურად დაწერილი გრამატიკებისა და ლექსიკონების გავლენა ანტონ პირველზე, ჩვენი აზრით, გულუბრყვილობა იქნება.

რატომ არ ახსენებს ანტონი იტალიელ გრამატიკოსებს, თვით ჯ. და ნორჩიას, რომელიც ანტონთან კავშირის გამო გააძევეს თბილისიდან 1755 წ. ახალციხეში?⁶⁷

ანტონს მათი ხსენება არ შეეძლო შექმნილი ვითარების გამო. კათოლიკე მისიონერებს წარმოუდგენელი სიმკაცრით ებრძოდნენ, გარდა ქართველი მართლმადიდებლებისა, სომეხი გრიგორიანელები და ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია. ისინი არბევდნენ პატრთა სამლოცველო ეკლესიებს, მათ მიერ გახსნილ სკოლებსა და პირად საცხოვრებლებს. ეს ხდება მეფეთა სანქციებით და ამ სანქციების გარეშე — სტიქიურად, საქართველოს გარეთ არსებული ბერძნული და სომხური ძალების წაქეზებით. პატრებს ფიზიკურად უსწორდებიან და

⁶⁵ Н. К. Орловская, Анонимная грузинская грамматика XVIII в. на итальянском языке, с. 156 და შემდეგ.

⁶⁶ Н. К. Орловская, Анонимная грузинская грамматика XVIII в. на итальянском языке, с. 158—162.

⁶⁷ იქვე, გვ. 160 და შემდეგ.

დაბოცილთ ძაღლებს უსევენ საჯიჯგნელად. აქ არ მოვიტანთ კონკრეტულ ფაქტებს. ამისთვის მივუთითებთ მ. თამარაშვილის უკვე მრავალგზის ნახსენები ნაშრომის ზოგიერთ გვერდზე (335—6, 340—41 და სხვ.).

2.6.4. უკანასკნელ შევსებებით ზმნისწინთა საკითხს ქართველი ანონიმი გრამატიკოსის (A 1113 ნუსხიდან), საბა ორბელიანისა და ანტონის გრამატიკაში, მათი კავშირი უდავო ჩანს.

საბას ლექსიკონის მაკრინესეულ ნუსხაში მიყვარს ზმნის უღლებას მოსდევს პატარა ქვეთავი, რომელსაც თავზე აწერია „ღრამატიკა სადაობითი“. იგი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ იტალიურად დაწერილ გრამატიკაში არ გვხვდება. მოგვყავს სრულად.

„ღრამატიკა სადაობითი

ადგილსა	მღერა	სლვა	ჯდომა
ზე	ამღერებ	ასლვა	აჯდომა
ქვე	ჩამღერება	ჩასლვა	ჩაჯდომა
აქათ	მოჰღერებ	მოსლვა	მოჯდომა
იქით	მიმღერება	მისლვა	მიჯდომა
წინა	წამღერება	წარსლვა	წაჯდომა
უკან	უკმომღერება	უკმოსლვა	უკუჯდომა
სისწორს	გამღერებ	გასლვა	გაჯდომა
უკმო	გმომღერება	გამოსლვა	უკმოჯდომა
შინა	შემღერება	შესლვა	შეჯდომა

მესამე და მეოთხე სვეტში (ასლვა, აჯდომა) უბრალოდ არეულია ფორმების თანამიმდევრობა.

„სადაობითი ღრამატიკა“ საყურადღებოა იმით, რომ მასში ნათლად არის დალაგებული გეზისა და ორიენტაციის ფორმები და ფაქტიურად მითითებულია ამ კატეგორიათა გამომხატველი ელემენტებიც, რამდენადაც ისინი საზიარო ზმნურ ფუძეს ერთვიან. ამის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი მარტივი და რთული ზმნისწინები:

მარტივი ზმნისწინები

რთული ზმნისწინები

აღ-/ა-

უკმო-

გამო-

ჩა-

მო-

მი-
წა-
გა-
შე-
უკუ-

ზმნისწინთა ამ ფუნქციებს კარგად იცნობს საბას ლექსიკონი. საბა სახელურ და ზმნურ აფიქსებს, როგორც ფლექსიურთ, ისე დერივატიულთ, უწოდებს ართრონს. მისი განმარტებით, „ართრონნი არიან ასოები, რომელთა წინა მოეზავებიან სიტყუათა და რომელთა უკანა და გუარიათ ჰყოფენ და დაატკბობენ; არამედ ლათინთა და ელლენტა ენათა შინა უმრავლეს და ერთს რიგზე გაწყობით არიან, ხოლო ქართულში წინა უკმო. ამისთვის ღრამატიკოსთა შინა დამიწერია“. ე. ი. არიან ბგერები, რომლებიც სიტყვას დაერთვიან წინ ან უკან (ბოლოში), სრულყოფენ მათ და გასაგებს ხდიან (დაატკბობენ); ლათინურსა და ბერძნულში ართრონები ბევრია და ერთ რიგზე არიან გაწყობილი (ე. ი. ან წინიდან ემატებიან, ან ბოლოს მიერთვიან), ქართულში კი — თავშიცა და ბოლოშიც. ამის შესახებ გრამატიკულ ნაწილში გწერო.

საბა, როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, ართრონს სიტყვის ნაწილად მიიჩნევს, ოღონდ კონკრეტულად არ განმარტავს მის ფუნქციას. იმის მიხედვით, თუ რომელ ელემენტებს უწოდებს საბა ართრონს ლექსიკონში, შეიძლება დავასკვნათ, რომ ართრონი საბას ლექსიკონში ნახმარია დღევანდელი აფიქსის მნიშვნელობით.

ზმნისწინებიც ართრონად იწოდება საბას ლექსიკონში: „ანი არს პირველი ასო და ვმნიანი და ართრონი, მრავალრიგად თავად და ბოლოდ მოვალს მრავალთა სიტყუათა ზედა, ვითარცა თავსა დაგვიწერია“⁶⁸. „თავში“ კი წინიდან ადართული ფორმების მაგალითად მოყვანილია აწევა, აკიდება, ატანა ფორმები. თვით ლექსიკონში ა- ზმნისწინით დაწყებულ მრავალ ფორმას განმარტებაში ახლავს ზმნიზედები: ზე, აღმა (აღმართ), მაღლა; მაგალითად: „ააბნიე ზე შეაბნიე; ააგდე ზე შეისროლე; აზიდვა მაღლა ატანა...“ და სხვ.

ანის ზემოთ მოყვანილი განმარტების მიხედვით, ამრიგად, ა არის პირველი ბგერა ქართული ენისა, ხმოვანია და ამავე დროს ართრონსაც წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ბა-

⁶⁸ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, გვ. 9.

ნის განმარტება: „ბ ა ნ ი არც თავია, არც ბოლოდ მოვალს სხვათა სიტყუთა ზედა; არც კმინი არს, არც ართრონი...“. განმარტების მიხედვით სრულიად ნათლად ჩანს, რომ „თავად მოსვლა“ მხოლოდ სიტყვის თავიკიდურობას არ ვარაუდობს, თორემ ლექსიკონში ხუთასზე მეტი ლექსიკური ერთეული იწყება ბ ასოთი (ბა, ბაალ, ბაალამ და სხვ.). ამრიგად, არსებითია ის, რომ ბ „სხუათა სიტყუათა ზედა“ არ მოვალს. „სხუა“ აქ ცალკეული სიტყვების ლექსიკურ მნიშვნელობას ვარაუდობს, ხოლო ართრონი მათ დაერთვის როგორც აფიქსი, რომელსაც საკუთარი მნიშვნელობა შეაქვს ფორმაში კონკრეტულ ფუძეზე დართვით. ა-ს გარდა, საბა ლექსიკონში გამოყოფს სხვა ზმნისწინებსაც:

„გ ა-: გაღმრთობა, გამეფება, გაუფლება, გაცხოელება...“.

„დ ა-: დადება, დასხმა...“.

„მ ო-: მოქმედი, მოქენე...“.

„შ ე-: შეზავება, შეზელილი, შეთვისება...“.

„ჩ ა-: ჩამოსლვა, ჩამოლება, ჩამოჯდომა, ჩამოქცევა...“ (იხ. ჩ).

ჩ ი ნ ი ს განმარტებაში ვკითხულობთ: „ჩ ი ნ ი ყოელთა დამხეობათა თავი არს, ვითა: ჩამოსლვა, ჩამოლება...“ დ ა მ ხ ო ბ ა დაბლა, ძირს მყოფობას ნიშნავს. მართალია, საბა განმარტავს ჩ ი ნ ს და არა ჩ ა-ს, მაგრამ ყველა მაგალითი ჩ ა- ზმნისწინიანია. ჩვენთვის არსებითია, რომ ამ ფორმებში ჩ ართრონი „ქუჲ დაშუშებითი“ მნიშვნელობით არის გამოყოფილი.

„ლექსიკონი ქართულის“ ნუსხათა (კერძოდ, A 1113-ში) „სადაობით ღრამატიკაში“ ზმნისწინთა დაჯგუფება მათი ფუნქციის მითითებით არ წარმოადგენს რაიმე მოულოდნელობას, რადგან თვით ლექსიკონში, როგორც ვნახეთ ა (||ა ლ-) ზმნისწინიდან დაწყებული ჩ(ა)-მდე ყველა სათანადო და გარკვეული წესით არის განსაზღვრული, თანაც მათ შესახებ მსჯელობა „სიტყვის კონის“ დასაწყისშიც არის (იხ. შესავალი).

ანტონ კათალიკოსიც, იცნობდა რა კარგად საბაჲს ლექსიკონს, გვერდს არ უვლის ზმნისწინებს და, მსგავსად წინა ქართველი გრამატიკოსებისა, მხოლოდ ფორმათა შეპირისპირებით გვაცნობს მათ, ორიენტაციისა და გეზის რაიმე სპეციალური ახსნა-განმარტების გარეშე. მათ ანტონი ჯერ თანდებულთა თავში იხილავს, შემდეგ კი ზმნასთან, როგორც მის მდევარს. აი მისი მაგალითები: წართქმა, უკუთქმა, შეგონება, მიგონება, მოგონება, მიდმოგონება, მიმოგონება. აღნაგობა, შთაგონება, დადება, განგდება (II, § 99); აღვჰლეს, შთავჰსჰერეტ გა-

ვილებ, განეჭბდი, მივალ, მოვიქცევი შევამკობ, წარეპგზავნი, დავასხამ. გარდავალ და სხუანი“ (II, § 242₃). ანტონი ზმნისწინებს გარკვეულ ზოგად მნიშვნელობას ანიჭებს, რაშიც ალბათ მოქმედების მიმართულებაც ივარაუდება⁶⁹. წინა გრამატიკოსებისაგან განსხვავებით, ანტონის გაგება ზმნისწინებისა ექსპლიციტურობის მეტი ხარისხით გამოირჩევა. შეიძლება დავასკვნათ: ანტონს უკვე გამოყოფილი დახვდა ზმნისწინთა დიდი ჯგუფი; მან იგი მიიღო და თავის მხრივ დაუმატა შთა და გარდა.

როგორც ვხედავთ, XVII ს-ის ოცდაათიანი წლებიდან XVIII ს-ის I ნახევრის ბოლომდე, ვიდრე ანტონის გრამატიკის I რედაქცია შეიქმნებოდა, იტალიელი კათოლიკე მისიონერები საქართველოში ეწევიან დიდ პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობას ქართული ენის შესწავლის ხაზით. მათი გრამატიკული დებულებები და სათანადო პარადიგმები გადადის ქართველთაგან დაწერილ წიგნებში გარკვეული ცვლილებებით. ქართველები ამ პარადიგმებს საკმაოდ ავრცობენ და პარადიგმების ფორმებს ორთოგრაფიასაც უცვლიან ქართული მწიგნობრული ტრადიციის კვალობაზე.

3. ქართული გრამატიკული აზრის ჩამოყალიბებისათვის უთუოდ გასათვალისწინებელია ქართველთა მოღვაწეობა რუსეთის სამეფო კარზე XVII ს-ის II ნახევარში და XVIII ს-ის I ნახევარში. მხედველობაში გვაქვს ერეკლე პირველის, არჩილ მეორისა და ვახტანგ მეექვსის ყოფნა მოსკოვში. ცნობილია, რომ სამივე მეფეს თან ახლდა მრავალრიცხოვანი ამაღლა. ვახტანგ მეექვსის მოსკოვში ჩასვლამდე რუსეთის სამეფო კართან სამსახურებრივად და რუს დიდგვაროვნებთან ქორწინებითა და სხვა ნათესაური ურთიერთობით დაკავშირებული იყო რამდენიმე ასეული ქართული ოჯახი⁷⁰. ქართველები აქტიურად ჩაბმულან კულტურულ საქმიანობაში, მათ შორის ფილოლოგიური ხასიათის შრომების შედგენის საქმეშიც. XVII ს-ის მიწურულს იხსენიება საეკლესიო პირი ქართველი („грузинец“) კიპრიანუ, რომელსაც უმოღვაწია ცნობილ ბერძენ გრამატიკოსებთან — ლიხუდებთან. ძმებს იოანიკ და სოფრონიკ ლიხუდებს შეუდგენიათ რუსული ენის შემოკლებული გრამატიკა, რომელიც გადაუწერია

⁶⁹ ი. ვეშაპიძე, ზმნისწინები ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, თსუ შრომები, ტ. 93, 1961; ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორია, გვ. 106.

⁷⁰ Вл. Татишвили, Грузины в Москве.

აღნიშნულ კიპრიანუს: „... სხვა ცალი ასეთივე გრამატიკისა, რომელიც წარწერის მიხედვით შეუდგენიათ იონიკ და სოფრონ ლიხუდებს, გადაწერილია 1691 და 92 წლებში მოსკოვს ბერძნული მონასტრის ქართველი იერომონახის კიპრიანუს მიერ, რომელიც უთუოდ ლიხუდების მოწაფე იყო (ხელნ. № 333)“⁷¹. აქვე შევნიშნავთ, რომ ერეკლე პირველის სულიერი მამა — ეპიტანე, ფრიად განსწავლული სასულიერო პირი, სწორედ ამ ბერძნულ ეკლესიაში (ნიკოლსკის ბერძნული ეკლესია) ცხოვრობდა⁷².

ს. სმირნოვისავე ცნობით, „წინასიტყვაობიდან ჩანს (ლაპარაკია № 332 ხელნაწერზე — ე. ბ., თ. უ.), რომ ამ გრამატიკის დაწერა ლიხუდებს განზრახული ჰქონიათ ოთხ ენაზე — ლათინურად, ბერძნულად, სლავურად და ქართულად: სწორედ ამ მიზნით ხელნაწერის ყოველი გვერდი ჯვრით დაყოფილია ოთხ ნაწილად, მაგრამ შიგ ჩაწერილია მხოლოდ ორი ტექსტი: ლათინური და ბერძნული. ეს უკანასკნელი წარმოდგენს ლათინურის სიტყვასიტყვით თარგმანს“⁷³. ჩვენთვის საყურადღებოა ამ ნაკლული გრამატიკის წინასიტყვაობაც: „პირველი ნაწილის წინასიტყვაობაში ლიხუდები გვამცნობენ, რომ ამ გრამატიკას ისინი წერდნენ ზემდგომთა დავალებით, რომ ამ მიზნით უხელმძღვანელიათ საბერძნეთსა და იტალიაში გამოსული ყველა წყაროთი“⁷⁴.

ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ქართული გრამატიკის შემკვეთნი მხოლოდ ქართველები იქნებოდნენ, მათი უფროსებში (начальство) მოხსენიება კი უთუოდ სამეფო კარზე სამსახურით ან ამ კართან დაახლოებით აიხსნება.

რადგან ვიცით, რომ ამ ნაკლული გრამატიკის შევსებულ ნაწილში ბერძნული ლათინურის სიტყვასიტყვითი თარგმანია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთივე თარგმანით იქნებოდა წარმოდგენილი რუსული და ქართული განყოფილებებიც, ე. ი. განზრახული ყოფილა მეტყველების ნაწილებისა და მათი აკციდენციების („მდევრების“) ზოგადად წარმოდგენა. ქართულ ნაწილს, რა თქმა უნდა, ქართულის მცოდნე პირი სჭირდებოდა (თუ საილუსტრაციო მასალისთვის არა, ტექსტის სათარგმნელად მაინც). ვფიქრობთ, ეს პირი იგივე ქართველი კიპრიანუ

71 С. Смирнов, История московской словесно-греко-латинской академии, М., 1885, с. 44.

72 Вл. Татишвили, Грузины в Москве.

73 С. Смирнов, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

74 იქვე, გვ. 49.

იქნებოდა, რომელიც გვიანაც იხსენიება, როგორც კომისიის წევრი ლიხუდების ერთ საჩოთირო საქმესთან დაკავშირებით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგ მეექვსის ამაღლებაში გრამატიკის შედგენის ცდები შიშველ ადგილზე არ დაწყებულა. მათ მოსკოვში ფრიად განათლებული და თავისი დროის გრამატიკული აზროვნების კურსში მყოფი ქართველები დახვდნენ. მათი განსწავლულობა ემყარებოდა იმ დროს გავრცელებულ, ლათინურ, ბერძნულ და სლავურ გრამატიკებს: დონატუსის, ლასკარისა და სმოტრიცკის გრამატიკების გვერდით იცნობდნენ ლიხუდებისა და მაქსიმ გრეკის გრამატიკებს. ამ პერიოდში მრავლად იყო გავრცელებული ტრაქტატები გრამატიკის ცალკეულ საკითხებზე. ეს ეტყობა კიდევ ზ. შანშოვანის გრამატიკას. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ანტონ კათალიკოსს.

8.1. როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ანტონი რუსეთში ყოფნის დროს გაცხოველებულ მუშაობას ეწევა გრამატიკის ახალი რედაქციის შესაქმნელად. ამ რთულ საქმეში, რუსი გრამატიკოსების გარდა, მას დახმარებას უწევენ ქართველი მთარგმნელებიც: მღვდელი გიორგი დავითაშვილი და „ოტეც გაბრიელი“. ამ უკანასკნელს, ანტონის თქმით, არც რუსული ენის გრამატიკა სცოდნია და არც ქართულისა. გიორგიზე კი არაფერს ამბობს⁷⁵. უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგის ანტონისთვის გარკვეული ინფორმაციის მიწოდება შეეძლო ქართველთა ფილოლოგიური საქმიანობის შესახებ რუსეთის სამეფო კარზე. დავითაშვილები, როგორც ელენე დედოფლის უახლოესი ნათესავები, ერეკლე პირველის ამაღლებაში შედიოდნენ (ლაზარე დავითაშვილი ერეკლეს დედის ძმა იყო⁷⁶), თვით გიორგი ქ. სვიაჟის მღვდელი ყოფილა და იქიდან გადაიყვანა უწმინდესმა სინოდმა ანტონის დამხმარედ, როგორც რუსულისა და ქართულის მცოდნე⁷⁷.

ანტონმა რუსეთში სოლიდური გრამატიკული ცოდნაც მიიღო და სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პრინციპებიც გაიცნო. თუ კონკრეტულად რა და როგორ, ამაზე პასუხი ძირითადად უნდა გავცეს იმ განსხვავებამ, რაც „ქართული ღრამატიკის“ I და II რედაქციებს შორის არსებობს.

⁷⁵ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 374, 376.

⁷⁶ В. Л. Татишвили, Грузины в Москве.

⁷⁷ კ. კეკელიძე, დასაბ. ნაშრ., გვ. 374; ს. ავალიანი, ანტონ პირველი, 1987, გვ. 66.

უპირველეს ყოვლისა, II რედაქციაში ანტონი აღარ მსჯელობს სამი სტილის შესახებ, რომელიც I ვარიანტში მხითარ სებასტაციის გავლენით შეუტანია — „ყოვლად ბრძნისა მხითარ მოძღურისა მიერ სომეხთასა ენისა წერილთაგან აღმოღებული მაგალითად დადებული ყრმათათჳს“⁷⁸. მესამე, მაღალ სტილზე ანტონი ამბობს, რომ იგი ყველას არ ეხება, რომ მხოლოდ მეცნიერთა შორის სახმარია. ამ ტიპის თხზულებებად მიაჩნია ღმრთისმეტყველი დიონისოს, იოანე ფილოსოფოსის, დავით აღმაშენებლის, ეფრემისა და არსენის ნაშრომთა ენა...⁷⁹.

აქ ერთ გაუგებრობას უნდა შევეხოთ: ზოგჯერ ანტონის მიერ სამ სტილზე მსჯელობას მ. ლომონოსოვის გავლენას მიაწერენ⁸⁰. ეს ანაქრონიზმია: ლომონოსოვი სამ სტილზე წერს 1758 წ. გარკვეულ სიტუაციასთან დაკავშირებით⁸¹. ანტონს კი სტილთა შესახებ მსჯელობა ჰქონდა მხოლოდ 1753 წლის გრამატიკაში და, რაც მთავარია, წყაროზეც იქვე მიუთითა (იხ. ზემოთ).

ჩვენთვის არსებითია სხვა საკითხი — რატომ აღარ მსჯელობს ანტონი სამ სტილზე გრამატიკის მეორე ვარიანტში? რუსეთში ყოფნის დროს ანტონის შეხედულებაში სალიტერატურო ენის განვითარებასთან დაკავშირებით მოხდა სერიოზული ცვლილება XVIII ს-ის ორმოციან და შემდგომ წლებში რუსულ სალიტერატურო ენაზე იქ მიმდინარე დისპუტების გავლენით (ამ კამათმა, ცნობილია, ა. პუშკინამდე მოაღწია).

ანტონი ამ პერიოდში გაცხოველებით მუშაობს გრამატიკის საკითხებზე და საერთოდ რუსეთის მეცნიერული ცხოვრების საქმის კურსშია ზედმიწევნით⁸².

8.2. პეტრე პირველის დროს ხდება რუსული კულტურის ევროპეიზაცია. ხდება ანბანის გამარტივება (1708 წ.). საეკლესიო მწერლობის ენისგან განსხვავებული საერო მწერლობის ენა განიცდის დიდ

⁷⁸ იხ. A 531, 183v.

⁷⁹ იქვე, 183 v.

⁸⁰ იხ., მაგალითად, არნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ. ტფ., 1938. გვ. 32. საწინააღმდეგო მოსაზრებაა გამოთქმული ე. ბაბუნაშვილის ნაშრომში „სამი სტილის თეორია ქართულ მწერლობაში“, თსუ შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 28.

⁸¹ М. В. Ломоносов, Предисловие о пользе книг церковных в российском языке; Полное собрание сочинений, т. VII, 1952, с. 588, 892.

⁸² იხ., მაგალითად, ს. ავალიანი, ანტონ პირველი, თავი V (გვ. 38—61).

აღმავლობას⁸³. ამ დროს ყოველი ცდა ახალი რუსული სალიტერატურო ენის შექმნისა დაკავშირებულია დასავლეთ ევროპის კულტურასთან. იწყება ძლიერი პოლემიკა რუსული სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარების პრინციპებზე. ამასთან დაკავშირებით ბ. უსპენსკი წერს: „რუსული კულტურა ვითარდება — იძენს თვითმყოფობას — როგორც დასავლეთევროპული კულტურის ნაწილი. ეს, რა თქმა უნდა, ეხება სალიტერატურო ენასაც“⁸⁴. არსებითად საქმე გვაქვს საფრანგეთით გაშუალებულ იტალიური რენესანსის იდეებთან: „... იმდენად ხელშესახებია იტალიასა და რუსეთში გაჩაღებულ დავათა მსგავსება სალიტერატურო ენის შესახებ, რომ შესაძლებელია ვილაპარაკოთ იტალიური „*Questione della lingua*“-ს პრობლემების რუსულ ნიადაგზე გადანერგვის შესახებ“ — ავტორი იქვე განაგრძობს — მსგავსება უფრო ღიღიაო ფრანგული ენის საკითხებზე გამართულ პოლემიკასთან⁸⁵. ეს გამონათქვამი მთლიანად მოიცავს პერიოდს XVII ს-ის I ნახევრის მიწურულიდან XIX ს-ის ოციან წლებამდე. აქვე დავსძენთ, რომ ამავე იდეებისა და კონკრეტული სადისკუსიო საკითხების გადმონერგვა ქართულში მოხდა რუსული კულტურის გზით ანტონ პირველის დროიდან XIX ს-ში „სამოციანელთა“ მოღვაწეობამდე.

ჯერ გავეცნოთ ამ იდეების რუსულ ვარიანტებს, მათ სპეციფიკურ რეალიზაციას რუსულ სინამდვილეში 1763 წლამდე, ვიდრე ანტონი რუსეთშია. ანტონი რუსეთში, რა თქმა უნდა, გაეცნობოდა ორმოციანი-ორმოცდაათიანი წლების პოლემიკასაც.

1730 წ. თავის ერთ-ერთი თარგმანის („Езда в остров либви“) წინ წამძღვარებულ მიმართვაში ვ. კ. ტრედიაკოვსკი პრინციპულად უპირისპირებს ერთიმეორეს საეკლესიო სლავურსა და რუსულ ენებს. სატრფიალო თემებისთვის სრულიად შეუფერებლად მიიჩნევს საეკლესიო სლავურს, რადგან იგი ხალხს არ ესმოდა; ვ. ტრედიაკოვსკი წინააღმდეგია უცხო სიტყვებისაც, თუ ისინი აუცილებელი არ არის ენისთვის. თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში იგი ცდილობდა საეკლესიო სლავურისა და რუსული სამეტყველო ენის სინთეზით შეე-

⁸³ В. В. Виноградов, Очерки по истории русского литературного языка XVII—XVIII веков, М., 1982, с. 90.

⁸⁴ Б. А. Успенский, Из истории русского литературного языка, XVIII — начала XIX века, М., 1985, с. 11.

⁸⁵ იქვე, გვ. 12.

ქმნა თავისი დროის რუსული ლიტერატურული ენა⁸⁶. ამ დროს ქმნის იგი ტერმინს—*славеноросский язык*-ს, რომლითაც მან რუსული და სლავური ერთი ენის სახესხვაობებად მიიჩნია⁸⁷.

მ. ლომონოსოვის თვალსაზრისის დასახასიათებლად მოვიტანთ ერთ ადგილს ვ. ვინოგრადოვის კლასიკური ნაშრომიდან: „საეკლესიო სლავური ეროვნულად გათავისებული იყო რუსული კულტურის მიერ და, წარმოადგენდა რა რელიგიისა და ეკლესიის „წმიდა“ ენას, ამვე დროს ამდიდრებდა და ავითარებდა ხალხის ენას, წარმოადგენდა საზოგადოებრივი ენის განსხვავებულ სტილებზე იდეური და მხატვრული ზემოქმედების დაუშრეტელ წყაროს. ეს დაახლოება საეკლესიო სლავურისა და რუსული ენებისა, ლომონოსოვის აზრით, აუცილებლობით მოითხოვდა რუსი ერის სალიტერატურო ენის სისტემის შექმნას წიგნური საეკლესიო ენისა და რუსული ხალხური მეტყველების სინთეზის გზით“⁸⁸. მ. ლომონოსოვიც წინააღმდეგია უცხო სიტყვათა განურჩევლად შემოტანისა რუსულში. მისი აზრით, საჭიროა საეკლესიო წიგნების კითხვა საჭირო სიტყვების მოსაძებნად⁸⁹.

აქ გამოკვეთილად არის დახასიათებული მ. ლომონოსოვის პოზიცია რუსული სალიტერატურო ენის საკითხში, რომელსაც ის მეტ-ნაკლები სიფართოვით იხილავდა თავის მრავალრიცხოვან ფილოლოგიურ ნაშრომებში. მათ ჩვენ ცალ-ცალკე აღარ განვიხილავთ. ვფიქრობთ, ზემოთ ნათქვამი სრულიად საკმარისია იმ ვითარების წარმოსადგენად, რომელიც სუფევდა ანტონის რუსეთში მოღვაწეობის დროს რუსულ სალიტერატურო ენასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ანტონი ლინგვისტურ საკითხებთან დაკავშირებით ყველა სიტყვას საგულდაგულოდ დაუწყებდა სინჯვასა და აწონ-დაწონას თავისი ქვეყნის სინამდვილის მიხედვით.

3.3. ამ აწონ-დაწონისა და ყოველმხრივი სინჯვის შედეგად მიგვაჩნია სამ სტილზე მსჯელობის ამოღება გრამატიკის II რედაქციიდან: თუ სალიტერატურო ენა ახალ დროში მოითხოვდა საეკლესიო

⁸⁶ Л. И. Тимофеев, *Шестьдесят лет в крестовом пути*—В. К. Тредиаковский, *Избранные произведения*, М.—Л., 1963, თავი მე-4; Б. А. Успенский, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 91.

⁸⁷ Б. А. Успенский, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 175—177.

⁸⁸ В. В. Виноградов, *Очерки по истории русского литературного языка XVII—XVIII веков*, с. 105.

⁸⁹ М. В. Ломоносов, *Предисловие о пользе книг церковных в российском языке*.

და სახალხო ენათა შერწყმას, მაშინ რაღა განსხვავებულ ენაზე შეიძლებოდა ლაპარაკი?⁹⁰ ამ იდეას ანტონი ადვილად მიიღებდა, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვთქვით, იტალიელი მისიონერები ქართული ენის სახელურ და ზმნურ პარადიგმებს ხალხის სამეტყველო ენაზე დაჰყარებით ქმნიდნენ. ანტონიც, იცნობდა რა მათ ნაშრომებს, საზოგადო და საკუთარ სახელებს ერთნაირად აბრუნებს „ქართული ღრამმატიკის“ I-სავე რედაქციაში. საკუთარ მ ა რ ი ა მ სახელს ბრუნვათა სრული დაბოლოების გვერდით ემფატიკური ხმოვანიც ახლავს და მრავლობითი რიცხვის ფორმებიც საზოგადო სახელთა მსგავსი აქვთ. ეს სიახლე შემთხვევითი არ არის, ვინაიდან ამ დროისთვის ანტონი ზედმიწევნით იცნობდა იოანე პეტრიწისა და მის თანამედროვეთა ენას, სადაც საკუთარი სახელი ძველი ქართულის ნორმებით იყო წარმოდგენილი⁹¹.

ეს ყველაფერი „ქართული ღრამმატიკის“ I-სავე რედაქციაშია, ახალი რაღაა, რა შეცვალა ანტონმა ერთიანი სალიტერატურო ენის თეორიის მიხედვით „ქართული ღრამმატიკის“ ახალ რედაქციაში?

ანტონმა სახელთა და ზმნათა ფორმები სათანადო პარადიგმებში დაუახლოვა სამეტყველო ენას⁹²: 1) ძველ თანიან ფორმებს II რედაქციაში არჩევს ხალხში უფრო გავრცელებულ ე ბ-იან ფორმებს:

I რედაქცია	II რედაქცია
მ ი ც. მარიამებთა მარიამთ	მარიამებს
არსებათ	არსებებს
მზეებთა მზეთ	მზეებს

და სხვ.

გავიხსენოთ, რომ იტალიელი მისიონერების გრამატიკებსა და ლექსიკონებში არსებითი და ზედსართავი სახელები მხოლოდ ე ბ-იან მრავლობითში გვხვდება. 2) ზმნათა ძველ მწიგნობრულ ფორმებს ანტონი ცვლის ახალი, ხალხში გავრცელებული სამეტყველო ფორმებით:

⁹⁰ შდრ.: ე. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, სამი სტილის თეორია ქართულ მწერლობაში, გვ. 30.

⁹¹ დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 14.

⁹² უნდა ვიფიქროთ, რომ ანტონის მიერ პარადიგმებში სამეტყველო ფორმების გამოყენებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ მის დროს ძველი ქართული ენა მრავლენები უკვე მკვდარია და, ამას გარდა, ენობრივი ინტუიცია მას ახალი ქართული ენის მოდელს უკარნახებს.

I რედაქცია
 ყოფილ არიედ
 იყოს || იყავნ
 ნუ იყოფის || ნუ იყოფინ
 იყუნედ
 ნუ იყუნედ
 იყოფოდედ
 ნუ იყოფოდედ
 ვიყვნეთ
 იყვნეთ
 ყოფილ არიედ

II რედაქცია
 ყოფილ არიან || ყოფილ არიედ
 იყოს
 ნუ არს
 იყუხეხ
 ზუ არიან
 იყოფოდენ
 ნუ იყოფოდენ
 ვიყოთ
 იყოთ
 ყოფილ არიან

და სხვ.

იშვიათად I რედაქციაში ძველი და ახალი პარალელურად არის წარმოდგენილი, II რედაქცია კი ახალს, სამეტყველო ენაში გავრცელებულს აძლევს უპირატესობას, ხოლო ზოგჯერ, როგორც ვხედავთ, ძველი პირდაპირ შეცვლილია ახლით. ზემოთ წარმოდგენილი მასალის მიხედვით შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციას ანტონი თავისი გრამატიკის I-სავე რედაქციაში შესდგომია. სახელი არსებითად ახალი ქართულის ნორმებით არის ნაბრუნები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ანტონი ამ ნორმებს ზოგჯერ პირად მსჯელობაში არ იცავს, მას დიდი მიდრეკილება აქვს, ბაძავდეს ძველ თეოლოგებს, ასე, მაგალითად, II რედაქციაში აქუნნ ძველ ფორმას ხმარობს თვითონ („აქუნნ ყოველთავე ბრუნუათა თითოეულთა...“, § 1), უღლების პარადიგმაში კი არ ჩანს; ასევე საკუთარი სახელი შეუძლია ბრუნვის ნიშნის გარეშე იხმაროს მოთხრობითში, პარადიგმებში კი მსგავსი რამ არა აქვს, მაგალითად: „...კონსტანტინე მოიგონა სხუაჲცა უსჯულოებაჲ“ (მარტირია⁹³, 18,32). როგორც მწიგნობარი, ანტონი ზოგჯერ არქაულ ფორმებს ვერ ელევა. „ქართული ღრამმატიკის“ მიხედვით ეს, ასე ვთქვათ, ავტორის სპეციფიკად რჩება და არა ენის ზოგად კანონზომიერებად, რომელსაც ავტორი გრამატიკის სახელმძღვანელოში აკანონებს.

4. მივადექით ანტონის მოღვაწეობის ერთ-ერთ არსებით საკითხს — ანტონის სტილსა და ანტონის ენობრივ პოლიტიკას.

⁹³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი VI (გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი, საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ), თბ., 1980.

როგორც აკად. ს. ჯანაშია წერდა, ერთიანი სალიტერატურო ენის შექმნა ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი აქტი იყო — ანტონის მიერ დაწესებული ნორმები სავალდებულო გახდა მთელს საქართველოში, რაც განაპირობებდა ერთიანი ეროვნულ-კულტურული გამოვლინების ფორმის შექმნას, მაგრამ როგორ ჩამოყალიბდა თვით ანტონ პირველის სტილი, რა დაედო საფუძვლად მის ენობრივ პოლიტიკას?

კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა თვალი გადავავლოთ ზოგადად ქართულ სამწერლობო ენას უძველესი პერიოდიდან ანტონ პირველამდე და მივაკვლიოთ ანტონის სტილის შემაპირობებელ მიზეზებს.

4.1. მიმოხილვა უნდა დავიწყოთ კ. კეკელიძის ერთი განცხადებით ქართული სამწერლობო ენის შესახებ: „განვითარების უძველეს საფეხურზე ეს საერთო ქართული ენა უაღრესად წმინდაა, და ვინც ამ ენას შეისწავლის, ის მცოდნე იქნება საზოგადოდ ქართული ლიტერატურული ენისა, რა ეპოქისაც არ უნდა იყოს ის, ვინაიდან შემდეგი ცვლილება მას ესმის ცოცხალი ენის შემწეობით, რომელიც მან უკვე იცის“...⁹⁴.

აქ წარმოდგენილი დებულებები უაღრესად საყურადღებოა ა) ქართული სამწერლობო ენის ბუნების განსაზღვრით „უძველეს საფეხურზე“ და ბ) ამ ენის მიერ თავდაპირველი ბუნების შენარჩუნებით განვითარების თითქმის მთელ მანძილზე.

4.2. ქართული სასულიერო მწერლობის ენა დასაწყისში (V—VI სს.) ბუნებრივ-ქართული სახით წარმოგვიდგება როგორც ლექსიკურად, ისე ფონემატურად და გრამატიკულად, ოღონდ, რამდენადაც ძირითადად საქმე გვაქვს სხვა ენებიდან (უფრო მეტად ბერძნული ენიდან) თარგმანებთან. ბუნებრივია, ამ ძეგლთა ენაში ვხვდებით უცხო ენის სინტაქსურ კონსტრუქციებს, ლექსიკასა და სხვადასხვა სახის კალკებს⁹⁵. ეს ვითარება განსაზღვრულ პერიოდში საკმაოდ სტაბილურია. უცხო ენათა ელემენტები და თვისებანი ბუნებრივი შეზრდით უზოცდებიან ქართულს და მისი სისტემის ელემენტებად მოიქცევიან. ბუნებრივია, რომ შემდგომი დროის ძეგლებში უცხო ელემენტები (განსაკუთრებით ლექსიკა) საკმაოდ მატულობს. ხანმოკლე შეიძლება

⁹⁴ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 33.

⁹⁵ კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1933, გვ. 89 და შემდეგ.

მიუთითოთ X ს-ის მოღვაწის ეფთვიმე ათონელის თარგმანებზე, სადაც, მიუხედავად ქართული ბუნებრიობის დაცვისა, ორთოგრაფიული თვალსაზრისითაც კი ჩანს ბერძნული ენის გავლენის კვალი, კერძოდ, როცა თავად ეფთვიმე ან გადამწერნი თარგმანისა ი ასოს აღგილზე **ჟ**-ს ხმა-რობენ⁹⁶. ეს იმის გამოძახილია, რომ ბერძნულში **ι** პოზიციის მიხედვით იკითხებოდა როგორც მარცვლოვანი ხმოვანი (ქართული [ი]-ს მსგავსი) და ხან როგორც დიფთონგის შემადგენელი უმარცვლო ელემენტი ([ჟ]). ბერძნებს ამ ბგერებისათვის ცალ-ცალკე ნიშნები არა ჰქონდათ თავის ანბანში. ქართველი მთარგმნელი თუ გადამწერი თარგმანისა სწორედ ამ საფუძველზე **ი**-სა და **ჟ**-ს აღარ არჩევს ფონეტიკურად (ფონემატურად ეს ორი ნიშანი არც იყო საჭირო ქართულ ანბანში, აკი ამიტომაც ამოვარდა სრულიად უმტკივნეულოდ)⁹⁷.

ც. ქურციკიძე ეფთვიმეს „სწავლათას“ ენობრივი განხილვისას მიუთითებს ქართულში ბერძნულიდან მიმღეობური კონსტრუქციების გადმოღების იშვიათ შემთხვევებზე⁹⁸. საერთოდ, ეფთვიმეს თარგმანთა ენა გარკვეულად ავლენს ახალ თვისებებს, რომლებიც ჩვეულებრივი ხდება მომდევნო ხანის ქართულისთვის⁹⁹. არსებითად ამავე ხაზს მიჰყვება ეფრემ მცირე. ბოლოს, XI ს-ის II ნახევარში, ქართული სამწერლობო ენის განვითარების ხაზზე აღიმართა იოანე პეტრიწის მძლავრი ფიგურა. იოანე აჯამებს კლასიკური პერიოდის მემკვიდრეობას და სრულიად შეგნებულად, თეორიულად გააზრებული ახალი გზით წარმართავს სამწერლობო ქართული ენის განვითარებას. ვიდრე ამ ცვლილებათა ხასიათს შევეხებოდეთ, საჭიროა ზოგად ხაზებში წარმოვადგინოთ ამ დროის ვითარება ბიზანტიურ სამწერლობო ენაში, რადგან ქართულ სინამდვილეში საქმე გვაქვს სრულიად შეგნებულ აქტთან, რომელიც თავისი არსით ეხმარება ცვლილებებს XI—XII საუკუნეების ბიზანტიურ სამწერლობო ენაში. იოანე ამ დროს სწავლობდა მანგანის უნივერსიტეტში, შემდეგ კი აქტიურად მონაწილეობდა ფილოსოფიურ დისპუტებში.

⁹⁶ ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი (გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ), თბ., 1983, გვ. 332.

⁹⁷ იხ. თ. უთურგაიძე, ძველი ქართული ენის მართლწერის ზოგი საკითხი, კრ. „ფონეტიკა და ნორმა“, თბ., 1981, გვ. 41.

⁹⁸ ბასილი კესარიელის „სწავლათა“... გვ. 058.

⁹⁹ იქვე, გვ. 042.

ნ. კარგად არის ცნობილი, რომ XI ს-ის ორმოციანი წლებიდან კონსტანტინეპოლში არსებობს უმაღლესი სკოლა, დიდია გატაცება ანტიკური ლიტერატურით. სამეფო კარის ელიტარული საზოგადოება ცნობს მხოლოდ კლასიკას და გატაცებულია ატიკური ენით. რა თქმა უნდა, ატიკური ენა XI—XII საუკუნეების ბიზანტიაში ხელოვნურად გამოიყურება და არაფერი აქვს საერთო ამ დროის ბიზანტიურ ბერძნულ სამეტყველო ენასთან. ატიკური, კრუმბახერის თქმით, ამ დროს წარმოადგენს მუმიფიცირებულ ლიტერატურულ ენას¹⁰⁰, მაგრამ ა. ვასილიევი აქვე ურთავს ჯ. ბერის სიტყვებს: „ზოგი მწერალი, რომელსაც სრული განცდა ჰქონდა კლასიკური ენის სილამაზისა, მაინც მიმართავდა თავისი დროის ხალხურ მეტყველებას. მათ დაგვიტოვეს XII ს-ის ცოცხალი ენის საყურადღებო ძეგლები“¹⁰¹.

ამ დროის ისტორიულ-ლიტერატურულ ნაწარმოებებში წარმოდგენილია მრავალი ქანრი, რომელთაგან ზოგიერთი დღის წესრიგში აყენებს სამეტყველო ენის გამოყენების აუცილებლობას (მეფეთა, საზოგადო მოღვაწეთა და სწავლულთა ლიტერატურული პორტრეტები, სატირა სოციალური უსამართლობის თემებზე...). ამან განაპირობა კლასიკური ატიკურისა და ამ პერიოდის ბიზანტიური სამეტყველო ენის თანაარსებობა და გარკვეულწილად შერევაც. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ერთ ცნობილ ოჯახში ორივე მიმართულების წარმომადგენლის არსებობა — ცოლ-ქმარი ანნა კომნინოსი (ასული იმპერატორი ალექსისა) და ისტორიკოსი ნიკიფორე ვრიენიოსი განსხვავებულად წერდნენ: ანნა არქაისტია, ატიკურის თაყვანისმცემელი, ხალხის ენა მის ყურს შეურაცხყოფდა, ნ. ვრიენიოსი კი ყველასათვის გასაგები ჩვეულებრივი ენით წერდა: „ვრიენიოსის ენა საკმაოდ მარტივია და მოკლებულია იმ ხელოვნურად დახვეწილ ფორმებს, რომლებიც ახასიათებს, მაგალითად, მის განსწავლულ მეუღლეს“¹⁰².

მხატვრულ ლიტერატურაში სამეტყველო ენის გამოყენების თვალსაზრისით შეიძლება მივუთითოთ თეოდორე პროდრომეზე. იგი XII ს-ის I ნახევრის მოღვაწეა. თავის ნაწარმოებებში უხვად შეაქვს სამეტყველო ენის ფორმები: „პროდრომეს დიდი დამსახურებაა სამე-

¹⁰⁰ А. А. Васильев, Истoрия Византии. Византия и крестоносцы, 1983, 33. 105.

¹⁰¹ იქვე, გვ. 104.

¹⁰² იქვე, გვ. 105.

ტყველო ენის შეყვანა ლიტერატურულ მიმოქცევაში¹⁰³. ამ თვალსაზრისით იქცევა ყურადღებას რ. მ. დავკინსის წერილი ბიზანტიური ენის შესახებ. მისი მტკიცებით, ამ დროს ადგილი აქვს ორი ნაკადის — კლასიკური ლიტერატურის ტრადიციების ენისა და სალაპარაკო-სამეტყველო ენის ნაკადთა თანაარსებობას ურთიერთგავლენის პირობებში¹⁰⁴. დავკინსი აქვე წერს, რომ პროდრომეს სატირის ენა იყო ნარევი სალაპარაკო და ძველი ლიტერატურული ენისა. ამავე ნაშრომიდან ჩანს, რომ პროდრომე თავისი ხალხური ენით გამონაკლისს არ წარმოადგენდა: „მეთორმეტე საუკუნიდან მოყოლებული და შემდეგ, დაწყებული პტოხოპროდრომეს (იგივე პროდრომე — ე. ბ., თ. უ.) სატირული ლექსებიდან, ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებიც მეტნაკლებად დაწერილია სალაპარაკო ენით: ა მ თ ხ ზ უ ლ ე ბ ე ბ შ ი შ ე რ წ ყ მ ი თ ა რ ი ს წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი ძ ვ ე ლ ი და ა ხ ა ლ ი ფ ო რ მ ე ბ ი. ეს უკანასკნელნი შემდგომში იკავებენ ძველი ფორმების ადგილს (ხაზი ჩვენია — ე. ბ., თ. უ.)¹⁰⁵.

მხატვრული ლიტერატურის გვერდით, როგორც ჩანს, სალაპარაკო ენის შეტანა ხდება ისტორიულ-ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომებშიც. ისტორიკოსი ვრიენიოსის (ანნა კომნინოსის მეუღლის) თხზულებათა ენის შესახებ ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რომ იგი არ წერდა ატიკური ლიტერატურული ენით, განსხვავებით თავისი მეუღლისა და სხვა არქაისტებისაგან.

ახლა მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობას ჩვენთვის საინტერესო ფილოსოფოსის — იოანე იტალოსის ენის შესახებ ანნა კომნინოსის „ალექსიადის“ მიხედვით. ეს ფილოსოფოსი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ იგი არის მოძღვარი იოანე პეტრიწისა. ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ მასწავლებელი და ერთგული მოწაფე¹⁰⁶ ერთ ენობრივ პოლიტიკას ატარებდნენ.

¹⁰³ А. А. Васильев, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

¹⁰⁴ Dawkins, R. M., Greek Language in the Bizantie period, „Byzantium“, Oxford, 1961.

¹⁰⁵ იქვე, გვ. 254.

¹⁰⁶ Н. Марр, Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века, Спб., 1909, с. 108; დ. მელიქიშვილი, გელათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები, ძველ შრომები, „ენათმეცნიერება“, № 10, 1986, გვ. 219.

აი, ვრცელი ამონაწერი ანნა კომნინოსის თხზულებიდან იოანე იტალოსის პიროვნების შესახებ: „...კოვლობდა გრამატიკაში და არ განუცდია რიტორიკის სიტყვობანი. ამისა გამო მის სიტყვას აკლდა პარმონიულობა და სინატიფე... ლაპარაკში უშვებდა შეცდომებს, მარცვლებსაც ყლაპავდა ზოგჯერ. მრავალნი ამჩნევდნენ ბუნდოვანებას მისი სიტყვისა და სიტყვათა დაბოლოებების ყრუ წარმოთქმას. რიტორიკაში დახელოვნებულნი მის წარმოთქმას სოფლურს უწოდებდნენ. ამის გამო იტალოსის თხზულებანი, თუმცადა აღსავსე დიალექტიკით, მაინც არ იყო თავისუფალი უაზრო წყობისა და არალიტერატურული გამოთქმებისგან (სოლიციზმებისგან)“ (ხაზი ჩვენია — ე. ბ., თ. უ.)¹⁰⁷.

იოანე იტალიელი იყო (აქედან მისი წოდება იტალოსი), ამიტომ საკვირველი არ არის ზოგი დეფექტი ბერძნულად მეტყველების დროს, მაგრამ სოფლური წარმოთქმა, სოლიციზმები (დიალექტიზმები) და უაზრო წყობა (წაიკითხე — არქაისტისთვის მიუღებელი) ფილოსოფიურ თხზულებებში უთუოდ იტალოსის ენობრივი მრწამსიდან გამომდინარეობდა და სრულიად გასაგებია არქაისტი ანნას პოზიცია იოანეს მეტყველებისა და წერის სტილის მიმართ. აქვე უნდა ვახსენოთ ხალხური ენით დაწერილი „ტიმარიონი“¹⁰⁸, რომლის ანონიმი ავტორი თავს ესხმის ი. იტალოსს: საიქიოში იოანე ცდილობს ანტიკური ხანის სახელოვან ფილოსოფოსებთან გაბაასებას, მაგრამ ისინი ახლოს არ იკარებენ. აქ თემა განაპირობებს ენის არჩევანს. აქვე ვახსენებთ ევსტათე სოლუნელს, რომელიც თავის თხზულებებში დასცინის და ამათრახებს ბერთა უეციობასა და სიხარბეს. ევსტათეც ხალხურ მეტყველებას მიმართავს¹⁰⁹.

ზემოთქმულიდან უთუოდ კარგად ჩანს, რომ XI—XII საუკუნეებში ხალხური ბიზანტიური ბერძნული იჭრება როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრული ლიტერატურის ენაში — ეს არის ახალი ენობრივი პოლიტიკის დასაწყისი, რომელიც არსებითად უკავშირდებოდა ბიზანტიურ რენესანსს. ცნობილია, რომ სწორედ მანგანის აკადემიის კედლებში ჩაისახა ბიზანტიური რენესანსი.

¹⁰⁷ Анна Комнина, Алексада, М., 1965, с. 173.

¹⁰⁸ История Византии, т. 2, М., 1967, მე-16 თავი.

¹⁰⁹ История Византии, т. 2, М., მე-16 თავი; Евстафий Солунский, О исправлении монастырской жизни, ЖМНП, ч. ССII, 1879.

6. საქართველო ამ პერიოდში უდიდეს მთარგმნელობით მუშაობას ეწევა თეოლოგიური და ფილოსოფიური ხაზით. ბუნებრივია, სამწერლობო ენის საკითხები მწვავედ დგება დღის წესრიგში. ქვემოთ ჩვენი მსჯელობა ქართული ენის განვითარების შესახებ XI—XII საუკუნეებში ემყარება ცნობილ ნაშრომებს ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან დღემდე.

იოანე პეტრიწი მთარგმნელობით მოღვაწეობას ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით იწყებს არსენ იყალთოელთან ერთად¹¹⁰. თავდაპირველად ისინი მიზნად ისახავენ ბერძნულ ნაშრომთა ადექვატური თარგმანების შექმნას მშობლიურ ენაზე. თუ ეფრემ მცირე ამ მხრივ ზოგიერთ ახლო წინაპართან ერთად პირველი სერიოზული ნაბიჯების გადამდგმელია, იოანე პეტრიწი თავისი ექსპლიციტურად ჩამოყალიბებული ტერმინოლოგიური პრინციპებითა და ენის განახლების გზების ძიებით მწვერვალაია ამ სკოლისა XI—XII საუკუნეთა ქართული სამწერლო ენის განვითარების აღმავალ გზაზე. ეს არ იყო მხოლოდ სათანადო ტერმინოლოგიის შექმნა განუცნებელი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ცნებებისათვის, ამ დროს მოხდა ქართული სამწერლო ენის ახალი სასიცოცხლო ენერგიით აღვსება კლასიკური ქართული სამწერლობო ენისა და ხალხური სამეტყველო ენის შეარწყმით¹¹¹. აქ წარმოდგენილი დებულებები სათანადოდ არის ილუსტრირებული დ. მელიქიშვილის ნაშრომებში¹¹². ჩვენ დამატებით გვინდა მოვიყვანოთ ნ. მარის აზრი იოანე პეტრიწის დამსახურებაზე ქართული მეცნიერული ენის შექმნის საქმეში.

ნ. მარი აღნიშნავდა ქართველთა დიდ დაინტერესებას ფილოსოფიის ისეთი საკითხებით, რომლებიც ამ დროის (X—XI საუკუნეების) ქრისტიანულ სამყაროს აინტერესებდა და იქვე აღნიშნავდა, რომ „იმ განსხვავებით სხვათაგან, მაგალითად, ევროპელთაგან, რომ მაშინ ქართველები სხვებზე ადრე ეხმაურებოდნენ ფილოსოფიური აზრის ახალ მიმდინარეობებს...“¹¹³, ქართველებს, ერთგვარად, ტერმინთა გადმოღე-

¹¹⁰ დ. მელიქიშვილი, გელათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები, გვ. 225.

¹¹¹ დ. მელიქიშვილი, გელათის სკოლა..., გვ. 228 და შემდეგ.

¹¹² იხ. კიდეც: დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი.

¹¹³ H. Mapp, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

ბის პრინციპები თვითონ უნდა შეემუშავებინათ. ცნობილია, რომ ანტიკურ პერიოდში ბერძენთა განყენებული ცნებების ამსახველი ტერმინოლოგია პირდაპირ გადავიდა ლათინურში, შემდეგ კი მათი უმრავლესობა უთარგმნელადვე გადავიდა დასავლეთ ევროპის ენებში ლათინურიდან... ნ. მარი წერს „... იოანე პეტრიწს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ლიტერატურის წინაშე: მას უნდა ვუმაღლოდეთ ქართულ ენაზე მზა ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნას, რომელიც ქართული ძირებით საოცრად ზუსტად და მოკლედ გადმოგვცემს ყველა იმ ტერმინს, რომლებიც ევროპულ ენებში არსებობენ ბერძნული ან ლათინური ნასესხობების სახით. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს სიმდიდრე არ წარმოადგენდა მკვდარ კაპიტალს მაშინ, როცა საქართველოში აღორძინდა მშობლიური ლიტერატურა“¹¹⁴.

აქვე უნდა შევეხოთ იოანე პეტრიწის სტილსაც. ახალ ტერმინოლოგიაასთან ერთად იგი ხშირად იყენებს სახელშემნურ კონსტრუქციებს, ამიტომ ძნელი გასაგები გახდა როგორც თანამედროვეთათვის, ისე შემდგომი თაობებისათვის. ამ კონსტრუქციათა ხშირა გამოყენების მიზანი, როგორც დ. მელიქიშვილი აღნიშნავს¹¹⁵, იყო რთულ ფილოსოფიურ მსჯელობათა შეკუმშული, მათემატიკური ზიზუსტით გადმოცემა და შექმნა ისეთი ლაკონური და ეკონომიური სტილისა, როგორიც ახასიათებდა ანტიკური ხანის სახელგანთქმულ ფილოსოფოსთა შრომებს. ეს ყველაფერი ჩანასახის სახით აღრეც იყო, კერძოდ, ზემოთ ჩვენ მივუთითეთ ც. ქურციკიძის ნაშრომზე, რომელიც სახელშემნურ კონსტრუქციებს ავლენს ჯერ კიდევ X ს-ის ეფთვიმესეულ თარგმანში, მაგრამ იქ ამის ერთეული შემთხვევებია.

იოანე პეტრიწი ყველაფერს ქართული ენის ბუნებასთან მისადაგებით აკეთებს (ინფინიტური და მიმღეობური კონსტრუქციები არც ქართული ენისთვის იყო და არის მთლად უცხო, რამდენადაც მათ, გარდა ორიგინალური მწერლობისა, ქართულ დიალექტებშიც ვხვდებით¹¹⁶), მაგრამ — წერს ნ. მარი — იმის გამო, რომ იოანე გარკვეულად გაემიჯნა ქართული სამწერლობო ენის უცხო ტრადიციებს, თვითონ აღ-

¹¹⁴ H. M a p p, დასახ. ნაშრ., გვ. 35; დ. მელიქიშვილი, გელათის სკოლა..., გვ. 227.

¹¹⁵ დ. მელიქიშვილი, გელათის სკოლა..., გვ. 229.

¹¹⁶ დ. ჩხუბია ნიშვილი, ინფინიტის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972, გვ. 114.

მოჩნდა ხელოვნური¹¹⁷. ნ. მარი აქვე აღნიშნავს, რომ იოანემ თავისი
ენით შეძლო ბერძნული ფილოსოფიური აზრის ყველა ნიუანსის გად-
მოღება ქართულად, „მშობლიურ ენაზე შექმნა მან გამოხატულებისა
და განსაზღვრულობის მიხედვით ბერძნულის ტოლფასი ფილოსოფიუ-
რი ენა“¹¹⁸.

ახლა შეიძლება გარკვეულ დასკვნებამდე მივიდეთ: იოანე პეტრი-
წი, მსგავსად თავისი მასწავლებლის იოანე იტალოსისა, ენის განვითა-
რებას წარმართავდა ახალი გზით — სამწერლობო ენის ტრადიციასთან
ხალხური ენის სათანადო მონაცემთა შერწყმით, რამაც სამწერლო ენას
ახალი სასიცოცხლო ენერგია მისცა. განსაკუთრებით დიდია იოანე პე-
ტრიწის მცდელობა ქართული ტერმინოლოგიის შექმნა-
ში ქართულ საფუძველზე, რაშიც ის სრულიად დამოუკი-
დებელია გარეშე ძალთაგან. ეს ცდა დიდი წარმატებით დაგვირგვინდა
და პეტრიწიეულ ზოგ პრინციპს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელო-
ბა. როგორც დ. მელიქიშვილი აღნიშნავს, იოანე პეტრიწის ტერმი-
ნოლოგიური პრინციპები „დღესაც ქართული მეცნიერული ტერმინო-
ლოგიის განვითარების საფუძველს წარმოადგენენ“¹¹⁹.

7. აქ შეიძლება გავიხსენოთ აკად. კ. კეკელიძის გამონათქვამი
ქართული სამწერლობო ენის „თავდაპირველი ბუნების“ დღემდე შე-
მონარჩუნების შესახებ: განვითარების უძველესი საფეხურის სამწერ-
ლობო ენის მცოდნე — გვეუბნება დიდი მეცნიერი — ამავე დროს
„მცოდნე იქნება საზოგადოდ ქართული ლიტერატურული ენისა, რა
ეპოქისაც უნდა იყოს ის...“. ამ დებულებას არსებითი მნიშვნელობა
უნდა მივანიჭოთ ქართული ენის განვითარების საფეხურებზე მსჯე-
ლობის დროს. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ IX—XI საუკუნეებში ახა-
ლი თვისების (resp. საფეხურის) ქართული სალიტერატურო ენა კი
არ წარმოიქმნა, არამედ იგივე სამწერლობო ენა დარჩა, რაც წინა სა-
უკუნეებში იყო, ოღონდ გაძლიერდა საერთო ქართული შინაგანი ძა-
ლების სრული ამოქმედების შედეგად. ეს იყო ბუნებრივი გზით სრულ-
ქმნისაყენ მიმართული ენა. ამ ენაზე დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“.

8. დავუბრუნდეთ ანტონ პირველს. სამეცნიერო ლიტერატურაში
მრავალგზის აღინიშნა, რომ მწერლობაში ანტონ პირველი იოანე პეტ-
რიწის სტილს მიჰყვებოდა. ეს ზოგჯერ ასეთი სიმკაცრით არის ნათ-

¹¹⁷ Н. Марр, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 34.

¹¹⁸ იქვე.

¹¹⁹ დ. მელიქიშვილი, *გელათის სკოლა...*, გვ. 231.

ქვაში: იოანე პეტრიწის სტილი „მექანიკურად იქნა გადანერგილი და ფორმალიზებული ანტონის სკოლაში XVIII საუკუნეში“¹²⁰. ანტონს ქართული ენის წახდენასთან (გაცილებით უფრო მკვახე სიტყვებიც უხმარიათ!) დაკავშირებით სხვა ბრალდებაც ბევრი წაუყენეს: ორთოგრაფიული და გრამატიკული შეუსაბამოებანი, სხვა ენის გრამატიკული მაწარმოებლის პირდაპირ გადმოტანა ქართულში...¹²¹. დღეისათვის საქმის ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქოს ანტონმა XVIII ს-ის II ნახევრიდან მთელი საუკუნით შეაფერხა ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარება თავისი სამი სტილის თეორიითა და ხელოვნური სალიტერატურო ენით¹²². ამ აზრს სასკოლო სახელმძღვანელოებშიც აწვდიან მოსწავლეებს ილია ჭავჭავაძის დიდი დამსახურების გასახაზავად ახალი ქართული ენის დამკვიდრების საქმეში; ილია ანტონ პირველის „დაუნდობელ მოწინააღმდეგედ“ ცხადდება. ჩვენ აქ სხვა ავტორებზე აღარ ვუთითებთ, რადგან ყველაფერი ეს სკოლის მერხიდანვე იცის განათლებულმა ქართველმა.

ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მსჯელობა ანტონის იოანე პეტრიწთან დამოკიდებულებაზე სტილის მიხედვით, „მამათა და შვილთა დავაში“ ანტონის როლის გაგებაზე საერთოდ და იმის შესახებაც, რატომ გაძლო დიდხანს ანტონის წესებმა, რომელთაც თითქოს საუკუნოვანო შეფერხება განაპირობეს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში.

8.1. მიუხედავად იმისა, რომ იოანე პეტრიწის მოღვაწეობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში ქებით მოიხსენიება და უაღრესად დადებით მოვლენად არის ჩათვლილი (ნ. მარი, ს. ყაუხჩიშვილი, დ. მელიქიშვილი), XI და XII საუკუნეთა მიჯნაზე იოანეს მიერ დადებული ნორმების მექანიკური გადმოღება XVIII ს-ში, როგორც ყველა მექანიკური ბაძვა, გაუმართლებლად უნდა ჩაგვეთვალა, მაგრამ ანტონის უაღრესად დიდი განსწავლულობა და თანდაყოლილი შემოქმედებით-

¹²⁰ დ. მელიქიშვილი, გელათის სკოლა..., გვ. 229; მისივე, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, გვ. 4.

¹²¹ ა. შანიძე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემაში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, 1964; ა.რ. მარტიროსოვი, ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარების ისტორიიდან, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერი), № 1, 1973.

¹²² ა.რ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ.

თი ნიჭი *a priori* გამორიცხავს ყოველგვარ მე-
ქანიკურობას. თუ ანტონის რომელიმე დებულება სადავოა ან-
მიუღებელი დღევანდელი თვალსაზრისით, ჩვენი მოვალეობა მხოლოდ
მათი უარყოფა კი არ არის, არამედ საჭიროა ამ დებულებათა საფუ-
ძვლების ძიება, მათი დანახვა ანტონის დროის მეცნიერული მიღწევე-
ბის სიბრტყიდან.

8.2. დავიწყეთ სამი სტილის თეორიით... როგორც ზემოთ ვთქვიტ-
ანტონი „ქართულ ღრამმატიკის“ II რედაქციაში
აღარ ლაპარაკობს სამ სტილზე სრულიად შეგ-
ნებულად.

1860—62 წლებში ქართული სალიტერატურო ენის საკითხებზე
მსჯელობაში (ილიას მიერ წამოწყებულ დავამდე და დავის დროსაც)
განსხვავებულ სტილებზე მსჯელობა ემყარება იმ თეორიებს, რომლე-
ბიც მოკამათეთათვის კარგად იყო ცნობილი ფრანგულ-რუსული სათა-
ნადო ლიტერატურიდან. ამ დროს დავა სტილთა და ერთიანი სალიტე-
რატურო ენის შემოღების შესახებ სათავეს იღებს იტალიური აღორ-
ძინების პერიოდიდან, რომლის ყველაზე დიდი წარმომადგენელი დან-
ტე ალიგიერი XIV ს-ის დასაწყისში ჰპეციალური ტრაქტატით გამო-
ეხმაურა სალიტერატურო ენის პრობლემას¹²³.

ალექსანდრე ჯ. ორბელიანისა და დ. ბაქრაძის მოთხოვნა დარბა-
ისლური (საშუალო) სტილის საერთო-სალიტერატურო ენად. ქვეყნის
შესახებ მთლიანად ემთხვევა დანტე ალიგიერის თვალსაზრისს —
იტალიურ საერთო სალიტერატურო ენად ელიარებიანთ კურტუაზული,
ანუ სასახლის არისტოკრატიის ენა, რომელიც, დანტეს მტკიცებით,
საერთო-სახალხოც იყო¹²⁴. ეს თვალსაზრისი მთელმა ევროპამ მიიღო,
მათ შორის რუსეთმაც და სწორედ ამ გზით აღწევდა იგი საქართვე-
ლომდე. ალ. ჯ. ორბელიანის მოთხოვნა — „ჩუწნი ლაპარაკი და წერა,
კვლად ვიტყვ, ერთგვარი უნდა იყოს: რა გუარად ილაპარაკონ, ისე
დაიწეროს და რაგუარად დაიწეროს, ისე ილაპარაკონ“¹²⁵ პერიფრაზია
ვ. ტრედიაკოვსკის ცნობილი დებულებისა — „Так писать надлежит,
как звон требует“¹²⁶.

¹²³ Данте Алигьери, О народной речи, Петроград, 1922.

¹²⁴ იქვე, გვ. 35.

¹²⁵ ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი, ქართულ
უზნობა ანუ წერა, „ცისკარი“, მაისი, 1860, გვ. 97.

¹²⁶ ამ მხრივ ტრედიაკოვსკი ისე ღრის წავიდა, რომ порядку, светской, образ-
цы... ფორმების ნაცვლად წერდა порядку, свещной, образцы... ფორმებს.

ალ. ჯ. ორბელიანი ფიქრობდა, რომ, თუ ლოგიკისა და ქართული გრამატიკის ხეირიანი წესები ჩამოყალიბდებოდა, სალიტერატურო ქართულსაც უთუოდ ეშველებოდა, ე. ი. იგი მეცნიერულ საფუძველზე ფიქრობდა სალიტერატურო ენის საკითხთა მოგვარებას¹²⁷. საყურადღებოა დიმ. ბაქრაძის გამოხმაურება: გრამატიკისა და ლოგიკის სახელმძღვანელოები ვერ უშველის საქმეს, ლიტერატურული ენის შექმნას მეცნიერება კი არა, საზოგადოების ცოცხალი ენისთვის ყურის მიგდება და კეშმარიტ მწერალთა კითხვა სჭირდებაო¹²⁸. — ესეც დანტესგან მომავალი აზრია: სალიტერატურო ენა უნდა შეიქმნეს სასახლის კარის საზოგადოების მეტყველებისა და რჩეულ მწერალთა (მაგ., ჩინო და პისტოია, თავად დანტე...) ენის მიხედვით¹²⁹.

ეს აზრი ევროპაში თითქმის ყველა სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების დროს ამოტივტივდებოდა ხოლმე. ლიტერატურა და ლიტერატურული ენის შექმნა მეცნიერების კი არა, გამორჩეული საზოგადოებისა და გამორჩეული მწერლების კომპეტენციად იყო მიჩნეული. „ლიტერატურა... ნაკლებ განსწავლულობას საჭიროებს, მაგრამ, გავბედავ თქმას, უფრო მეტ გონიერებას მოითხოვს, ვიდრე საკუთრივ ე. წ. მეცნიერებები“, — წერდა ნ. კარამზინი 1802 წელს¹³⁰.

ალ. ჯ. ორბელიანისა და დ. ბაქრაძის წერილები „ცისკარში“ სულ რამდენიმე თავით უსწრებდა ცნობილ დავას ილიასა (resp. „შვილთა“) და „მამათა“ შორის ქართული სალიტერატურო ენის შესახებ. ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის საკითხი დღის წესრიგში იდგა: ანტონის ნორმებს აღარ იცავდნენ, ახალი ნორმები კი არ არსებობდა. ალექსანდრე ჯ. ორბელიანიც სწორედ ამიტომ მოუწოდებდა ერთიანი სამწერლობო ენის შესაქმნელად, „რომ სხუა და სხუა ჭრელი წერა არა გამოვიდეს ხოლმე „ცისკარში“¹³¹. შემდეგ იწყება ცნობილი დავა სალიტერატურო ენის შესახებ. დ ა ვ ა ს დ რ ო ს ა ნ ტ ო ნ პ ი რ ვ ე ლ ი ს ს ა მ ს ტ ი ლ ზ ე ლ ა პ ა რ ა კ ი ა რ ს ა დ ყ ო ფ ი ლ ა. ამ წერილებში საკმაოდ ხშირად იხსენიება ვ. ტ რ ე დ ი ა კ ო ვ ს კ ი,

¹²⁷ ალ. ჯ. ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

¹²⁸ დ. ბაქრაძე, წიგნი მიწერილი თ. ალ. ჯ. ორბელიანისადმი მისი „ქართული უზნობისა ანუ წერისა“, „ცისკარი“, 1860, № 8.

¹²⁹ Данте Алигьери, დასახ. ნაშრ., გვ. 35—38.

¹³⁰ Н. М. Карамзин, О любви к отечеству и народной гордости. Одесса, 1888, с. 9.

¹³¹ ალ. ჯ. ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

ნახსენებია მ. ლომონოსოვიც, სარდიონ ალექსი-მესხიშვილის წერილში მითითებულია ნ. კარამზინის დიდ დამსახურებაზე რუსული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საქმეში, რომელიც ილია ჭავჭავაძეს, ავტორის შენიშვნით, რატომღაც გამორჩა.

„მამები“ და „შვილები“ სალიტერატურო ენის საკითხებზე და სამსტილზე მსჯელობენ იმდროინდელი რუსული მეცნიერების გაგებით, რაც ტრადიციკოსკის, ლომონოსოვის, კარამზინისა და სხვა მათ თანამედროვეთა და მომდევნო მწერალთა და კრიტიკოსთაგან (ა. პუშკინი, ბ. ბელინსკი...) მოდიოდა.

ანტონ კათალიკოსი ამ დავაში რამდენჯერმე ახსენეს. „მამები“ მას მიმართავენ, როგორც ავტორიტეტს ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებში; „შვილები“ არ ფიქრობენ ანტონის ჭკუით სიარულს, მაგრამ ყველა დიდი პატივით იხსენიებს მას. აქ მხოლოდ ილიას ზიტყვებს მოვიტანთ: „ნურავინ ნუ გაიფიქრებს, რომ მე არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოზისა. ანტონი დიდ ალაგს დაიპყერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა, მაგრამ ახლა რომ პოეზიის განხილვა იმ დროის კანონებით მოვიწოდოთ, ძალიან შეეცდებით. მაშინ სხვა-რიგად ესმოდათ, ეხლა სხვა-რიგად. მე ეგ უფ. ბარათოვის სტატიაზედ მომყავს, რადგანაც იმას ჩაბრუნაძის პოეტობის დასამტკიცებლად ანტონ კათალიკოზის სიტყვები მოჰყავს, ის კი არ იცის უფ. ბარათოვმა, რომ ეგ სიტყვები პოეტისა ძალიან მართალნი არიან:

„ლექსის პარმონიის ღვთიურ საიდუმლოთა
ახსნას ნუ შეეცდები ბრძენთა წიგნებით“

(ა. მაიკოვი)“¹³².

დღეს ანტონის აზრია მართებულად მიჩნეული¹³³. ასევე კ. ლორთქიფანიძეს არ მოსწონს ანტონის პოეზია, მაგრამ მას თავისი დროის დიდ მოაზროვნედ („დიდი ჭკუის პატრონად“) თვლის¹³⁴. სხვათა შორის, „შვილები“ — კირილე ლორთქიფანიძეც და გიორგი წერეთელიც

132 ი. ჭავჭავაძე, პასუხი, თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, თბ., 1977, გვ. 25.

133 კ. ქეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, გვ. 232.

134 იხ. „ცისკარი“, აპრილი, 1862, გვ. 315.

საკმაოდ კარგად იცავენ ამ დროს ანტონის ორთოგრაფიულ წესებს (პ ს წ უ ხ ს, ჩ უ მ ნ, ე ფ თ ვ მ ე, კ ი თ ხ უ ა, ს ი ტ ყ უ ა ფორმები ჩვეულებრივია მათ წერილებში).

ჩვენ დავასკვნით: ანტონ პირველის სამი სტილის თეორია არავის უხსენებია „შვილთა და მამათა დავაში“. ანტონს ყველა მორიდებითა და პატივისცემით იხსენიებს. ამ დავაში სტილებზე მსჯელობა ევროპულ-რუსული აზრების ექოა.

ეს ვითარება, რომელიც ზემოთ წარმოვადგინეთ, კანონზომიერია. ანტონმა შექმნა ერთიანი და ყველასათვის სავალდებულო სალიტერატურო ენა გარკვეული სახით. ერთიანი ენის წინააღმდეგი XIX ს-ის სამოციანი წლების დასაწყისში არავინაა, პირიქით, ყველა ასეთი სალიტერატურო ენის შექმნისაკენ ისწრაფვის. რუსეთთან შეერთების შემდეგ ანტონის მიერ დადებულ ნორმათა გავლენა თანდათან შემცირდა და ახლად გამოღვიძებული ეროვნული შეგნების საფუძველზე ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში, ოღონდ ილია (resp. „სამოციანელები“) თანახმა აღარ არიან ძველი ორთოგრაფიისა, რომელიც, მართალია, ანტონმა კი აქცია სავალდებულოდ მთელს საქართველოში, მაგრამ ყველა ზედმეტი ნიშანი, გარდა 2 ხმოვნისა, ტრადიციული იყო ქართული მწერლობისათვის ანტონამდე. მწიგნობარმა კათალიკოსმა ვეღარ გაუწია მათ წინააღმდეგობა და თითქმის უცვლელად გადმოიტანა ისინი თავისი დროის სამწერლობო ენაში. სახელთა ბრუნების პარადიგმებში უკვეცელ სახელთა შემასმენლობით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვათა ფორმებში ძველი ქართულის ორთოგრაფიაა გატარებული მ-ს შენახვის გამო (ოქრომ, ოქრომსა, ოქრომთა); ასევე ჯ, მ, კ, ზ, ჟ დატოვა ძველებური წესით (უ-ს შესახებ ქვემოთ სპეციალურად ვიმსჯელებთ).

ძველი, ტრადიციული ორთოგრაფიისთვის წინააღმდეგობის გაწევა მეცნიერულ საფუძველზე (სხვანაირად კი ანტონს არ შეეძლო) ნიშნავდა მ, ჟ, მ, ჯ, ზ ნიშნების უარყოფას ძველ ქართულშიც ენის ბუნების გათვალისწინებით. ასეთი მეცნიერული აპარატი ანტონის დროს არ იყო. ილია ჭავჭავაძე მოქმედებდა ინტუიტიურად, რაც შემავარებული იყო ევროპისა და რუსეთის პრაქტიკით; ამას ხელს უწყობდა დიდად ისიც, რომ ილიას პეტერბურგელი პროფესორი დავით ჩუბინაშვილი ამ ნიშნებს ზედმეტად თვლიდა ქართულ მწერლობაში. „...მ, მ, ზ, ჟ, ჯ, ზ, კ, ჟ ასოების შეტანა ან-

ბანში აუცილებელი არ არის“, — წერდა დ. ჩუბინაშვილი 1855 წ. თავის „Краткая грузинская грамматика“-ში (იხ. გვ. 2). დ. ჩუბინაშვილს სერიოზული მეცნიერული მტკიცება არ წარმოუდგენია ქართულ ან-ბანში ამ ასოთა ზედმეტობის შესახებ. ის ემყარებოდა იმას, რომ სა-ერო მწერლობაში ეს ნიშნები იშვიათად გამოიყენებოდა (იხ. იქვე).

ქვემოთ წარმოვადგენთ ანტონის ერთ ცდას — ჩარეულიყო ტრა-დიციულ ორთოგრაფიაში, აქ კი ამით დავამთავრებთ სამ სტილზე მსჯელობას: ანტონმა თავისი გრამატიკის II რედაქციაში სალიტერა-ტურო ქართულის მისეული წესები და ორთოგრაფია საქართველოში ყველასათვის სავალდებულოდ დასახა სალიტერატურო ენით წერის დროს. ეს ცდა ეროვნული თვალსაზრისით სწორი იყო და განხორ-ციელდა კიდევ ქვეყანაში. გავიხსენოთ, როგორ უშლის ხელს სამი სტილის თეორია ახალი რუსული სალიტერატურო ენის საყოველთაო აღიარებას. ნ. კარამზინამდე მრავალი წერდა ახალი რუსულით, მაგრამ ეს მათთვის გარკვეული ჟანრისთვის მისადაგებული სტილი იყო (მა-გალითად, ფონეზიკისა და კრილოვისათვის) და არა განუყოფელი, ერთიანი სალიტერატურო რუსული ენა¹³⁵. ჩვენშიც ხშირად უთითებენ სულხან-საბა ორბელიანის ახალ ქართულზე, მაგრამ ხომ კარგად არის ცნობილია, რომ სულხან-საბასთვისაც ეს ახალი ქართული ერთ-ერთი სტილია და არა ერთადერთი სალიტერატურო ქართული ენა.

8.8. ახლა ვნახოთ, რამდენად „მექანიკურია“ ანტონი სალიტე-რატურო ქართული ენის გრამატიკული წესების დადგენის დროს.

ა) ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ანტონი სალიტერატურო ენის შექ-მნას ცდილობს ძველი სამწერლო ენისა და თავისი დროის სამეტყვე-ლო ენის შერწყმით. ქართულ სინამდვილეში ეს ჯერ კიდევ იოანე პეტ-რიწის არჩეული გზა იყო (იხ. ზემოთ).

როგორც იოანეს ეპოქაში, ისე ანტონის დროს ადამიანთა საკუ-თარი სახელები ხალხის მეტყველებაში ბრუნებით გათანაბრებული იყო საზოგადო სახელებთან, რაც „ვეფხისტყაოსანშიც“ აისახა შემდეგ (აქ გვხვდება როგორც ტ ა რ ი ე ლ, ისე ტ ა რ ი ე ლ ი; ა ვ თ ა ნ დ ი-ლი ს და ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი ს ა, ა ს მ ა თ და ა ს მ ა თ მ ა ნ...). იოანე პე-ტრიწი მწიგნობრულ ტრადიციას აძლევს უპირატესობას: „იოანე პეტ-

¹³⁵ Л. Поливанов, Преобразование литературного языка Н. М. Карамзиным, см.: Н. М. Карамзин. Избранные сочинения, ч. I, 1884; Я. К. Гротт. Труды, II. Филологические разыскания, СПб., 1899.

რიწის ენაში საკუთარ სახელთა ბრუნება მისდევს, ძველი ქართულის სალიტერატურო ენის მკაცრ ნორმებს. საზოგადო სახელთაგან განსხვავება მკაცრადაა დაცული¹³⁶. რამდენიმე დარღვევა იოანეს ტექსტში მოდის XVIII ს-ში აღდგენილ ფურცელზე¹³⁷.

ანტონი პრინციპულად არჩევს თავისი დროის სამეტყველო ენის ნორმას: საკუთარ სახელებს შემასმენლობით და მოთხრობით ბრუნებებში ბრუნვის ნიშნები საზოგადო სახელის კვალობაზე აქვთ (მარიამი, მარიამმან; მარიამნი. შემასმენლობითი ბრუნვა რომ არ უშლიდეს, წრფელობითში უთუოდ მარიამი იქნებოდა), ემფატიკური ხმოვანი ყველგან ერთვის, სადაც საზოგადო სახელებს აქვს (მარიამისა, მარიამითა...). იოანესა და ანტონს მდგომარეობა ერთნაირი ჰქონდათ, გადაწყვეტილება კი საპირისპირო მიიღეს. ენის დემოკრატიზაციის პრინციპით სწორია ანტონის არჩევანი.

აქ ფრიად საყურადღებოა ერთი სხვა მომენტიც: გრამატიკის I რედაქციაში სანიმუშოდ აღებული საკუთარი სახელი მარიამ წოდებით ბრუნვაში საზოგადო სახელთა წესით არის გაფორმებული — მარიამო (A 531,7v), შესაბამისად მრავლობით რიცხვში — მარიამნო. II რედაქციაში ანტონმა არჩია მწიგნობრული, ძველი ქართულიდან მომდინარე მარიამ, რომელიც დღესაც ლიტერატურული ნორმაა, მიუხედავად იმისა, რომ დიალექტებში ჩვეულებრივია მარიამო ფორმა (აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ ზ. შანშოვანი წოდებითში გიორგი, დანიელ, თომა ფორმების გვერდით დასაშვებად მიიჩნევს გიორგო, დანიელო, თომაო ფორმებსაც¹³⁸, რომლებიც უთუოდ XVIII ს-ის ოცდაათიანი წლების სამეტყველო ენიდან არის აღებული. რა თქმა უნდა, მეტყველებაში ისინი ანტონის დროსაც ჩვეულებრივი იქნებოდა). მარიამ ფორმას მრავლობითში მარიამნო უდგას გვერდით II რედაქციაში. ანტონი აქაც ცოდნით მისდგომია საქმეს. მან თავი აარიდა ხელოვნურ მარიამნ ფორმას, რომელსაც ვერ გადაურჩა გვიან ნ. მარი და არარსებული ნარიანი მრავლობითის ფორმა შეიტანა წრფელობითში 1925 წ.¹³⁹.

¹³⁶ დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, გვ. 14.

¹³⁷ იქვე.

¹³⁸ ზ. შანშოვანი, მოკლე ღრამატიკა..., გვ. 20.

¹³⁹ Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, с. 40.

ბ) დ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ ებ-იანი მრავლობითი საბელთა ფორმებში სულ 24-ჯე არის ნახმარი იოანე პეტრიწის შრომებში¹⁴⁰. ეს ძალიან პატარა პროცენტია ათასეულობით ნ/თანიათი ფორმების საპირისპიროდ. ანტონი კი სახელთა პარადიგმებში ებ-იან მრავლობითს აძლევს უპირატესობას. აქაც ჩანს აწონ-დაწონის და განსჯის კვალი: I რედაქციაში თანიათი მრავლობითია წარმოდგენილი მიცემით ბრუნვაში, ერთ შემთხვევაში - ებთა შერეული დაბოლოებაც არის, II რედაქციაში კი, გარდა წრფელობითისა, მრავლობითში ყველგან - ებ სუფიქსია სახელთა სიმრავლის გამოსახატავად. აქაც, როგორც ვხედავთ, ანტონი ენიის დემოკრატიზაციის გზით მიდის. მსჯელობის გაგრძელება მორფოლოგიის ხაზით კიდევ შეიძლება, რათა ვაჩვენოთ ანტონის დამოუკიდებლობა, მაგრამ ჩვენი შრომისთვის, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. ახლა განვიხილოთ ანტონის გრამატიკულ-ორთოგრაფიული კონსერვატიზმი, რის გამოც მას ბევრი საყვედური შეხვდა.

8.4. რაც უფრო აფიქრებდა თანამედროვეთ და იწვევდა უკმაყოფილებას მომდევნო თაობებში, ეს იყო წინადადებათა სახელმწიფო კონსტრუქციები, რომელთაც ზმნის პირიანი ფორმების ადგილზე მოამრავლეს მიმღეობები და საწყისები. როგორც ზემოთ ითქვა, თავის დროზე იოანე პეტრიწმა ამ გზას მიმართა ლაკონური და აზრობრივად ზუსტი, უამრავ ნიუანსთა დამტვეი სტილის შესაქმნელად (დ. მელიქიშვილი, ნ. მარი). უთუოდ ეს იდეა ეწეოდა ამ სტილისკენ ანტონ პირველსაც, მით უმეტეს მეცნიერულ ენაში იგი უკვე აპრობირებული იყო „ქეშმარიტი ფილოსოფოსის“¹⁴¹ — იოანე პეტრიწის მიერ. ეს იყო XVIII ს-ის დიდი ექსპერიმენტი, რომელიც მარცხით დამთავრდა — სალიტერატურო ენა არ წავიდა ამ გზით, რადგანაც სახელმწიფო კონსტრუქციებს, რომელიც მთლად უცხოც არ ყოფილა ქართულისთვის, ზედ დაერთო ხელოვნურად შეშოკებული ფორმები (საცნო „საცნობი“, მყო „მყოფი“, მაკეთ „მკეთებელი“...) და XI—XII საუკუნეთა არქაიზმები (იწუალების „განიყოფება“, ღრამი „ასო“, ნივთი „ელემენტი“...). ესეც კი უნდა ითქვას, რომ სალიტერატურო ენამ მრავალი ტერმინი და გამოთქმა

¹⁴⁰ დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, გვ. 11.

¹⁴¹ ეს თვით ანტონის აზრია, იხ. მისი „წყობილსიტყვაობა“, 1972, გვ. 172.

მიიღო ამ ცდიდან, იგი უკვალოდ არ გამჭრალა სალიტერატურო ქართული ენისთვის.

უნდა ვივარაუდოთ, რომ თვით ამ ექვსსაუკუნოვანი უმოქმედობით დაკონსერვებული სტილის საფუძვლებმა, რომლებსაც ემყარებოდა იოანე პეტრიწი, შეაპირობეს მისი მარცხი XVIII ს-ში. სავარაუდებელია რომ, თუ იოანეს არ გამოუჩნდებოდნენ მისებრ ბრწყინვალე თანამოაზრენი, ეს სტილი მაშინაც განწირული იყო. ამ მხრივ საყურადღებოა ნ. მარის ერთი შეხედვით პარადოქსული მტკიცება, რომელსაც გაკვრით ზემოთაც შევეხეთ: XI ს-ისთვის იოანე პეტრიწამდე არსებული ქართული სალიტერატურო ენა ჩამოყალიბებული იყო გარკვეულ კულტურულ გარემოში, რომელიც ქმნიდა კიდევ მის სპეციფიკას. იოანეს ეს ენა სრულად ვერ აკმაყოფილებს, რადგან არ იძლევა ბერძნული ორიგინალის ზედმიწევნითი შინაარსითა და ნიუანსებით გადმოღების საშუალებას. მაშინ იოანე თვით იწყებს ამ საშუალებათა შექმნას ენის ბუნების გათვალისწინებით. ნ. მარი წერს: „ლიტერატურულ ენაში გარედან შემოტანილ თავისებურებათა გარეშე ქმნიდა იოანე პეტრიწი ენას. ამის გამო მისი ენა, მიუხედავად იდეალური გამართულობისა, უჩვეულოდ ხელოვნური გამოჩნდა (ხაზი ჩვენია — ე. ბ., თ. უ.)¹⁴².

ენა ხელოვნური გახდა საკუთარი ბუნების გამოვლინებით იმიტომ, რომ სალიტერატურო ენაში უკვე ბევრი იყო გარედან შემოტანილი...

როგორც იოანეს, ისე ანტონის ეპოქაში ამ დებულებებთან დაკავშირებით ბევრი რამ მოითხოვს გამოწვლილვით შესწავლასა და სისტემაში მოყვანას, ვიდრე მათ მკაცრ განაჩენს გამოვუტანდეთ.

ანტონი თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის და სხვა უფრო ძველ და მომდევნო ხანის მოღვაწეთა თარგმანებითა და ორიგინალური ნაშრომებით იღებს თეოლოგიურ და ფილოსოფიურ ცოდნას. ესენი მისი განუყრელი და მის სულიერ მისწრაფებებთან დაახლოებული მოძღვარნი არიან. მათი ნაშრომები გამუდმებით ახდენენ ანტონზე გავლენას. ასეთ ვითარებაში დიდი ერთგულება იოანე პეტრიწის ზუსტი და ეკონომიური სტილისადმი სრულიად გასაგებია. მაგრამ ერთია ანტონ პირველის, როგორც მეცნიერულ ნაშრომთა ავ-

¹⁴² Н. М а р р. Иоанн Петрицкий..., с. 34.

ტორის, საკუთარი სტილი და სხვა არის ის გრამატიკული დებულებები და წესები, რომელთაც გვთავაზობს „ქართულ ღრამმატიკაში“. ამ მხრივ, როგორც ვნახეთ, ის დიდად პროგრესულია: სახელთა მისეული პარადიგმები არსებითად ძალაშია დღესაც, რადგან ის უპირატესობას აძლევდა სამეტყველო ენის ფორმებს; გრამატიკის I და II რედაქციების შედარებით ისიც ვნახეთ, რომ ზმნათა უღლებაშიც ბევრი ფორმა საბოლოოდ სამეტყველო ენის მიხედვით შედის პარადიგმებში და დღემდე სწორად ითვლება სალიტერატურო ენაში. ანტონმა ქართული მეტყველების ნაწილთა მრავალი კატეგორია გამოავლინა და სათანადოდ აღწერა კიდევ თავისი დროის მეცნიერული დონის შესაბამისად¹⁴³. ბევრი მისი მახვილგონივრული ანალიზი თუ მიხვედრა კვლევის შედეგებით დღევანდელობას ეხმაურება. ზოგიერთ მათგანზე ჭეშმით გვექნება მსჯელობა.

8.5. სპეციფიკური ფონეტიკური ვითარება, რომელიც შეიქმნა ქართული ანბანის ფონოლოგიური ნაკლის გამო და ამისი ასახვა ორთოგრაფიაში. სამწერლობო ქართულისთვის სრულიად ზედმეტი იყო ფონემის ორი ასოთი გამოხატვა მისი ფონეტიკური ვარიანტების არსებობის გამო, უმარცვლო უ-ს (ანტონის მიხედვით ფ-ს) ხმარება ვასოს გვერდით, როცა ისინი მხოლოდ პოზიციურად განსხვავდებოდნენ. ამიტომ ძველი ქართულის 15-ოდე გამონაკლისიც ხელოვნურია. ეს იმას ჰგავს, დღეს ჩვენს ანბანს ჭ ასო დაეუმატოთ იმის გამო, რომ სალიტერატურო ქართულით მეტყველების დროს მისი შესაბამისი ბგერა ისმის [ვ]-ს ადგილზე ყრუ ჩქამიერი თანხმოვნების წინ ([ჭწერ], [ჭჭამ], [ჭფცქენი] და სხვა მრავალი). ანტონს სათანადო ფონოლოგიური ძიების ჩატარება არ შეეძლო, რადგან XVIII ს-ში მსგავსი ანალიზი არ ტარდებოდა არც ერთ ენაში.

8.5.1. ანტონმა მიიღო ტრადიციული ორთოგრაფია და იმავე კანონებზე დამყარებით გააფართოვა იგი, კერძოდ: ანტონი ფ-ს წერდა მაშინაც, როცა ის მიღებული იყო -ავ თემის ნიშნის შეკუმშვით თანხმოვნის მომდევნოდ: მარხავს, მაგრამ მარხუა, ლოცავს, მაგრამ ლოცუა... და

¹⁴³ არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 88. ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970. ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორია, გვ. 61.

მაშინაც, როცა პოზიცია ანალოგიური იყო ცნობილ გამონაკლისებში (ქუა, ნაცვლად ქვა ფორმისა, ქუელი, ნაცვლად ქველი ფორმისა და სხვ.). მეცნიერული თვალსაზრისით ეს სწორი გზა იყო, რადგან მართლწერა ზედმეტი დანაწევრებისგან თავი-სუფლდებოდა, რაც ძველი ქართულის ორთოგრაფიას ხელოვნურად ართულებს¹⁴⁴, სწორედ ეს კარგი მიგნება დაუგმეს ანტონის¹⁴⁵. აქ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ. აკაკი შანიძე დავობს იმის გამო, რომ ამ სწორებით ორთოგრაფიულად თავისი სახით ვეღარ წარმოგვიდგა ძველი ქართულის ძეგლები¹⁴⁶. ეს სწორია, მაგრამ ანტონის მიზანი და ჩვენი მიზანი ერთი ხომ არ არის ახალი ალთქმის წიგნთა გამოცემის დროს? ჩვენ ისინი გვაინტერესებს, უპირველეს ყოვლისა, იმ ენობრივი ფორმით, როგორითაც შემქმნელთა ხელიდან გამოვიდნენ, ანტონისთვის კი მათგან თეოლოგიური პრინციპებისა და რწმენის გადმოტანა იყო მთავარი, რის მიღებასაც იგი ცდილობდა, მისი აზრით, უფრო პროგრესული ორთოგრაფიით. ანტონი ეფთვიმეს, ეფრემს, იოანეს კი არ სწავლობს როგორც სხვა აზრისა და ფიქრის მქონე შორეულ წინაპრებს. მათი ენობრივი სპეციფიკით, ანტონი მათ აგრძელებს, როგორც მემკვიდრე და თავის სამემკვიდრესაც უფროებს მისთვის მისაღებ ფორმას უძებნის.

ლინგვისტურად ანტონის ნაბიჯი სწორია და მის მიერ დასახული მიზნით გამართლებულიც არის¹⁴⁷. ეს ცვლილება რომ კანონზომიერია ლინგვისტური თვალსაზრისით, იქიდანაც ჩანს, რომ ვ პოზიციურად ზშირად იცვლება უ-დ კლასიკურ ქართულშიც სწორედ ანტონის მიერ შერჩეულ პოზიციებში. ამისთვის აქ მხოლოდ ა. შანიძის ნაშრომს დავიმოწმებთ — „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ (თბ., 1976, გვ. 22). აქ 21-ე პარაგრაფში ლაპარაკია ვ-ს შეცვლაზე უ (-უ)-თი პოზიციის მიხედვით; თუმცა ძველი ქართულიდან შეიძლება დაგვემატებინა ისეთი მაგალითებიც, რომლებშიც -ავ თემის ნიშნის ვ-ც გადადის უ-ში წინამავალი ა-ს ჩავარდნის შემდეგ.

ქართულ ძველ მწერლობაში და გვიანაც უ(უ)-სა და ვ-ს აღრევა ანბანში ფონეტიკური პრინციპის გაუმართლებელი შეტანის ბრალია.

¹⁴⁴ ანტონს შეიძლება არ მოეუწონოთ მხოლოდ უ-ს წერა სონორთა მომდევნოდ. ეს ფონეტიკურად საეჭვო ჩანს.

¹⁴⁵ ა. შანიძე, ანტონ I-ის გავლენა..., გვ. 35.

¹⁴⁶ ა. შანიძე, ანტონ I-ის გავლენა..., გვ. 36.

¹⁴⁷ ე. ი. ეს ნაბიჯი არ არის სწორი მხოლოდ ისტორიული ფორმის შენახვის თვალსაზრისით.

8.5.2. რაც შეეხება ჟმ კომპლექსთა ხმარებას (ძჟმლი, ჩჟმნ ზუტაჩჟმნებს...), აქ ანტონი მიჰყვება ტრადიციას, რომელიც X ს-იდან ისახება¹⁴⁸. გაუგებრობანი, რომლებიც, საერთოდ, ამ ასოს ხმარებას ახლავს ძველ ტექსტებში, ქართულ ანბანში ამ ნიშნის გაუმართლებელ შემოტანას უკავშირდება. ტრადიციისთვის კი მიუთითებთ ეფრემ მცირეზე, რომლის ფსალმუნთა თარგმანებში „უმარცვლო უ-ს შემდეგ მოსალოდნელი ე-ს ნაცვლად ყოველთვის მ არის“¹⁴⁹.

8.5.3. ანტონი ნასესხებ სიტყვებში ინარჩუნებს გაორმაგებულ თანხმოვნებს (ღრამმატიკა, ეკკლესია, ელლინნი...). გაორკეცებულ თანხმოვნებს ნასესხებ სიტყვებში ქართული ტრადიცია ამარტივებდა. ანტონის მოქმედებას უთუოდ აქვს გარკვეული გამართლება: როცა უცხო ენაში, საიდანაც ვსესხულობთ სიტყვას, გაორკეცებული თანხმოვნები წარმოთქმაში განსხვავდებიან ცალმაგათგან, მეცნიერული თვალსაზრისით უმჯობესი იქნებოდა გაორმაგების დაცვა ქართულშიც. განა სწორი იქნება დღეს გამოვთქვათ და ვწეროთ უნდერკინდი, უალი, ოდევილი¹⁵⁰... იმიტომ, რომ ვუ და ვო კომპლექსებით დაწყებული ქართული სიტყვები არ არსებობს სამწერლობო ენაში?...

ფიქრობთ, ნასესხებ სიტყვებში მშობლიური ენის მიხედვით სხვა ენის ბგერათა კომპლექსების გამარტივება-გართულება თუ ბუნებრივად შემონახვა მხოლოდ გრამატიკის საკითხი არ არის, იგი გარკვეულად კულტურის სფეროსაც განეკუთვნება. აქ შეიძლება განსხვავებული თვალსაზრისები წარმოიქმნას...

8.5.4. ჭ-ს ხმარება ანტონისთვის აგრეთვე ტრადიციულია — ამ ასოს XI—XII საუკუნეებიდან ვხვდებით ნათარგმნ ძეგლებში. საბა ორბელიანი მის შესახებ წერს: „ესე ჭა ჩვენს ენაში ეგოდენ საკმარი არ არის, მაგრამ სხვათა ენის თარგმანებისათვის დიდად საკმარია და ამისის კმარებით დია გაშვენიერდება სიტყვა“ (ხაზი ჩვენია — ე. ბ., თ. უ.)¹⁵¹.

¹⁴⁸ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გვ. 280.

¹⁴⁹ მ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, II — საიუბილეო, თბ., 1968, გვ. 106.

¹⁵⁰ გავისენოთ მთელ საქართველოში გავრცელებული ოქები (რუს. божья), ოტკა (божка)...

¹⁵¹ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართულ.

8.6. ანტონი უადგილოდ ხმარობს პირთა აღმნიშვნელ ჰ და ს პრეფიქსებს, რაზეც ა. შანიძე სპეციალურად მსჯელობს ზემოთ მითითებულ საგანგებო წერილში¹⁵².

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მორფოლოგიური ხასიათის შეცდომები პირის ნიშანთა ხმარებასთან დაკავშირებით მძიმე ტვირთად აწვა ქართულ მწერლობას მრავალი საუკუნის განმავლობაში და მათ ვერც ანტონი გადაურჩა. ამ შემთხვევაშიც გარკვეული ტრადიცია მყარდება — საუკუნეები ერთიმეორეს ეხმიანებიან... ჩვენ დავკმაყოფილდებით IX—X—XI საუკუნეთა ძეგლებზე მითითებით, სადაც ჰს-ერთპირიან ზმნათა მესამე პირშიც გვხვდება, პირდაპირი ობიექტის ნიშნადაც მრავალპირიან ზმნაში და სახელზმნათა ფორმებშიც: ჰხედვასა, ჰხილული...¹⁵³, დაჰსცხრა, წარჰსწყმდეს; მოჰსწყლავს; ჰხედვამ, განჰჯით, ჰხადილი¹⁵⁴. პირის ნიშნის საკითხი ვერც „სამოციანელებმა“ გადაწყვიტეს სალიტერატურო ენაში. მათაც მრავალი ფორმა იხმარეს, რომლებიც გრამატიკულად მიუღებელია. მაგალითები ძნელი მოსაძებნი არ არის. საკითხის არსებითი გადაწყვეტა უკავშირდება ა. შანიძის სახელს (თუმცა საძიებელი კვლავაც საკმაოდ არჩა და დღემდე მოდის). ა. შანიძის გამოკვლევამდე (1920) ძნელია უინმეს მკაცრად მოეთხოვოს პირის ნიშანთა ხმარება ენის ბუნებრივ კანონთა დაცვით.

8.7. -ვ სუფიქსის შესახებ ვნებითი გვარის ფორმებში. ანტონმა ზმნათა ვნებითის ფორმებში ამ გვარის ნიშნად გამოყო ი-პრეფიქსი, ზოგ შემთხვევაში -ვ სუფიქსიც ი-სთან ერთად; შევიყუარვი, შევიყუარვე, შევიყუარვო; ნათლისღებვა... პროფ. არ. მარტიროსოვი ე. ბაბუნაშვილის ნაშრომზე — „ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები“ დაწერილ რეცენზიაში ამ სუფიქსის განხილვასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ავტორი ორივე შემთხვევაში (ივარაუდება პირიან ფორმებში და საწყისებში — ე. ბ. თ. უ.), სანწუხაროდ, არაფერს ამბობს, თუ საიდან და როგორ შეიძლებოდა ანტონის გრამატიკაში ვ ვნებითის ნიშნად გაჩენილიყო ხელოვნურად შეთხზული სათანადო მაგალითებით. ჩვენი აზრით, ასეთი გაუგებრო-

¹⁵² ა. შანიძე, ანტონ I-ის გავლენა..., გვ. 49.

¹⁵³ ი. ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი (გამოკვლევა და ლექსიკონი), თბ., 1975, გვ. 29.

¹⁵⁴ ბასილი კესარიელის „სწავლათა“..., გვ. 033.

ბის წყარო შეიძლება იყოს სომხური, რომელსაც სწორედ ამ ადგილას ვნებთიძის ნიშნადვ მოეპოვება როგორც ზმნის პირიან ფორმაში, ისე სახელზმნაშიც (ხაზი ჩვენია — ე. ბ. თ. უ.)¹⁵⁵.

ეს დებულება იმ მხრივ არის უსიამოვნო, რომ მის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს ანტონი სომხურ გრამატიკას თარგმნიდა და სომხური საწარმოებელი სუფიქსიც მექანიკურად გადმოჰქონდა ქართულში. ამით საფუძველი ეცლება შემოქმედებითობას, რომლის საფუძველზე ხდება ენობრივ მოვლენათა ანალიზი — გრამატიკული კატეგორიებისა და მათი მაწარმოებლების გამოყოფა.

საბედნეროდ, ეს ვარაუდი არ არის სწორი. -ვ სუფიქსის გამოყოფა ვნებთის ნიშნად ქართულ საფუძველზე ხდება. ამ სუფიქსის საკითხი რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო, ამიტომ ვრცლად განვიხილავთ მას ანტონის ნაშრომის მიხედვით.

„ქართულ ღრამმატიკაში“ ანტონი სწორად განმარტავს ერთი და იმავე ფუძიდან ნაწარმოები მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა მიმართებებს როგორც უღლების პარადიგმებში, ისე თეორიული მსჯელობის დროს. მოქმედებითი და ვნებითი ფორმების მიმართება ცალცალკე მწკრივთა მიხედვითაც აქვს წარმოდგენილი, მოვიყვანთ მაგალითებს. აწმყოში: შევიყუარებ — შევიყუარები, შევჰკრავ — შევიკრვი (II, 84r—84v), შევჰსწირავ — შევიწირვი, უწყვეტელში: ვირწმუნებდი — ვირწმუნებოდი, წყვეტილი: ვირწმუნე — ვირწმუნე, თურმ. I: მირწმუნებიეს — პრწმუნებულ ვარ, თურმ. II: მერწმუნა — პრწმუნებულ ვიყავ, მყოფადში: შევჰსწირო — შევიწირო (II, 88r).

-ვ- სუფიქსი, ანტონის მითითებით, ვნებითში მაშინ უნდა ვიხმაროთ, როცა მოქმედებითისა და ვნებითის ფორმები დაემთხვევა ერთმეორეს: „სადაცა საზოგადოთა შესახედავითა შევალს სიტყვასა შინა შემოქმედებითი და ვნებითი, მუნ ვ მაგალითებრ: აღიხვუ, აღიხვუ, აღიხვუა, შევიყუარვე, შეიყუარვე, შეიყუარვა...“ (II, 102 v, § 265, იზ).

ამ განმარტების მიხედვით შევიყუარე მოქმედებითისა და ვნებითის საზიარო ფორმაა, მაგრამ შინაარსის მიხედვით მათ შორის დიდი

155 ა. რ. მარტიროსოვი, ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიიდან, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, 1973, გვ. 183.

განსხვავებაა: როგორც მოქმედებითი — ნიშნავს „შევიყვარე“ (მე ის), როგორც ვნებითი — „შეყვარებულ ვიქმენ“ (მე). ეს სხვაობა შინაარსში უნდა დამყარდეს ფორმათა განსხვავებით, კერძოდ, ანტონის მითითებით, ვნებითის ფორმაში უნდა „შევიდეს“ ვ სუფიქსი.

ანტონი ვ სუფიქსზე, როგორც ვნებითი გვარის ნიშანზე, მსჯელობაში ემყარება იოანე პეტრიწს. 257-ე პარაგრაფში (II, 90r) ანტონი წერს: თუ სხვადასხვა გვარის ზმნებს საწყისის (უჩინო) ერთი ფორმა აქვთ, „მაშინ ვნებითი ჯერ არს განრჩევად უკმოძსა ამის მიერ, რომელა ვ, რამეთუ ესე იოანე ფილოსოფოსისაგან ქმნილი კანონი არს, მაგალითებრ: კამვად, წერვად, შეწირვად“.

ამ განცხადებით ჩანს, რომ აქ სომხური ენის ვნებითის ნიშანი არაფერ შუაშია, საკმე გვაქვს რაღაც ტრადიციასთან, რომელიც ქართულში იოანე პეტრიწისგან მოდის.

დ. მელიქიშვილმა 1975 წ. მიუთითა -ვ სუფიქსიანი პასივის თავისებური ფორმების არსებობაზე. XI—XII საუკუნეთა ძეგლებში. ეს -ვ ნებისმიერ თემის ნიშანს ერთვის ვნებითი გვარის ზნებში და ზოგჯერ უწყვეტელშიც გადასდევს. მაგალითად: მოიღებვის, განიყენებვის, იზიარებვის; იცნობვის, იპყრობვის, დაიწყობვის, მიიწთომვის, გაიყოფვის; განეყოფოდის, მოიღებვოდელ¹⁵⁶. გარდა იოანე პეტრიწისა, დ. მელიქიშვილმა მსგავსი ფორმები სხვათა ნაშრომებშიც დაადასტურა. ამრიგად, აწმყოსა და უწყვეტელში პასივის -ვ- ჩართული ფორმები სამწერლობო ენის ფაქტია. ისინი დ. მელიქიშვილს მიაჩნია ზალხურ ფორმებად, რომელთაც სამწერლობო ენაში გზა გაუხსნა გელათის სალიტერატურო სკოლამ.

ახლა ჩვენთვის ნათელია, რატომ უთითებს ანტონი იოანე ფილოსოფოსზე ვნებითის -ვ სუფიქსთან დაკავშირებით.

-ვ, რა თქმა უნდა, არ არის საკუთრივ ვნებითი გვარის ნიშანი, მაგრამ აღნიშნული შემთხვევების მიხედვით -ვ ყოველთვის გაარჩევს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს. ანტონმა სწორედ ეს ვითარება გამოიყენა აქტივ-პასივის განსასხვავებლად უღლების პარადიგმებსა და საწყისში.

რაც შეეხება თვით ამ დიალექტურ ფორმათა წარმოქმნას, ისინი მიღებული ჩანს ფ ა რ ა ვ ს — ი ფ ა რ ვ ი ს -ა ვ თემისნიშნიან ზმნათა

¹⁵⁶ დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, გვ. 30.

ანალოგიით: აწმყოში აქტივის -ა ვ-იან ფორმას ყოველთვის უპირის-პირდება პასივის -ვ (<-ა ვ) სუფიქსიანი ფორმა (ფარავს — იფარვის). უწყვეტელში რომ -ოდ მაწარმოებელია პასივზე მიმათითებელი (და არა გვარის ნიშანი!), ეს ანტონს სპეციალურად პასივზე აქცენტით აქვს აღნიშნული 262-ე პარაგრაფში (გვ. 95v).

9. რით აიხსნება ანტონის გრამატიკის გავლენა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში?

საშუალო საუკუნეების მიწურულში დიდია ლათინური გრამატიკის გავლენა იქაც, სადაც ადრე ბერძნული გრამატიკის დებულებები იყო გავრცელებული (თვით ლათინური გრამატიკა ბევრით იყო დაგა-ლებული ბერძნულისგან), კერძოდ: სომხეთში, რუსეთში, საქართველოში. ეს პერიოდი ხასიათდება კათოლიციზმის ინტენსიური ამოქმედებით საგანმანათლებლო სარბიელზე, რაც მოჰყვა კათოლიკური ეკლესიის დიდ მცდელობას თავისი გავლენა გაეგრძელებინა დასავლეთსა და აღმოსავლეთში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სარწმუნოების პროპაგანდის კონგრეგაციის მოღვაწეობა XVII ს-ში.

როგორც ვნახეთ, ანტონის ლინგვისტური ცოდნა შეპირობებულია სწორედ ლათინური გრამატიკული წყაროებით, რომლებიც მას ეძლეოდა იტალიელი მისიონერების შრომებით, პირადად მათგან და სომხურ-რუსული, აგრეთვე დასავლეთ ევროპული ლიტერატურის მიხედვით.

რაციონალისტური პრინციპები, რომლებიც ჰარბად ახასიათებდა ამ გრამატიკებს, რა თქმა უნდა, ანტონის შემოქმედებითი ნიჭის გაშლასაც დიდად ბოჭავდა. სიმპტომატურია ამ თვალსაზრისით ვითარება მხითარ სებასტაციის გრამატიკაში, რომელიც ანტონ პირველის ერთ-ერთი სამაგიდო წიგნი იყო. გ. ჯაუკიანი წერს: „... მაგრამ მხითარ სებასტაციის გრამატიკის საბოლოო განთავისუფლებას ხელოვნურ სიახლეთაგან ხელს უშლის, ერთი მხრით, მისი მდგომარეობა კათოლიკე მოღვაწისა, რაც არ აძლევდა ოფიციალურ ლათინიზებულ ენაზე უარის თქმის უფლებას, მეორეს მხრით, გრამატიკის ამოცანათა რაციონალისტური გაგება. მრავალ შემთხვევაში მხითარ სებასტაცი საკითხებს წყვეტს კომპრომისულად: ლათინიზებული ფორმების გვერდით უთითებს მათ უფრო ძველ ვარიანტებზეც“¹⁵⁷.

შემთხვევითი არ არის, რომ ანტონი 1767 წ. თავისი გრამატიკის I რედაქციის წერის გახსენებისას ზოგი არაბუნებრივი წესის შემო-

ლებათან დაკავშირებით გამოუცდებლობასთან ერთად მიზეზად ასახელებს სომხური გრამატიკის გავლენას და იძულებას მათგან, „რომელნიცა სომხურითა ენითა შემეწოდეს ქმნასა ჩუწნისამებრ ენისა ღრამმატიკისასა“. იძულება (ანტონის თქმით, თუ რ მ ა ნ ი) ვარაუდობს ხელშეუხებლობას ზოგი წესისა, რომელიც ლოგიკის ძალით „საერთო იყო ყველა ენისთვის“ და ითვლებოდა, რომ ყველაზე უფრო დახვეწილი სახე ლათინურ ენაში ჰქონდა მიღებული. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, აკუზატივი — შე მ ა ს მ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ბ რუნვა სახელთა პარადიგმისა, რომლის ამოღება ანტონმა მაშინაც კი ვერ გაბედა, როცა გაიგო, რომ ზოგ ევროპულ ენაშიც კი არ გამოყოფდნენ მას¹⁵⁸.

სწორედ რაციონალისტური პრინციპები და ლათინური გრამატიკის კანონმდებლური გაგება იყო, რამაც განაპირობა ანტონის გრამატიკის ხანგრძლივი გავლენა. მისი უარყოფა შესაძლებელი იყო მხოლოდ სხვა პრინციპებით დაწერილი გრამატიკის საშუალებით. ასეთი გრამატიკა ჩვენში XX საუკუნემდე არ ჩანს.

10. მიუხედავად ზემოთ წარმოდგენილი ვითარებისა, „ქართულ ღრამმატიკაში“ ანტონმა დიდი მეცნიერული ცოდნის, შემოკმედი ნიჭისა და სწორი ენობრივი პოლიტიკის წყალობით შეძლო არაერთი და ორი პრობლემის სწორად გადაჭრა: მან განსაზღვრა მეტყველების ნაწილები ქართულში, გამოყო თითოეულის დამახასიათებელი ძირითადი კატეგორიები და საერთოდ სწორად წარმოადგინა სიტყვაწარმოებისა და ფორმაცვალების სათანადო პარადიგმა. ამის გაკეთება მხოლოდ ზოგადი კანონების ცოდნითა და სხვა ენების გრამატიკების შტუდირებით შეუძლებელია. ამასთან ერთად ეს მოითხოვდა ქართული მწერლობის ღრმა ცოდნასა და ენობრივი ანალიზის გამორჩეულ უნარს.

ანტონმა დაიწყო ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაცია ხალხური მეტყველების ფორმათა გაბედული გამოყენებით სათანადო პარადიგმებში. ამით ანტონი ქართველი „სამოციანელების“ წინამორბედი. სწორედ ეს ხაზი წამოსწიეს წინა პლანზე „სამოციანელებმა“ თავიანთ მხატვრულ შემოქმედებაში და თეორიულადაც დაიწყეს

¹⁵⁸ დაწვრილებით ამის შესახებ იხილე: ე. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 87, 95; ა. ლ. ფ ო ე ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორია, გვ. 97.

თავიანთი პოზიციის გამაგრება. ამ მოძრაობაში გასათვალისწინებელი იყო სალიტერატურო ენის ტრადიციები, რომელთა დაეიწყება ან უგულვებელყოფა, ასევე სიტყვათშემოქმედებითი ძველი პრინციპების ხელაღებით უარყოფა უთუოდ გამოიწვევდა ენის გასაწყლებას. სალიტერატურო ენა ხალხური სამეტყველო ენის ყველა ფორმის განუკითხავ შემოტანასაც ვერ იგუებდა. საჭირო იყო უაღრესად ფაქიზი ოპერაციები. საბედნიეროდ, „მამათა“ და „შვილთა“ ერთობლივი ძალისხმევით ქართული სალიტერატურო ენა XIX ს-ის ოთხმოციანი წლებისთვის უკვე იღებს იმ დიდებულ სახეს, რომელიც შეეფერებოდა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე სამწერლობო ენას.

11. ჩვენ შემთხვევით არ გვიხსენებია „მამათა“ და „შვილთა“ ერთობლივი ძალისხმევა. 1938 წ. არნ. ჩიქობავა საიუბილეო წიგნაკში — „ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ“ „მამებთან“ ილიას პოლემიკასთან დაკავშირებით შენიშნავდა: „ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ქართული ენის კერძო მოვლენათა შეფასებისას ილ. ჭავჭავაძე ყოველთვის მართალი ყოფილიყოს. აქ არა იშვიათად სიმართლე მოწინააღმდეგეთა მხარეზე იყო. მაგრამ ჩვენი მოხსენების საგანს ეს არ შეადგენს; ჩვენ თავშივე აღვნიშნეთ, რომ აქ გვაინტერესებს ილ. ჭავჭავაძის თეორიული საენათმეცნიერო კონცეფცია...“¹⁵⁹.

სამწუხაროდ, ეს არც სხვათა მოხსენების სპეციალური საგანი გამხდარა.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ენის საკითხებზე „მამათა“ და „შვილთა“ დავაში სიმძიმის ცენტრი სტილსა და სინტაქსურ კანონზომიერებებზე მოდიოდა. ჟ, ჟჟ, ა, ჯ, კ ასოები ილიას სტატრამდე ხუთი წლით ადრე იყო უარყოფილი დ. ჩუბინაშვილის გრამატიკაში.

ენის განვითარება, სალიტერატურო ენის ურთიერთობა ხალხის სამეტყველო ენასთან ერთნაირად ესმით ი. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანს¹⁶⁰. ორივე დაუნდობლად ებრძვის არაბუნებრივ ქართულს,

¹⁵⁹ არნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ.

¹⁶⁰ გრ. ორბელიანი, მგზავრობა სვანეთისაკენ, გრ. ორბელიანის თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 323.

როგორიცაა: „ხელი გავიქნიე ფეხი“¹⁶¹ და „იმას გონება არაფრათ გაჰკვირს...“¹⁶².

ეს გვაქვს მხედველობაში, როცა „მამათა“ და „შვილთა“ საერთო ძალისხმევაზე ვლაპარაკობთ. ანტონი არ ყოფილა მათ შორის განხეთქილების საბაბი, ორივე მხარე მოწინებით სცემდა მას პატივს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ისინი შეგნებული გააზრებითა თუ იმპლიციტურად ანტონის საერთო იდეების მოზიარენი იყვნენ.

РЕЗЮМЕ

В истории грузинской культуры есть периоды, которые можно назвать именами выдающихся сынов Грузии. Вторая половина XVIII и первая половина XIX веков — целое столетие, вне всякого сомнения, период Антония Первого (Багратиони), католикоса-патриарха Грузии, так как научная и культурно-просветительная жизнь Грузии этого периода целиком связана с его именем.

Диапазон культурно-просветительной деятельности Антония Первого очень широк. При содействии царя Ираклия II он основывает духовные семинарии в городах Тбилиси и Телави; создает учебные программы для этих учреждений, пишет оригинальные учебники или переводит их с других языков, сам преподает ряд предметов, начиная с теологии вплоть до общей физики; под его руководством восстанавливается книгопечатание в стране и создаются книгохранилища при учебных заведениях и монастырях.

Антоний Первый является создателем научных трудов по философии, теологии, грузинской литературе и грамматике, по общей физике. В этих трудах, по мнению специалистов, Антоний Первый предстает перед нами как высококвалифицированный европейского склада ученый своего времени. Однако у этой творческой личности и большого патриота, намного опередившего современников своими прогрессивными научными и общественными взглядами, уже при жизни было много противников, хотя царь Ираклий II, близкий родственник и друг Антония, и передовая общественность страны горячо поддерживали его. Это этих двух противополо-

¹⁶¹ ი. ჰავჭავაძე, ორიოდ სიტყვა... თბულებანი ორ ტომად, ტ. II, 1977, გვ. 18.

¹⁶² გ. რ. ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 325.

ложных мнений в оценке научно-общественной деятельности Антония докатилось и до наших дней.

В настоящей работе авторы намереваются: 1) выявить связи «Грузинской грамматики» (первая — пространная редакция написана в 1753 г., вторая — краткая — в 1767 г.) Антония с предшествующей ей грузинской грамматической мыслью, а также ее зависимость от известных трудов негрузинских авторов того времени; 2) рассмотреть эту грамматику с точки зрения развития литературного языка и 3) разобраться в оценке некоторых ее положений последующими поколениями вплоть до наших дней.

Основы грузинского литературного языка были заложены в V веке, в период полного утверждения в государстве христианства после вековой борьбы со старым, дохристианским, верованием, когда в Грузии приступили к переводу соответствующей духовной литературы и параллельно с этим начали создавать свою собственную агнографическую и теологическо-философскую литературу.

Уже в XI—XII веках в Грузии начинают интересоваться грамматической наукой. Переводят литературу, в которой речь идет о пользе грамматики, с античной эпохи считавшейся преддверием философских знаний. В этих трудах рассматриваются виды ударения и приступов слов, правила оклошения имен и изменения глаголов и прочие грамматические вопросы. Именно в этих трудах берет начало становление грузинской грамматической терминологии. С этой точки зрения особого внимания заслуживают оригинальные работы Арсения Икалтойского, Иоанна Петрицкого и Эфрема Мцире. Все эти грамматические работы и встречающиеся в них термины были хорошо известны последующим поколениям грузинских ученых-философов и грамматиков: Сулхану-Сабе Орбелиани, Зурабу Шаншовани и Антонию Первому. В качестве примера можно указать на термин სქესი (греч. σχῆσις), употребляемый С. Орбелиани, З. Шаншовани и Антонием в значении термина «тип». Следовательно, все они, в том числе и Антоний, пользовались одними и теми же грузинскими источниками.

С начала XVIII века в Грузии начинают свою деятельность католические миссионеры-итальянцы. Они изучают местный разговорный язык, создают словари и учебники грузинского языка как для своих соотечественников-миссионеров, прибывающих в Грузию после них, так и для грузинских юношей, обучающихся грузинской грамматике наряду с грамматиками латинского и греческого языков. Наиболее

важные работы доантоновского периода: 1) Грамматика грузинского языка Франческо-Марии Маджо (издана в Риме дважды, в 1643 и в 1670 гг.), 2) Грузинско-итальянский и итальянско-грузинский словарь Марии-Бернардо Неаполитанского 70-х годов XVII века, 3) Итальянско-грузинский словарь с грамматикой грузинского языка анонимного автора 1724 года.

Эти работы также были хорошо известны последующим поколениям грузинских ученых. Вне всякого сомнения, знаком был с ними и Антоний, о чем свидетельствует и его дружба с Макриной, тетей Антония по матери, обладательницей одного из списков грузинского словаря Сулхана-Сабы Орбелиани, в котором почти дословно повторяются вышеупомянутые парадигмы имен и глаголов, и то обстоятельство, что Антоний в начале 50-х годов XVIII века в католичество обратил известный миссионер-грамматик Джиролимо да Норчиа. Следует также учесть, что Антоний в обеих редакциях «Грузинской грамматики» заявляет, что при написании своей работы он неоднократно обращался за помощью к латинским грамматикам. Естественно, что влияние итальянских грамматиков-миссионеров ясно прослеживается в его грамматике.

Пользовался Антоний и армянской грамматикой Мхитара Себастиани (изданной в Венеции в 1730 г.), о чем он говорит как в первой, так и во второй редакциях своей грамматики. Влияние грамматики Мхитара Себастиани особенно чувствуется в первой редакции и сказывается как в построении грамматики, так и в формулировках общих положений и в грамматической терминологии.

С начала 1757 года по 1763 год Антоний Первый служит в России. где он в курсе всех научных событий, происходящих в стране, в частности, он знакомится с известной полемикой о русском литературном языке конца первой половины и начала второй половины XVIII столетия. Сам он в предисловии ко второй редакции «Грузинской грамматики» пишет, что в России ознакомился с грамматической литературой русского и европейских языков, добавляя, что несмотря на основательную переработку и исправления (являющиеся, по-видимому, следствием приобретенных им в России новых знаний), и эта редакция в основном следует той же грамматике Мхитара Себастиани. Следует думать, что Антоний подметил сходство грамматики Мхитара с грамматической системой европейских языков, в равной мере созданных по образцу греко-латинской филологической грамматики и не

счел нужным что-либо изменять в отношении первоисточника своей грамматики, тем более, что у него имелись веские причины не подчеркивать свои связи с итальянскими миссионерами.

В России же Антоний приходит, видимо, к убеждению, что литературный язык должен быть единым в государстве, следствием чего нужно считать изъятие им из второй редакции теории трех стилей.

Таким образом, в формировании прагматической мысли Антония Первого главную роль сыграли грузинская лингвистическая традиция, грамматические труды итальянских миссионеров и личное знакомство с некоторыми из них, грамматика Мхитара Себастьяни и шестилетняя научная деятельность в России.

Следует особо отметить, что общезвестная приверженность Антония к «высокому стилю», каким написаны все его сочинения, отнюдь не мешала ему в проведении демократизации грамматических норм грузинского языка, проявляющейся во второй редакции и выражающейся в замещении древнегрузинских форм формами разговорного языка в склонении имен и спряжении глаголов, чему безусловно содействовала вышеупомянутая дискуссия в России о характере литературного языка. Не удивительно, что акад. С. Н. Джанашиа считал большой заслугой Антония создание им единого литературного языка, представлявшего в течение целого столетия форму национальной культуры и имевшего цементную силу для грузинской государственности. Однако увлечение стилем Иоанна Петрицкого обусловило в языке Антония частое применение инфинитивных и причастных конструкций, а также искусственно сокращенных форм причастий, хотя и дававших возможность четко и коротко сформулировать мысль, но выглядевших искусственно еще в языке Иоанна Петрицкого и тем более чуждых по простоте стольких веков для разговорного грузинского языка XVIII века.

В 60-е годы XIX столетия в Грузии разгорелась полемика между старым и новым поколениями по вопросам реформы грузинского литературного языка. В специальной литературе бытует мнение, что полемика эта между приверженцами Антония Первого как основоположника теории трех стилей в Грузии и их противниками, боровшимися за создание единого грузинского литературного языка, фактически была направлена против Антония; между тем в этой полемике чаще всего назывались имена В. К. Треднаковского, М. В. Ломоносова и

Н. М. Карамзина, имя Антония упоминалось редко, причем о нем в равной мере почтительно отзывались представители обоих направлений, признавая его заслуги как реформатора грузинского литературного языка своей эпохи.

Несмотря на влияние грамматик языков, отличающихся по своему строю от грузинского языка, а также на те ошибки, которые Антоний неизбежно должен был допустить в силу уровня языковедческой мысли тех времен, он выявил и описал почти все части речи грузинского языка, проявив удивительную лингвистическую интуицию при квалификации тех основных особенностей грузинского языка, которые сравнительно недавно стали предметом внимания и обсуждения лингвистов. Нельзя согласиться и с бытующим среди грузинских языковедов мнением, что выделение Антонием суффикса — *v* показателем страдательного залога, следует приписать влиянию армянского языка, так как этот суффикс, по словам Антония, был выделен еще Иоахимом Петрицким (видимо, на основании существующих форм страдательного залога в живой грузинской речи того времени).

Не следует также упрекать Антония в нарушении орфографических норм древнегрузинского литературного языка в издаваемых им текстах грузинских письменных памятников, учитывая, что при этом он не ставил себе целью изучение древнегрузинского литературного языка; эти публикации, по его замыслу, предназначались для его современников как древние образцы афографической и теологическо-философской мысли.

Что касается столь длительного влияния грамматики Антония на грузинский литературный язык, объяснить этот факт можно лишь тем, что все грамматики западноевропейских, русского, армянского и других языков, создавались под влиянием греко-латинской филологической грамматики. Этому влиянию особенно сильно содействовало личное участие итальянских миссионеров в создании национальных грамматик в XVII—XVIII веках. Освободиться от рациональных принципов было невозможно; многие правила считались общими для всех языков; Антоний, например, не посмел изъять из числа грузинских падежей внимательный падеж даже во второй редакции, хотя уже знал, что этот падеж существует не во всех языках и нет его и в грузинском языке. Именно рационалистическое понимание задач грамматики обусловило долгое господство грамматических правил Антония, так как не меняя принципов описания, трудно было превзойти одаренного католика; поэтому вплоть до 30-х

годов XIX столетия авторы всех учебников грузинской грамматики опирались на «Грузинскую грамматику» Антония Первого.

Антоний Первый в XVIII веке проводил ту же общую генеральную линию демократизации грузинского литературного языка, что и Иоанн Петрицкий на стыке XI—XII веков, и Илья Чавчавадзе и его сподвижники в XIX столетии. Эти деятели отличались друг от друга лишь формой проведения этой общей линии и это понятно: Иоанн Петрицкий, наследник великих просветителей Византии и Грузии XI—XII веков, свободен в своих действиях, его поддерживает сильная рука Давида Строителя, изгнавшего из родины турецких и арабских завоевателей; Антоний Первый появляется на исторической арене после долгих бурь над Грузией: очень многое из культурно-научного наследия уничтожено руками врагов, влияние которых еще сильно... Илья Чавчавадзе, получивший образование в петербургском университете, опирается на передовые демократические идеи русских и европейских мыслителей своей эпохи.

ა ნ თ ი თ ე ბ უ ლ ი ლ ი ბ მ რ ა ბ უ რ ა

1. აბულაძე ი., ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები, 1, ზურაბ შანშოვანი, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X—B, 1940.
2. ავალიანი ს., ანტონ პირველი, თბ., 1987.
3. ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაემაღ მოამზადეს ნათელა კეკელიძემ და მაია რაფაეშ, თბ., 1976.
4. ანტონ კათალიკოსი, ქართული ღრამმატიკა, 1754, ხელნაწერი A 531, დაცულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.
5. ანტონ კათალიკოსი, ქართული ღრამმატიკა, 1967, ხელნაწერი H 2256, დაცულია საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.
6. ანტონ პირველი, წყობილსიტყვაობა, თბ., 1972.
7. ბაბუნაშვილი ე., ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
8. ბაბუნაშვილი ე., სამი სტილის თეორია ქართულ მწერლობაში, თსუ შრომები, ტ. 96, 1963.
9. ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1983.
10. ბაქრაძე დ., წიგნი მიწერილი თ.ალ. ჯ. ორბელიანისადმი მისი „ქართული უბნობისა ანუ წერისა“, „ეცისკარი“, № 8, 1860.

11. დანელია კ., ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983.
12. ვეშაპიძე ი., ზმნისწინები ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, თსუ. შრომები, ტ. 93, 1961.
13. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.
14. იმნაიშვილი ივ., სინური მრავალთავი (გამოკვლევა და ლექსიკონი), თბ., 1975.
15. იოანე დამასკელი, დიალექტიკა, გამოსცა მ. რიფაჟაშვილი, თბ., 1976.
16. პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფიისა კავშირნი, იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. I, თბ., 1940.
17. იოანე პეტრიწი, განმარტებაჲ პროკლესთჳს. დიადოხოსისა და პლატონურის ფილოსოფიისათჳს, იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, თბ., 1937.
18. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1930.
19. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981.
20. მარტიროსოვი ა., ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარების ისტორიიდან, „მაცნე“, № 1, 1973.
21. მელიქიშვილი დ., გელათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები, თსუ შრომები, „ენათმეცნიერება“, № 10, 1926.
22. მელიქიშვილი დ., იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975.
23. ორბელიანი გრ., მგზავრობა სვანეთისაკენ, გრ. ორბელიანის თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959.
24. ორბელიანი სულხან-საბა, სიტყვის კონა ქართული, თბ., 1949.
25. როგავა ი., სახალსო განათლება ერეკლე მეორის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბ., 1950.
26. სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
27. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა (ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები, A კოლექცია), შეადგინა ქრისტინე შარაშიძე, IV, თბ., 1954.
28. უთურგაიძე თ., ძველი ქართული ენის მართლწერის წიგნი საკითხი, კრ. „ფონეტიკა და ნორმა“, თბ., 1981.
29. ფოცხიშვილი ა., ქართული გრამატიკული აზრის ისტორია, თბ., 1979.
30. ქავთარია მ., XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1977.
31. ქართული ხელნაწერთა აღწერილობა ახალი კოლექციისა, შეადგინეს თ. ბრეგაძემ, თ. ენუქიძემ, ნ. კასრაძემ, ე. მეტრეველმა, ლ. ქუთათელაძემ, ქ. შარაშიძე, II, თბ., 1958.
32. შანიძე ა., ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964.
33. შანიძე მ., „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ — ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990.
34. შანიძე მ., შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, „საიუბილიო“, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, თბ., 1968.

35. შანშოვანი ზურაბი, მოკლე ღრამბატია ქართულის ენისა, სანკტ-პეტერბულო, 1881.
36. შუხარდტი ჰუგო, წერილი რედაქციის მიმართ. „ივერია“, № 90, 1896.
37. ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.
38. ჩიქობავა არნ., ილია ქავჭავაძე ენის შესახებ, ტფ., 1938.
39. ჩხუბიანი შვილი დ., ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972.
40. „ცისკარი“, აპრილი, 1862.
41. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი, საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, წიგნი VI, თბ., 1980.
42. ქავჭავაძე ი., თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, თბ., 1977.
43. ქავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 1955.
44. ხელნაწერი Q 550 — XVIII ს-ის ანონიმური ქართული გრამატიკა, დაცულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.
45. ჯ. ორბელიანი ალ., ქართული უბნობა ანუ წერა, „ცისკარი“, მაისი, 1860.
46. ჯანაშია ს., გიორგი შერვაშიძე, იხ.: გ. შერვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა. სოხუმი, 1946.
47. Анна Комнина, Алексиада, М., 1965.
48. Джаукян Г. Б., Языкознание в Армении в V—XVIII вв., История лингвистических учений, Средневековый восток, Л., 1981.
49. Васильев А. А., История Византии, Византия и крестоносцы, 1983.
50. Виноградов В. В., Очерки по истории русского литературного языка XVII—XVIII веков, М., 1982.
51. Гротт Я. К., Труды, II, Филологические разыскания, Спб., 1899.
52. Данте Алигьери, О народной речи, Петроград, 1922.
53. Евстафий Солунский, О исправлении монастырской жизни, ЖМНП, ч. ССII, 1879.
54. История Византии, т. 2, М., 1957.
55. История лингвистических учений, Средневековая Европа, Л., 1985.
56. Карамзин, О любви к отечеству и народной гордости. Одесса, 1839.
57. Ломоносов М. В., Предисловие о пользе книг церковных в российском языке, Полное собрание сочинений, т. VII, 1952.
58. Марр Н., Грамматика древнелитературного грузинского языка. Л., 1925.
59. Марр Н., Иоани Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII веков, Спб., 1909.

60. Махарадзе Н. А., Термин *ἐτυμολογία* (этимология) и его древнегрузинские эквиваленты, Научная конференция «Проблемы классической филологии», ТГУ и Иенский университет им. Ф. Шиллера, Тбилиси, 18—21.XI.1983.

61. Мелетий Смотрицкий, Грамматика словенская, правильное свитагма.

62. Орловская Н. К., Грузинские словари Бернардо Неволитанского, ლატერატურულ ურთიერთობანი, III, თბ., 1972.

63. Орловская Н. К., Анонимная грузинская грамматика XVIII в. на итальянском языке, თბ. შრომები, ტ. 75, 1959.

64. Орловская Н. К., Грузия в литературах Западной Европы XVII—XVIII веков, Тбилиси, 1965.

65. Поливанов Л., Преобразование литературного языка Н. М. Карамзинным.

66. Н. М. Карамзин, Избранные сочинения, ч. I, 1884.

67. Смирнов С., История московской словено-греко-латинской академии, М., 1885.

68. Татишвили Вл., Грузины в Москве. Тбилиси, 1950.

69. Тимофеев Л. И., Предисловие, В. К. Тредиаковский, Избранные произведения, М.—Л., 1963.

70. Успенский Б. А., Из истории русского литературного языка XVIII—начала XIX века, М., 1985.

71. Dawkins, R. M., Greek Language in the Bizantie Period, „Byzantium“, Oxford, 1961.

72. Methodus Grammatices Donati ab Herico Glareno poeta laureato recognita Lipsiae, MDLXV.

73. Sbozzo die Dittionario Georgiano-Italiano dell Bernardo da Napoli.

74. Sbozzo Dittionario dell Idionma Georgiano dell Bernardo da Napoli.

75. Scholia in Dionysii Thracis artem Grammaticam. Recensuit at apparatus criticum indicesque adiecit Alfreds Hilgard, Lipsiae, MCML.

76. *Մխիթար Սեբաստացի, Քերականութիւն դրարանի լեզուի հայկազան սկսի, ի Վինետիկ, 1730.*

Елена Акакиевна Бабунашвили
Тедо Гигоевич Утургадзе

«ГРУЗИНСКАЯ ГРАММАТИКА» АНТОННИ ПЕРВОГО
И ЕЕ НАЦИОНАЛЬНО-ИСТОРИЧЕСКОЕ ЗНАЧЕНИЕ

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»

1991

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4671

გამომცემლობის რედაქტორი დ. ლ ე ჟ ა ვ ა
მხატვარი თ. ჯ ა ყ ე ლ ი
მხატვრული რედაქტორი გ. ლ ო მ ი ძ ე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ბ ო კ ე რ ი ა
კორექტორი ლ. შ ა ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 14.3.1991; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.7.1991;
ქალ: ლდის ზომა 60X84¹/₁₆; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 5.12;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4.67;
ტირაჟი 1700; შეკვეთა № 636;

ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19